



№3 (603), მაგნი, 1987

ეურნული გამოდის 1988 წლიდან
 სოციალური საზოგადოებრივი-
 პოლიტიკური და სპორტობიექტების
 სამსახური უზრუნველყოფს

ნოემბრის შვიდი:

არსებულ ბავშვთა სახლის შვიდი
 აღმოჩნდა.
 სულხან ნასიძე, ხუთი ბავშვიანი კომ-
 უნალ ანუ სადღესასწაულის სახლის
 მფლობელია. ამჟამად მისი ფო-
 ტოსტუდიაში.
 იანსონ ხუციშვილი, ჭრუჭრის საუბ-
 რის საინჟინერო.
 ფრანსისკო სერინო-ჩოხი. კომ-
 პიტი.
 ითარ კინჭაშვილი, ტრადიციის და ნო-
 ვატორია.
 ბაზაზაშვილი.
 გურამ მანუჩარაძე, მოღვაწე.
 გურამ ფირცხალავა, მოსახლეობის
 ზრდა და პერსპექტივები.
 ირინე ტალიაშვილი, ბული (მომ-
 ტორი).
 სინაბულა პანკრაძე.
 ფრანკული ზღაპარი, გლეხისა და
 ჩიტის ამბები.
 გივი მიფინაშვილი, ათი შვილი.
 მუშა კუპრისტიანი, გავრცელება.



ქვეყნის

ახალგაზრდა ბავშვი



საინჟინერო ფორმირება



საბავშვო კაბინის მშენებლობა

© „დროშა“, 1987 წ.

მთავარი რედაქტორი

იოანე მინაშვილი

სარედაქციო კომისია:
 ვლადიმერ ბახტაძე (პრეზიდენტი), ითარ
 კინჭაშვილი, ვაჟაფანოვი, ნათელა
 პეტრიაშვილი, თინათინა ჯორჯაძე, ითარ-
 მანუჩარაძე, სანტო ლომიძე, ნათელა მ-
 ნაშვილი, დიანა ლომიძე (მხატვარი-გრაფიკოსი),
 ლალი სულხანიძე, ილია ბაბუნაძე, ნუგზარ
 ჯორჯაძე, გიორგი ბახტაძე, შაჰნურ ბაბუნაძე.



მეგობრული
 საუბარი

საქართველოს
 აკადემიის
 მეგობრული
 გაცემის
 ბიულეტენი

თ

ეთრ კედლად აღმართულა ზემო სვანეთის მშვენიება, სპეტაკი შხარა. უშგულს ზემოთ მისგან ენგური იღებს სათავეს, სოფელ ხალდესთან კი მდინარე ხალდურა. ენგური სათავეებიდან სულ რამდენიმე კილომეტრზე მქუხარე სტიქიად იქცევა. ხალდურა სანამ ენგურს შეუერთდებოდეს, თუმცა საკმაოდ ჩქარია და დაუდევარი, მაინც მთის რიგით მდინარედ რჩება.

წყლების თავზე საჩინვეებია თეთრი კლდეებით, ქარაფებით, გლეთჩერებითა და მათ ძირში მიყრილი ქვა-ლორლით. უკვე სანატრისი აღარაა მუდმივი ყინვარის ცივი სუნთქვა, სუბნიველური სარტყლისათვის დამახასიათებელი მოკლე სავეგეტაციო პერიოდი, მწირი ნიადაგი, ცხრა-ათ თვეს უდნობი თოვლის საფარი, ცივი, მწივანა, ძვალ-რბილში გამტანი ხორშაკიანი ქარები. თვითონ ალბურ ყვავილთა უმრავლესობასაც ვერ მოუკიდია ფეხი ამ მიდამოებში.

ჯერ კიდევ ივნისშიც საგრძნობლად ცივა აქ, სითბოს ბარაქა აკლია. მზის სხივიც გვიან და უხალისოდ ჩნდება. აი ახლაც შხარას კედლიდან მზე ასე, თერთმეტი საათისათვის ამოიწვერა. ეს ვეებერთელა შავი ლოდი, ჩემს წინ რომაა აღმართული, როგორც იქნა, სანახევროდ განათდა. თვალი ლოდის ქვეშ გავაპარე: ამოღამებულ, შავსა და საზარელ ნატეხისგან მიწაზე დაგდებულ ჩრდილში ოთხი ღერი ყვავილი, ძაფივით წვრილ ღეროზე შემომდგარი ოთხი გვირილა კამკამებდა. თეთრი, გვირგვინოვანი ფურცლები ყვავილებს ხარბად მიეშვირათ მზისკენ... ოთხად-ოთხი უსუსური, ქათქათა თეთრი ყვავილი და მათზე წამომდგარი კუბრივით შავი ლოდი, საოცარი კონტრასტი ბუნებისა — სიბნელის და სინათლის, სიცივისა და სითბოსი, სულიერის და უსუსლოსი.

...სივრცით სავსე ჯავახეთის ზეგანზე გვირილების ზღვა მზეკაბანს შლის და განა მარტო ჯავახეთის ზეგანზე? სად არ ყელყელაობენ მზის ეს ღვიძლი ასულები: ტყეში, ველად, მდელოზე, მთაში... მაგრამ განა კი შეიძლება სითბოთი, სივრცით, ნიავის მისალბუნებელი. სუნთქვით განებივრებულ გვირილათა იმ ჯარის შედარება ამ ოთხ უმწეო არსებასთან, ამ ოთხ მწვანე ღივთან, კლდის კალთის ჯოჯოხეთურ სიცივეს დროებით თავდალწეულები, მზისკენ რომ იმზირებთან?..

აი აქ, ამ წუთებში, სიცივესა და სითბოთრეში, მე მგონია, სრულიად კანონზომიერად, გამახსენდა ვლადიმერ სოლოუხინის მოთხრობა „ბალახი“. რაღაცნაირად გამოანათა იმ მწვანე სიცოცხლემ, ასე ძალუმად რომ იფეთქა პაწაწინა მცენარის მარცვალში. ჩემს თვალწინ გაიარა პატიმარი კაცის ლანდმა ბალახის ღეროთი ხელში. გონების თვალით დავინახე ყრუ და ბნელი საკანი, რომელიც მოწმე ვახდა ერთი თავისებური ისტორიისა.

...იზოლირებულ საკანში გამომწყვდეულ პოლიტიკურ პატიმარს საკითხავი წიგნები შეუფხავანეს. კითხვისას ტუსაღმა წიგნის ერთ-ერთ ფურცელზე მიწებებული პაწაწინა, ქინძისთავისხელა მცენარის თესლი შენიშნა. ტყვემ ფაქიზად აართვა ქაღალდს თესლი და სასაოებით გადმოდო სუფთა ქაღალდზე.

რადაც გაუგებარმა მღელვარებამ შეიპყრო ტუსაღი. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ამ მღელვარებას ჰქონდა კიდევაც მიზეზი.



ყვავილი უკვ ლოდთან

არნოლდ გეგეჭორი

როდესაც თავისუფალი ადამიანი გვირგვინს წყვეტს, ალუბლის ნაყოფით იგემრიელებს პირს, ვარდის სურნელით ტკეპება... ყველაფერ ამას დაუძაბავად, თითქმის მექანიკურად აკეთებს. მაგრამ განსაკუთრებულ ვითარებაში, რომელსაც უსიცოცხლო ქვის საკანი ქმნის, სადაც რკინის საწოლისა და სკამ-მაგიდის მეტი არაფერია, გარე სამყაროს ყოველდღიური ცხოვრებისაგან სრულად მოწყვეტილმა ადამიანმა სულ სხვა თვალებით შეხედა შეუიარაღებელი თვალისთვის ძლივს დასანახავ მცენარის თესლს. იგი მიხვდა, რომ მის წინ, ქაღალდზე ნამდვილი საოცრება იდო. ეს სასწაული კი პაწაწინა, ოდნავ შესამჩნევ თესლში გამომწყვდეული პოტენციური სიცოცხლე იყო.

როგორ გინდა გამოიციო, თუ რა იმალება შენთვის უცნობ სიცოცხლის ამ მიძინებულ, პაწაწინა ნაგლეჯში? შეიძლება ინტუიციით კი ხედებოდე თესლში ჩამალული საოცრების სიდიადეს, მაგრამ საკმარისია, სცადო, ხილულად წარმოიდგინო მისი ხატი, მაშინვე აღმოჩნდები აბსოლუტურად შავი, გაუმჭირვალე ფარდის წინაშე, ფარდისა, რომელიც უიმედოდ გაშორებს არაჩვეულებრივი მისტერიისაგან.

აი, პატიმარს რომ თანამედროვე ხელსაწყოებითა და რეაქტივებით აღჭურვილ ლაბორატორიებში ფუსფუსის შესაძლებლობა ქონოდა, შეიძლება საოცრება თვალის ერთ დანახამებამაშაიაც კი გარდასახულიყო ყოველდღიურობაში, ბანალურობაში: თესლიდან გაეღვიძნა მრავალძარღვას, ბაბუაწვევრას, გვირილას ან ქინძს.


მაგრამ შლისელებურგის ციხეში ფარდა უწინდებურად შავი და გაუმჭირვალე რჩებოდა.


გავიდა ხანი. ახლა ძნელია იმის თქმა, მაშინდელი საპატიმროების ხელმძღვანელობა მიდიოდა მსგავს დათმობაზე თუ საკნის მცველი იყო ცოტათი გულჩვილი კაცი, მაგრამ პატიმარს ხელში ჩაუვარდა მიწით სავსე ქოთანის კაცმა ხელის კანკალით ჩაუშვა თესლი მიწაში და ისიც მაშინვე გაუჩინარდა შავ მასაში.

ერთ ლამაზ ზღაპარში დილეგში გამომწყვდეული ტუსაღი ყვავილს ცრემლებით რწყავს. შლისელებურგის სატუსაღოში ცრემლები არ შეიქმნა საჭირო. პატიმარს თავისი ჭიქიდანაც შეეძლო თესლის სამყოფი წყლით მოერწყო ქოთანის.

...კიდევ გავიდა გარკვეული დრო. სიცოცხლის ინტერესგაღვიძებული ადამიანის რულუნებამ თავისი გაიტანა. წიგნის ფურცელზე ნაპოვნი თესლი ბოლოს და ბოლოს გაღვიდა. კაცის სიხარულს საზღვარი აღარ ქონდა. სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო! საქმი ის კი არ არის, რომ ზრუნვამ თავისი ნაყოფი გამოიღო. ფსიქოლოგიურად, კიდევ უფრო მთავარი, სხვა გარემოებაა: ფარდა, რომელიც პატიმრისათვის თითქოსდა აბსოლუტურად გაუმჭირვალე იყო, უცბად თვითონვე აიწია და სახუკვარი, უცხო განძი ღდის შუქზე გამოიტანა.

დგება გახატული და თითოეული ჩვენთაგანი ხელახლა ვხდებით მოწმე მილიონობით, მილიარდობით სიცოცხლის დაბადებისა. ჯერ კიდევ თოვლით შეჯავშნული დედამიწიდან პირველ ყვავილთა ყოველი მორიგი გამოჩენა გვანცვიფრებს და თავიდან გვიჩენს საფიქრალს. და რა ასტრონომიული ციფრებითაც არ უნდა იყოს გამოხატული სიცოცხლის ეს მორიგი აღზევება, ძნელია ამ საოცრების სხვა, ასეთივე მრავალნიშნა ციფრით და-





ჯილდოებულ ფენომენებთან გაიგივება. მაგრამ შეიძლება ერთნაირი სინარული მოგვაროს ახლად ამოხეტილმა სიცოცხლის ღივმა ადამიანს, რომელიც ბუნებაში ცხოვრობს და პიროვნებას, ვინც ქვის დილეგშია გამოკეტილი?

თავდაპირველად ნიადაგიდან თავი ამოჰყო მოვერცხლისფრო, ღია-მწვანე შეფერილობის რაოაც უნაზესმა ძაფმა.

ბენდიერი მეურნე (თუ შეიძლება საპატიმროში მჯდომ კაცს ასე ეწოდოს) ისევე აკვირდებოდა მცენარის განვითარებას, როგორც ამჟამად შენელებული კინოკამერის ობიექტივის თვალით უთვალთვალეზენ ხოლმე ვარდის კოკრის გაშლას.

რამდენიმე დღეში მიწაზე გართხმული ვერცხლისფერი ღივისაგან ორმა ღერომ წამოიყო თავი. თითოეულმა ღერომ თითო-თითო ფოთოლი განვივითარა. ფოთოლი სამი დაკბილული, ოვალური ფოთოლაკისაგან შედგებოდა და სამივენი ერთ წერტილში იყრიდნენ თავს.

ორმა ღერომ ორი ფოთოლი ასწია და დღის სინათლეს მიუშვია ორი უზარმაზარი, დათესილი თესლის ზომასთან შედარებით გრანდიოზული ზომის მწვანე ფირფიტები. მალე მცენარე გირჩის მსგავსმა მწვანე ბურთულებმაც დაამშვენეს. ახლა ღერო გამართული იდგა, აღარ იღუნებოდა. უზარმაზარი, ხასხასა მწვანე, წვიმიანი და, ამიტომ ალბათ, მძიმე ფირფიტები, ჰორიზონტალურად იდგნენ. „გირჩებიც“ ისე დაიბერნენ, აგერ-აგერ დასკდებოდნენ.

ეს დღეც დადგა. დაქერცილიმა კოკრებმა მართლაც ველარ აიტანეს შინაგანი წნევა, დასკდნენ და ორმა თვალისმოჭრულმა მოჭათქათე, უნაზესმა თეთრმა ყვავილმა გაანათა საპატიმროს ტენიანი და ცივი საკანი.

მცენარე თავისი სუსტი, მაგრამ მაინც გამართული ღეროთი, ჰორიზონტალურად გაშლილი ფოთლებითა და უნაზესი ყვავილებით, მართლაც რომ ზღაპრულ ფერიასავით მშვენიერი იყო. გარეული მარწყვი თვალს ახარებდა სიმეტრიულობით, ნატიფი გარეგნობისა და ფუნქციური დანიშნულების ისეთი შერწყმით, რაც არასპეციალისტში ყოველთვის აღძრავს გარკვეულ ეშვს — თუ არა გონიერების რაღაც მაგიური ძალა, სხვას რას შეუძლია მსგავსი ჰარმონიით შეკრას, შეანიჭოს ორი, თითქოსდა დიამეტრალურად განსხვავებული, ცნება: გამოყენებითი, პრაქტიკული და მშვენიერი, ესთეტიკური.

...სანამ ტუსალს საკანში აღმოცენებული პატარა სიცოცხლის ფილოსოფიური

მხარე უბურღავდა ტენის, ბალახი უცბად მეორე ღივმა განვირტა და სწრაფად იწყო ახალ, მოქნილ პწყალად ჩამოყალიბება. ღეროსაგან განსხვავებით, პწყალი არ ცდილობდა ფეხზე დადგომას, მასში არ იყო ის სისისტე, რომელიც მას ჯერ ვერტიკალურად დგომის, შემდეგ კი თავის თავზე ფოთლებისა და ყვავილების განვითარების შესაძლებლობას მისცემდა.

რამდენს არ მკითხაობდა მოთმინებით აღჭურვილი კაცი გამოეცნო, თუ როდის გაიკეთებდა ეს უცნაური ღერო თავის გასქელებულ წვეროზე ყვავილს ან ფოთოლს — არაფერი გამოსდიოდა. პწყალი რაც უფრო იზრდებოდა და დედამცენარისაგან შორს მოქონდა თავისი გამსხვილებული წვერო, მით უფრო დაჯინებით ეძებდა სასურველ სალბუნს ნიადაგისას. ბოლოს და ბოლოს ეს ახირებული ღერო გაიჭრა ქოთნის იმ საზღვრებიდან, სადაც აყვავდა ძირეული მცენარე. ახლად მოცლენილი მებღვე მიხვდა უტიფრად წინმავალი ღეროსთვის ახალი ქოთნის დადგმის საჭიროებას. ისიც ხარბად დაეძგერა ახალ მიწას და, ნავსაყუდელში შესული ხომალდის ღუზასავით, ღრმად ჩაარჭო ნიადაგში ფესვები. მცენარემ ახალი ნაბიჯი გადადგა სივრცეში. ნაბიჯი პატარა, მაგრამ ფრიალ მნიშვნელოვანი.

რა თქმა უნდა, მცენარემ პირველი ნაბიჯი ჯერ კიდევ მაშინ გადადგა, როცა შეძლო და წიგნის ფურცელს მიეწება. როცა წიგნი, ვინ იცის, ათასობით კილომეტრის მოშორებით, წაიღეს თესლის დამწიფების ადგილიდან, და, ბოლოს, როცა პატმარს გადასცეს და თესლსაც დაუდგა თავისი საათი, თუმცა, სრული შესაძლებელია, არც დადგომოდა. მაგრამ ეს უკვე ნაბიჯი არ იყო. თესლის საიმედო გარსში გახვეული ამ პაწაწინა პოტენციური სიცოცხლისათვის, იგი მთელ კოსმოსურ გაფრენას ნიშნავდა.

შეიძლება სადავო იყოს გამოთქმა: „თესლმა შეძლო მიწებებოდა“. როგორ, განა შეგნებით ეწებება თესლი რაიმე საგანს? დიახ! მაგრამ მაშინ რაში სჭირდება მცენარეს ესოდენ მდიდრულად მოწყობილი, ფერხორციით სავსე, სურნელოვანი კენკრის გამომუშავება? მხოლოდ იმიტომ, რომ მას ვიღაც ხარბად დაეწაფოს. ეს ვიღაც შეიძლება ნადირიც იყოს, ფრინველიცა და ადამიანიც.

ყველაზე „ტრანსპორტაბელური“ მაინც ფრინველია. ჩაუნისკარტა ნუგბარსაკვებს და გაფრინდა. ჩიტმა გადაუფრინა ტყეს. ამასობაში მოიხილა კიდევაც

მარწყვის რბილობი... და აი, სადაც ჩამომჯდარმა ჩიტმა მცენარის თესლიც ახალ ადგილზე დატოვა. მცენარისათვის ეს უკიდევანო სივრცეში გადინდებული ნაბიჯია. კაცმა რომ თქვას, მცენარეს ფრინველზე უფრო ჰქონდა იმედი დამყარებული, ვიდრე წიგნის ფურცელზე. მაგრამ მსგავსად ზოგიერთი ადამიანისა, როგორც ჩანს, ზოგჯერ მცენარეთა პაწაწინა თესლსაც უჩვეულო, პირდაპირ ფანტასტიური ბედი და თავგადასავალი ელის. ზოგიერთმა ბალახმა ორმოცი საუკუნე გაატარა ეგვიპტის ფარაონთა სარკოფაგებში, შემდეგ კი გალივდნენ ევროპის ქვეყანათა დედაქალაქებში. ათეული მილიონობით წლები დაჰყო ლოტოსის მანამდე უცნობმა სახეობამ იაპონიის მიწაში. ეს მიწა განსხვავებულ გეოლოგიურ ეპოქაში დაჯაობებულ ადვილს წარმოადგენდა. შემდეგ ჭაობი დაშრა და ნიადაგის სულ სხვა ფენებმა დაფარეს იგი.

აი იმ სულ სხვა სამყაროდან მოხვდა მეცნიერის ხელში ლოტოსის ერთადერთი თესლი. ადამიანისათვის ჩვეულმა რუღუნებამ აქაც გაამართლა: მკვდრეთით აღსდგა ერთი აღუწერელი სილამაზის, უხსოვარი ღრობის წინათ გადაშენებული მცენარის ყვავილი...

თითქმის ასეთივე ბედი ეწია მარწყვის თესლსაც საპატიმროში.

ყველაფერი ეს მართლაც სწორუბოვარი რომანტიკის შარავანდედშია გახვეული, მაგრამ ეს ჩვენი, ადამიანური თვალთახედვით. მცენარეს არ სჭირდება მსგავსი სენტიმენტები. იგი აღსავსეა რეალიზმით. მცენარე არ ენდობა შემთხვევითობას. ივითარებს მოქნილ და შეუპოვარ პწყალს. პწყალი „გაივლის“ ათ-თხუთმეტ სანტიმეტრს და ახალ მცენარედ დაფესვიანდება. ფრინველს უნდა ენდო, მაგრამ არც შენ უნდა დააკლო. მცდელობა!

თურმე ტუსალი თავის შემდგომ გამოცემულ მეშუარებში ამტკიცებდა: ცხოვრებაში მას არც საპატიმრომდე, არც მის შემდეგ არ განუცდია მსგავსი უჩვეულო სინარული, რაც მას ნახევრად გაბზარულ ქოთანში გახარებულმა ტყის გარეულმა მარწყვმა მიანიჭა.

...ვინ იცის, აქაც, შხარას ძირში, თოვლის თითქმის მუდმივ საბრძანებელში მოყვავილ ჩვენი ოთხი უსუსური გვირილაც — ოთხი ღერი ყვავილი, იქნებ ფრინველებმა „დათესეს“. ვეებერთელა, საზარელი, ტინი კლდის შავი ნატენი ლოდი კი მათ მშობლიურ კალთად გადაუფარა!



ტყობა ასაკმა იცის, — ჩემი თაობის ადამიანებს შორის ხშირად ვაიგონებთ ასეთ ნატვრას: — „ნეტა ახალგაზრდობის ხანა დაგვიბრუნდესო“.

მე კი ვფიქრობ ხოლმე, არ მინდა ახალგაზრდობის დაბრუნება და ხელმეორედ ყველაფრის განცდა. თუ აუხლენელი უნდა ინატრო, მე ვინატრებდი, როგორც დღეს ვარ, ასევე ვიყო დიდხანს.

ჩემს დღევანდელ სპეციალობასთან დაკავშირებით ბევრი უსიამოვნო გახსენება მაქვს მოსწავლეობის პერიოდში. ვერ იქნა და დიდხანს ვერ განვახორციელებ ჩემი ოცნება, რომელიც ბავშვობიდან მქონდა, კომპოზიტორი მინდოდა გავმხდარიყავი. ჯერ იყო და 10-11 წლის ბიჭი ჩემი ნაწარმოებებით ერთ ჩვენს სახელგანთქმულ კომპოზიტორთან მიმიყვანეს. მან ისე გულგრილად მიმიღო, მეორედ მისვლა ვეღარ ვავებდე და წლები დამჭირდა, რათა კვლავ მეცადა ბედი.

უკვე ჰაბუკმა, ვცადე კონსერვატორიის საკომპოზიტორო განყოფილებაზე ჩაბარება, მაგრამ უშედეგოდ. რამდენიმე წლის შემდეგ მქონდა მესამე უშედეგო ცდაც.

ყველაფერი ეს ხომ სულიერ ტრავმებთან იყო დაკავშირებული, რომელთა გახსენება დღესაც უსიამოვნო გრძნობას მგვრის. თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, მე, როგორც ცენტრალური მუსიკალური სკოლის საფორტეპიანო განყოფილების მოსწავლე, ხოლო შემდეგ კონსერვატორიის სტუდენტი ამავე განხრით, მუსიკაში ინტენსიურად ვმუშაობდი.

დმერთმა აცხონოს კონსერვატორიის მაშინდელი რექტორი, კომპოზიტორი იონა ტუსკია, რომელმაც მზრუნველი ხელი გამომიწოდა, იმედი შთამინერგა, მაგრამ იონა ის დიდი ადამიანური სიბრძნე და ყურადღება, რომელიც მაშინ ძალიან მჭირდებოდა.

ერთი სიტყვით, როგორც იქნა ვავხდი კონსერვატორიის საკომპოზიტორო განყოფილების სტუდენტი და ჩავირიცხე პროფესორ იონა ტუსკიას კლასში.

რა თქმა უნდა, ის, რომ დიდხანს ვერ განვახორციელებ კომპოზიციაში მუშაობის ჩემი სურვილი, დამნაშავე, პირველ რიგში, თვითონ მე ვიყავი. გაუბედავი, შებოჭილი ხასიათი მქონდა და სრულად ვერ ვამყდარებდი ჩემს შესაძლებლობებს. იმაშიც, რომ ბოლოს მაინც მივიღწეე ჩემს მიზანს, ხასიათის უკვე სხვა თავისებურებამ იჩინა თავი.

მე, ყველაფერი ეს იმიტომ კი არ გავიხსენე, რომ ვისიმე ცნობისმოყვარეობა დავაკმაყოფილო. არა. ჩემთან ხშირად მოდიან სხვადასხვა ასაკის ახალგაზრდები, მასმენიებენ საკუთარ მუსიკალურ ნაწარმოებებს და მთხოვენ რჩევას, ღირს თუ არა, კომპოზიციაში მუშაობა. როცა ჩემი ვანკლით ვზა მახსენდება, ყოველთვის ვასაჭირში ვვარდები. მოსმენილით თუ ვიმსჯელებთ, არ ღირს, მაგრამ ვფიქრობ, იქნებ მან ჯერ ვერ შესძლო საკუთარი პოტენციის სრულად გამოვლენა და როგორ ვავუტეზო გული, გაუცრუვო იმედი და ვუთხრა, რომ ამ საქმეს დაანებო თავი. არადა, რაც მოვისმინე, თუ ეს არის მისი ნამდვილი არსი, როგორ ვურჩიო, შეეჭიდოს დაუძლეველ საქმეს. ამავე დროს, იმასაც აშკარად ვხედავ და საკმაოდ ხშირადაც, თუ რამდენს არა სწორედ, დაუფიქრებლად, გაუმართლებლად აურჩევია სპეციალობა. მაგრამ რა ვიცი, რამდენი ნიჭიერი და საქმისათვის გამოსადეგი ადამიანი უკვალოდ დაკარგულა.

ვაიმარში ყოფნის დროს, ერთმა ჩემმა გერმანელმა კოლეგამ დამაბატოა საოპერო თეატრის დღის წარმოდგენაზე, სადაც ბავშვებისათვის განკუთვნილი მისი ოპერა უნდა ეჩვენებინათ.

დარბაზი გაიჭედა მოზარდებით. აქა-იქ უფროსებიც ერივნენ. არ მახსოვს არც მუსიკა და ადრეც წარმოდგენა, სამაგიეროდ საშუალოდ ჩამრჩა მეხსიერებაში იქ მყოფი ბავშვები. რა უშუალო კონტაქტი იყო სცენასა და დარბაზს შორის! სრული სიჩუმე სუფევდა და ბავშვები საოცარი დაინტერესებითა და ყურადღებით უსმენდნენ მუსიკას, ადევნებდნენ თვალს, თუ რა ხდებოდა სცენაზე. წამიერი რეაქცია სცენიურ მოქმედებაზე და კვლავ სრული სიჩუმე ისადგურებდა. არც გადალაპარაკება, არავითარი ანცობა, მთელი დარბაზი გასუსული მისჩერებოდა სცენას.

სულ რამდენიმე დღის შემდეგ ისევ დღის წარმოდგენას დავესწარი თბილისის საოპერო თეატრში. უჩვენებდნენ ვანო გოკიელის „წითელქუდას“.

დარბაზი აქაც გაიჭედა, მაგრამ 2-3 ბავშვზე უკვე ერთი უფროსი მოდიოდა. წარმოდგენის მსვლელობის დროს დარბაზში გაუთავებელი მოუსვენრობა სუფევდა. ქალაქის შრიალი (ალბათ კამფეტების გახსნით გამოწვეული), დაგვიანებით შემოსულთა ფუსუსი, შენიშვნები, გამუდმებული შენიშვნები: ვია, გაჩერდი! მაკა, უსმინე! ევა, უყურე რა ხდება, მგელი გამოვიდა! ლაშა, ნუ დგები, იჯექი! და ბუტერბროდებით ბავშვების კვება წარმოდგენის მსვლელობის დროს.

ასეთ სიტუაციაში, რა თქმა უნდა, ძნელია რაიმე მნიშვნელობა ქონდეს ხელოვნებას ბავშვის სულიერ, ესთეტიკურ ღრმადში. ვინ არის ამაში დამნაშავე?.. ბავშვები?.. თქვენ წარმოიდგინეთ, არა! დამნაშავენი არიან უფროსები, რომლებმაც უაღრესად გადაჭარბებული მეურვეობით ბავშვებს ართქვენი „სასიხარო“ პასუხისმგებლობისა და ინიციატივის უნარს, ერევიან იქ, სადაც ბავშვს უნდა ენდო და დატოვო თავის თავთან მარტო. მას ხომ თავისი სამყარო, საკუთარი წარმოსახვა აქვს და, როცა უფროსი უტაქტოდ, უადგილოდ ერევა ამ წმინდა სფეროში, ბავშვს პროტესტის გრძნობა უჩნდება, ღიზიანდება და წარმოიშვება კონფლიქტი.

თუ უფროსსა და ბავშვს შორის ასეთი ურთიერთობა მარტო ბავშვობის ასაკით კი არ ამოიწურება, არამედ შემდგომშიც, ყრმობისა და ჰაბუკობის დროსაც გრძელდება, შედეგი სავალალოა.

ერთი უბრალო, მაგრამ მოხდენილად ჩამოსხმული ლამაზი ჭიქა მაქვს. ჩემმა მუსიკის მასწავლებელმა, რომელთანაც ორი-ოდე წელი ვისწავლე, მაჩუქა კონცერტზე პირველად გამოსვლის სამანსოვროდ. მართლაც, რომ ძვირფასი სახსოვარია და მისი ყოველი დანახვა სასიამოვნო მოგონებებსა და გრძნობებს აღმიძრავს ხოლმე.

დღეს, ცოტა არ იყოს, უცნაურად, დაუჭერებლადაც კი ეღერს ფრაზა: — „მასწავლებელმა მოწაფეს სახსოვარი მიართვა“.

ახლა, მკითხველს ვთხოვ, ჩაატაროს ამ ფრაზასთან დაკავშირებით ერთი პატარა მანიპულაცია: შეუცვალოს ადგილი პირველ ორ სიტყვას და „სახსოვარის“ ნაცვლად, ჩასვას „საჩუქარი“.

თითქოს უმნიშვნელო ცვლილებაა არა? მაგრამ როგორ შეიცვალა აზრის ზნობრივი, თუ მორალური შეფერილობა, რა სრულიად სხვა მნიშვნელობა მიიღო მან.

ხოლო, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ზემოთ ხსენებულ ფრაზის ახალი ვარიანტი არც თუ ისე იშვიათად გამოიყენება დღეს, ამ პატარა მანიპულაციით გამოწვეული ფრაზის ახალი მნიშვნელობა უადრესად მაგნე ხასიათს იღებს.

ამიტომ ეს პატარა ჭიქა არა მარტო სიამოვნებას მგვრის, ამავე დროს, ძალიან სევდიან ფიქრებსაც აღმიძრავს ხოლმე. სამწუხაროა, მაგრამ ასეა!

როგორ გამეხარდა და ამავე დროს გამიკვირდა კიდევ, როცა გავიგე, რომ იაპონიაში არსებობს მოყვარულთა გუნდი, რომელიც ქართულ ხალხურ სიმღერებს ასრულებს. ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ქონდა, როდესაც მომიცა საშუალება ამ გუნდის მიერ ძალზე მაღალ მხატვრულ დონეზე შესრულებული ჩვენი ხალხური სიმღერების ჩანაწერი მომესმინა.

ძნელად დაიჭერებდა ადამიანი, რომ იაპონელები ასეთი გამოკვეთილი დიქციით გამოთქვამენ ქართულ სიტყვებს, ხასიათის თავისებურების ზუსტი გაგებით წარმოქმნიან რთულ მელოდიურ ნახაზებს, რიტმულ ფორმულებს და მერე რა რთულ სიმღერებში!.. ისეთ სიმღერებში, როგორცაა „ხასანბეგურა“, „დიამბეგო“ და სხვა.

ამის ისტორია ასეთია. გუნდის ხელმძღვანელს, არა პროფესიონალ მოყვარულ-მუსიკოსს, ხელში ჩაუვარდა ქართული ხალხური სიმღერების ფირფიტა. იგი იმდენად აღფრთოვანდა მოსმენილით, რომ თავისი ენთუზიაზმი სხვებსაც გადასდო და აი, უკვე საკმაო წლებია, გუნდი, რომლის შემადგენლობაშიც 60 კაცია, დიდის ვატაცებითა და სიყვარულით ასრულებს მათთვის სრულიად უცხო მორეული მუსიკალური კულტურის ნიმუშებს.

მხედველობაში მისაღება ისიც, რომ გუნდი მოყვარულები-საგან შედგება და მათ მხოლოდ ერთადერთი გრძნობა და სტიმული ამოძრავებდათ: დაეკმაყოფილებინათ თავიანთი ცნობის-მოყვარეობა.

ალბათ, იმ საოცარ თანამედროვე კულტურულ და ტექნიკურ ცივილიზაციის არნახულ პროგრესს, რაც იაპონელებმა განახორციელეს, ეს თვისებაც უდევს ერთ-ერთ საფუძვლად.

ადამიანის ცნობისმოყვარეობის სფერო როცა მხოლოდ ვიწრო, სპეციალური ინტერესებით იფარგლება, როდესაც მას ავიწყდება, რომ იგი დიდი, საუკუნოვანი კულტურის მხოლოდ პატარა ნაწილაკია და საკუთარ ცხვირს იქით არაფერი არ უნდა დაინახოს, იწყება სულიერი გალატაკება, ემოციური სიმწირე, სიბლაგვე და ასეთი პიროვნება არც თავის ვიწრო საქმიანობაში ივარგებს.

ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ქონდა, როდესაც კომპეტენტური ადამიანებისაგან გავიგე, რომ მოსწავლეთა საკმაოდ დიდი ნაწილი „ვეფხისტყაოსნიდან“ მხოლოდ იმ ნაწყვეტების

გაცნობით კმაყოფილდება, რასაც სკოლაში ასწავლიან და პოე-
მა მთლიანად არ აქვთ წაკითხული.

რა თქმა უნდა, ასეთი შეზღუდული ინტერესების მქონე მო-
სწავლიდან გაიზრდება ასევე შეზღუდული გონების მქონე ადა-
მიანი, რომელსაც არ დაინტერესებს არც ბანი, არც ბეთჰოვენი,
არც დანტე, ჰომეროსი, გოეთე...

იქნებ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ხშირად ცარიელია ჩვენი
თეატრალური და საკონცერტო დარბაზები, ოჯახებში კომფორ-
ტაბელურ კარადებში ხელუხლებლად დევს ლამაზ ყდაში ჩას-
მული წიგნები, ხოლო იაფფასიან, უგემოვნებო კინოფილმებზე
კი თავპირისმტკრევაა.

ისევ მინდა გავიხსენო შორეული იაპონელები, რომლებიც
საათობით სხედან და ეუფლებიან ქართული ხალხური სიმღერის
საიდუმლოს.

ბარაქალა მათ!

* * *

სტუდენტ-ახალგაზრდობასთან ერთ-ერთი შეხვედრის დროს,
დამისვეს კითხვა, თუ რა ძირითადი თვისებებით შეიძლება და-
ხასიათდეს ქართველი ადამიანი და როგორია მისი ბუნება.

გადაწყვიტე, მეპასუხა კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდ-
ნობით და ვთქვი, რომ ქართველი ადამიანის თვისებებს ასახი-
ერებდა ილია ჭავჭავაძე. ასევე გამოხატავდა ერის ბუნებას ჩვე-
ნი ისტორიული წარსულის ისეთი რთული ფიგურა, როგორც
იყო გიორგი სააკაძე. ხალხის მხატვრულ-არტისტული სულის გა-
მოვლენის საილუსტრაციოდ გავიხსენე ნიკო ფიროსმანიშვილი,
ვანო სარაჯიშვილი, ხოლო მეცნიერული აზროვნების სფეროდან
დავასახელე ივანე ჯავახიშვილი.

ეჭვი არ მეპარება, დამეთანხმებით, რომ დასახელებული
მოდგაწეები ერის საუკეთესო შვილები არიან, მათ პიროვნებებში
კონცენტრირებულია ყოველივე ის, რაც საუკეთესოა. და ვიგ-
რძენი, რომ პასუხი არ იყო სრული. რალაც არსებითი დამრჩა
უთქმელი და უქმარობის გრძნობა დამეუფლა.

მაშინ ჩემს თვალწინ ამოტივტივდნენ სხვა გმირები, მაგრამ
არა ისტორიული სინამდვილიდან აღმოცენებულნი, არამედ
ლიტერატურული გმირები: — ლუარსაბ თათქარიძე და კვაჭი
კვაჭანტირაძე. ცხოვრებისეული და ყოფითი წილიდან აღმოცე-
ნებული ის გმირები, რომლებიც ილია ჭავჭავაძისა და მიხეილ
ჯავახიშვილის მაღლიანი კალმით გამომზეურდნენ და გაცოცხლ-
დნენ.

გაცოცხლდნენ და აღარ კვდებიან. საოცრად გამძლენი აღ-
მოჩნდნენ. გაუძლეს დროთა ცვლას, ისტორიულ ქარტეხილებს,
გადაიტანეს მრავალი შეტევა, იცვლიან იერს, მეტყველების მა-
ნერას, მაგრამ თავისი არსით მინც არსებობენ და ცხოვრობენ.

სად არ შეხვდებით მათ, ხელმძღვანელის სავარძელშიც,
ტრიბუნაზეც მოღურა ფრაზეებით მოლაპარაკეს და კიდევ, ვინ
იცის, სად.

ლუარსაბი უშვილობას უჩიოდა. აბა რა იცოდა საცოდავმა,
რომ ასეთი მრავალრიცხოვანი შთამომავლობა ეყოლებოდა.
ვერც კვაჭი იფიქრებდა, რომ მისი „საქმენი საგმირონი“, ასე
იხარებდნენ.

რა ფერმკრთალნი, მოკრძალებულნი და ამავე დროს სიმპა-
ტიურები ჩანან დღეს ლუარსაბი და კვაჭი მათ შთამომავლობას-
თან შედარებით. ვინდა აწუხებს ჩიხირთმისა და ბოზბაშის პრო-
ბლემა, ან ვინდა თვლის ბუზებს, — საზრუნავი შეიცვალა: უც-
ხოური მარკის ავტომანქანები, კომფორტაბელური ავარაკები,
მარმარილოთი და ძვირფასი კაფელით მოჭედილი სააბაზანოები,
ტურისტული გასეირნებები უცხოეთში და ვინ მოსთვლის, კი-
დევ რა.

დღეს ლუარსაბი და კვაჭი ხელიხელჩაკიდებულნი ცხოვ-
რობენ, ისინი გაერთიანდნენ, პირველმა მეორეს ხასიათი შეით-
ვისა, მეორემ პირველისა. „გაკვაჭებული“ ლუარსაბი სუსტი და
უნიათო არ გეგონოთ, მასთან ბრძოლა არც თუ ისე ადვილია,
მაგრამ არ იფიქროთ, რომ უძლეველია.

მართალია, ერთნი მიდიან, მიდიან სახელმწიფო კანონის ძა-
ლით, ცხოვრების კანონზომიერებით, მეორენი კი მოდიან. მაგრამ
ამ დინებას, ისე როგორც ყველაფერს, ბოლო ხომ უნდა ქონ-
დეს?!

საკითხავია, ასეთებმა, საერთოდ უნდა იარონ კი?! ეს კი-
თხვა განსაკუთრებით მწვავედ დგას დღეს, ახალ გარდაქმნათა
ვითარებაში, როდესაც გამოსამზეურებელი გამომზეურდა, სა-
ტივიარს შესატყვისი დიაგნოზი დაესვა და ახალი, ნათელი იმე-
დის მქონე პერსპექტივები დაისახა.

სულხან ნასიძე,

საპარტეზლოს სსრ სახალხო არტისტი, სსრ კავშირის
სახელმწიფო და რუსთაველის პრემიების ლაურეატი.




სული და კვაჭი

საპარტეზლოს სსრ სახალხო არტისტი, სსრ კავშირის სახელმწიფო
და შოთა რუსთაველის პრემიების ლაურეატი, კომპოზიტორ სულხან
ნასიძის დაბადების 60 წელი უმსრულდა.

შურნალ „დროის“ რედაქცია გულითადად გიხსენებთ ძვირფას
იუბილარს და უსურვებს ჯანმრთელ სიცოცხლეს, ახალ შემოქმედ-
ებით წარმატებას.

გთავაზობთ სულხან ნასიძის რამდენიმე ეტიუდს, რომელშიც კომ-
პოზიტორი ახალ შანსში გვამზინება.



ამრავი ძველი მატერი-
ალური კულტურის ძე-
გლი, ციხესიმაგრე, ნა-
სახლარი და სხვა უძვე-
ლესი შემორჩენილი ნა-
შთები ნათელს ხდის, რომ ძველი მე-
რეთი (საინგილო) დაწინაურებული
და კულტურული მხარე იყო აღმოსა-
ვლეთ საქართველოს უკიდურესი აღ-
მოსავლეთით. საინგილოს ხელსაყრე-
ლი სტრატეგიული მდებარეობის გა-
მო ჩვენს წინაპრებს საქართველოს
დაცვისათვის დიდი როლით
ციხესიმაგრე სწორედ ამ მხარეში
აუშენებიათ.

საინგილო XVII საუკუნეში უცხო
დაპყრობთა თარეშმა რამდენადმე
ჩამოაქვეითა; მატერიალური კულ-
ტურის ძეგლები დაანგრეს და და-
წვეს, მივიწყებებს მიეცა ძეგლებისა
და ტაძრების აღდგენისა და შეკეთე-
ბის საქმეც. ეკლესიების, ციხესიმა-
გრების და სხვა ღირსშესანიშნაობების
აღდგენა-განახლება დაიწყო 1850
წლიდან, როდესაც მოხდა საინგილოს
ხელმეორედ გაქრისტიანება ივანე ბა-
ბულაშვილის ხელმძღვანელობით.

საინგილოში ლეკეთი (ლექართო)
უდიდესი სამონასტრო ცენტრია. სო-
ფელი ლეკეთი (ლექართო) მდებარე-
ობს კახის ჩრდილო-დასავლეთით და
მისგან დაშორებულია 12 კილომეტ-
რით. აქ მცხოვრები ავარ-წახურელები
(ლეკები) დღესაც ამ ეკლესიებს
„ქალისალანს“ (საყდარს) ეძახიან.
ლეკეთიდან (ლექართო) ჩრდილოე-
თით 5 კილომეტრზე მდებარეობს
სოფელი ლეკეთ-ქოთოქლო. იგი აღ-
მართულია კავკასიონის ვადმოსასვ-
ლელ გზაზე, სადაც მრავალი კოშკი
უშენებიათ მტრისაგან თავდაცვის
შინაით.

ამჟამად ლეკეთის ტყეებსა და
ბარდ-ეკლებში 10-12-მდე ეკლესიის
ნანგრევებია შემორჩენილი. ისინი
ძველი ქართული არქიტექტურის აუ-
ვავეების პერიოდს (XI-XII სს) მოგ-
ვაგონებენ. მეოცე საუკუნის დამდე-
გამდე შემონახულია ამ ეკლესიების
ძველი ბრწყინებულების ნიშნები —
ჩუქურთმები, წარწერები, მხატვ-
რული ორნამენტები, რომლებიც
დღეისათვის უკვე აღარ შეიმჩნევა.

ლეკეთის (ლექართოს) მონასტრე-
ბის ბედი საინგილოს მოსახლეობას-
თან იყო დაკავშირებული. ასევე ით-
ქმის სოფლების — ყუშის, ზარზნის,
შოთავარის, აზნაურების, ელისოს,
სავენის, წმინდა სამების, ენგიანის,
ძეგამისა და სხვა ეკლესიების შესა-
ხებაც.

ეკლესიაში შემორჩენილ ციხესი-
მაგრის ნანგრევებზე დღესაც „გურჯის
სონეს“ ეძახიან.

ლეკეთის ხეობაში რამდენიმე საყ-
დარია ჭგუფებად, რომლებიც ნაშე-
ნება თლილი ქვით, აკლდამიანი და
საკმაოდ დაზიანებული. ამ ეკლესი-
ების გამოკვეთვას 1949-50 წლებში
მუშაობდა ა. ბარანოვსკი, მისი გარ-
დაცვალების შემდეგ კი ამ მხარე-
თულებით კვლევა-ძიება არ გაგრძე-
ლებულა.

მ. ჯანაშვილის 1918 წლის მონა-
ცემებით 1878 წელს ტაძრის კედე-
ლზე კარგად მოჩანდა თურმე ღვთი-
სმშობლისა და იესო ქრისტის ფრე-

სკა, რომელიც დღეისათვის არაა შე-
მონახული.

ქურმუხის საყდარი მდინარე ქუ-
რმუხის დიდ ხეობაში უძველესი
დროიდანაა ცნობილი. იგი აშენებუ-
ლია კავკასიონის ფერდობზე, ეგრეთ
წოდებულ წმინდაწმიდა ადგილზე,
და კადმობურთებს მთელი საინგი-
ლოს ტერიტორიასა და ალაზან-ე-
როჩაის ველებს. საყდრის გვერდით
ძვეს უზარმაზარი ლოდები. ერთ-ერთ
დიდ ქვაზე წინათ საყდარი ყოფილა
დაშენებული.

200 წლის განმავლობაში ინგილო-
ები განიცდიდნენ მამადაიანური ხარ-
წმუნობის ზეგავლენას, მაგრამ მი-
უხედავად ამისა, მათ მაინც არ და-
ვიწყებიათ ეკლესიისადმი თავჯანს-
ცემა. ქართული ტრადიციული დე-
ხასწაულები აქაც, ქურმუხის საყდარ-
თან ყოველწლიურად ტარდებოდა
შემოდგომობითა და გაზაფხულობით
— წმინდა გიორგის დღეობებზე.

აქ მრავალი ეკლესიის ნანგრევი
და ნაშთი თავისი დიდებულებითა და
სიმშვენიერთაა ვახტულისა უფრო
დღესაც და ტყე-ღრეში. XVII საუ-
კუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის
პირველ ნახევარამდე ინგილოებს ეკ-
ლესიებში წირვა-ლოცვა ეკრძალებო-
დათ. მხოლოდ ხანდახან, დამაშო-
ბით ეწვეოდნენ ხოლმე დაშინებუ-
ლი ქართველები ეკლესიებს და ურ-
ჭლოთა მიერ დასწრებულ და და-
ცხრილულ ხატებსა მხურვალე ლო-
ცვებით იკრებდნენ გულს.

მეტად ხანტერებს განახლობას წა-
ჩამოადგენს „ქურმუხის საყდრის“
ლამაზი ბუნებრივი ბედი. მწვანე ფე-
რდობზე თითქოს აქლქების ქარავა-
ნაო დაბანაკებული, ისე ჩამწკრივე-
ბულან ხაუნდებს წინ უზარმაზარი
ლოდებია.

საინგილოს მოსახლეობაში ამ ეკ-
ლესიის შესახებ მრავალი საინტერე-
სო ხალხური თქმულებაა შემონახუ-
ლი. ერთ-ერთის მიხედვით იმ უზარ-
მაზარ ლოდზე, რომელიც ქურმუხის
საყდრის წინ ძვეს, დასაფლავებული
არიან შეყვარებულები და დედაბერი,
რომელსაც დიდი ცოდვა მიუძღვის
მათ შიშართ.

ქალი ქართველი ყოფილა, ხოლო
საქმრო — მამადაიანი, ქალის მშობ-
ლებს არ ხდომებიათ შვილის მით-
ხოვება მამადაიანზე, ამიტომაც სასი-
ძოსათვის ძნელად შესარბულბელი
დავალება მიუციათ: თუ იგი მდინა-
რე ქურმუხიდან წყალს გაიყვანდა
ქურმუხის საყდრის (წმინდა გიორ-
გის). ეწოში, მაშინ ქალს გაატანდნენ
ცოლად და სასიძოც ქართულ ხარ-
წმუნობებს მიიღებდა.

სასიძო კარგი ვაჟაკი ყოფილა,
მისულა მჭედელთან, დიდი ზომის
ბარის, წერაქვის და ძალაყინის შე-
კვეთა მიუცია და დაუწყია მთის
ფერდობზე არხის გათხრა. არხი უა-
ნლოვდებოდა ეკლესიის მიდამოს,
მშობლები კი საგონებელში ჩავარ-
დნენ და დალოდნენ, როგორ მივა-
თნოვოთ ასული ურჭლო-ურწმუნო-
სო, თუმცა პირობაზე უარისთქმა შე-
უძლებელი იყო.

ერთმა დედაბერმა მშობლებს
უთხრა, მე გასწავლით გამოსავალს,
მხოლოდ თქვენმა ასულმა არ უნდა
იცოდესო. ამ დღეებში ნახირს მარ-
ლი მიეცით, წყალს ნუ დააღვივებთ
და სამოვარზე არ გაუშვათო. ასეც
მოიქცნენ და საქონელმა ბღავალი
აღება.

სასიძო მოვიდა და მოახსენა, რომ
არხი მზად არის წყლის გასაშვებადო.
ამ დროს დედაბერი შემოეგებება წინ
ტირლით, ვაიზე, შეილო, დიდი ჭბე-

დურება მოხდა, წუხელ მოულოდენე-
ლად დაიღუპა შენი სატრფო და ეს
აურწაური ეწოში იმიტომ არისო. ეს
რომ გაიგო სასიძომ წერაქვი დაირ-
ტვა თავში და იქვე გარდაიცვალა.


შემდეგ დედაბერი მიბრუნდა ეწო-
ში და საპატარძლოს უთხრა: შვილო
ჩემო, დიდი უბედურება დატრიალ-
და, შენს სატრფოს არხის გათხრის
დროს თავში წერაქვი მოხვედრია და
მომკვლარაო. ეს რომ ქალმა გაიგო
თქვა, თუ ჩემი სატრფო აღარ არის
ამ ქვეყანად, მე რაღად მინდა სიცო-
ცხლო, დანა დაირტვა გულში და
იქვე მოკვდა.

ქალის მშობლები განრისხდნენ და
ბორბი დედაბერი სიკვდილით და-
საჯეს. როცა კვდებოდა, დედაბერმა
თქვა, რაკი მკლავთ, ერთი სათხოვარი
მაქვს, მათ შუაში მაინც დამმარ-
ხეთო.

საინგილოში ამბობენ: ქურმუხის
საყდრის დიდ ლოდში შეყვარებულ-
თა შორის დედაბერი მარხიაო. ქალ-
წულის საფლავზე თეთრი ვარდები
ამოსულა, დედაბრისაზე — ეკალი და
ვაყისაზე კი — წითელი ვარდებო.
გაზაფხულზე, ვარდობის თვეში, წი-
თელი რა თეთრი ვარდების ყლორ-
ტები გადდიან დედაბრის ეკლის
ბუჩქზე, ერთმანეთს ესვევიან და ეა-
ლერხებიანო.

საინგილოში დღესაც არის შემორ-
ჩენილი თქმულება — „ბერის ეკა-
ლიცით შუაში ნუ ჩაერხებები, თორემ
ცოლდაში ჩადგებო.“

იანოს სუბივილი,
მებაღეობის, მიმანახაობისა
და მიმინეობის სამცხე-აბ-
ჯეთის რეგიონის ინსტიტუტის უფ-
როსი მიმინეობის მუშაკი.



ქურმუხის საყდარი საინგილოში

პროზა

საქართველო
ლიტერატურა

ფრანსისკო სიონილ-ხოსე (დაიბადა 1928 წ.). ფილიპინელი ინტელიგენტობის მფარველი-რომანისტი და ნოველისტი, ავტორია მოთხრობათა კრებულებისა „ღმერთების მოგონებები და სხვა მოთხრობები“, „ორი ფილიპინელი ძალი“, „კლავინო“ და სხვა, რომანებისა „მასა“, „ნო-ონ“. რუსულად თარგმნილია მისი რომანები „თვალთვალები“, „ჩემი ძმა, ჩემი ჯალათი“, „ხე“.

მოთხრობა „პროზასი“ შედის წიგნში „პიონი და სხვა მოთხრობები ფილიპინელზე“ (პროზაგონი, 1980).

ფრანსისკო სიონილ-ხოსე

მ

არინა სოლსედომ, მეორე კლასის საქმის მწარმოებელმა, მკერდზე მიიხუტა კონვერტი, რომელშიც ესესა მიღებული მისი ხელფასი იყო და მაგიდისაკენ გაეჩქარა, რათა გაერკვია, რამდენი და რისთვის დაუჭვივთეს ამჯერად. 15 ივლისი იყო და ხვალ მანიალაში უწევდა წასვლა—ბოლომდე უნდა მიეყვანა საქმე თავისი დაწინაურებისა, რასაც ყველა წესითა და რიგით ჯერ კიდევ ამ ხუთი წლის წინათ უნდა დადგომოდა საშველი. მან სამინისტროს შტატში უკვე ოცი წელი იმსახურა, ამ უკანასკნელ ხუთ წელიწადში კი ცხოვრება იმდენად გაძვირდა, რომ თუ ახლა არ დაწინაურდებოდა, მისი უმცროსი შვილი კოლეჯში სწავლაზე ვერც იოცნებებდა. თან ამ სამი წლის წინათ, როცა ქმარი საავადმყოფოში დააწვინეს, სახლისა და მიწის დავირავება მოუხდა, ახლა კი ბანკმა შეატყობინა, რომ გირავნობის სიგელის გამოსყიდვის ნება არ ეძლეოდა მანამ, სანამ ვადაგასულ ფულად გადასახადს არ შეიტანდა. სახლი და მიწა იყო ერთადერთი საკუთრება, რისთვისაც ცოლ-ქმარმა თითქმის ოცი წელი იმუშავა თავდაუზოგავად.

ჩვეულებრივ „ხელფასიდან დაკავებებს“ რაც შეეხებოდა, მისთვის ყველაფერი ნათელი იყო, მაგრამ კიდევ ოცდაათი პესოც აკლდა. გაახსენდა, რომ სალაროდან ათი პესო ისესხა, ამ სესხს კი პროცენტები ერიცხებოდა. ჰო, თხუთმეტი პესოც გასულ თვეში მინისტრ არკადიო გუსმანის პატივსაცემად დარბაზობის გამართვისთვის დაადებინეს. დარბაზობას მათი რეგიონალური განყოფილება ამზადებდა და იმ დღეს, თითქოს ჯიბრზე, გულისწვამ აწყველინა თავბედი და, რა დასანანიცა, პატარა თევზში ბრინჯისა და ქონიანი ღორის ხორცის რამდენიმე ნაჭრის გარდა არაფერი უჭამია. მინისტრმა „თანხლებ პირთა“ მთელი ხროვა მოიყლოდა, — ძირითადად იყვნენ უშიშროების სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც დაკოდილ ტახტებსავით სანსლავენენ ხორავს. კაცს შეიძლება ეფიქრა, რომ მინისტრის სიცოცხლეს რაღაც განსაკუთრებული საფრთხე ემუქრებოდა.

ვადათვალა ხელფასი — ორას სამოცი პესო. ესა და რჩა მანილაში გასამგზავრებლად. სწრაფად გაემურა განყოფილების ამ ერთადერთი კონტინერებული ნაგებობის მეორე ბოლოსაკენ. იქ მსხდომ ქალიშვილებს პირი თითქოს წყლით ჰქონდათ სავსე — მამასადამე, შეფი აქ იყო. მარინა გაჩერდა, სამინისტროს თეთრ-ცისფერი უნიფორმა მოიკობტავა ტანზე და ბეტონის იატაკზე ხის ლანჩების რაკარუკით მივიდა კართან. მდივანმა ქალმა უთხრა, შეგიძლია შეხვიდე.

შეფი, ასე, ორმოცდაათი წლის მელოტი მამაკაცი, გატაცებით კითხულობდა „პლეიბოს“ დაგლევილ ნომერს. ყურნალის გვერდზე გადადებდა არც უფიქრია. მარინა იდგა და ელოდა, როდის ინებებდა შეფი მისთვის ყურადღების მოქცევას.

— აბა, მამასადამე, ხვალ მიემგზავრებით, — უსწორმასწორო კბილები გააშიშვლა შეფმა.

— დიან, სერ...

— კეთილი, რაკი ასეა, სადილის შემდეგ შეგიძლიათ წახვიდეთ, — ხომ უნდა გაემზადოთ. უთხარით, რომ მე გაგათავისუფლებთ. მანილაში მხოლოდ სამ სამუშაო დღეს იქნებით. როგორ ფიქრობთ, ეს დრო გეყოფათ?




— კარგი იქნებოდა, კიდევ ცოტა დროც მქონოდა მარაგში სერ, ვთქვით და, ვერ მოვასწარი...

— კეთილი, ეგრე იყოს, — გულმოწყალებ დაყაბულდა შეფი. — ჰო, თუ არ გაგიძინებდათ, იქ ახალი საშარვლე გაბარდინი მიყიდეთ. ფულს, რომ ჩამოხვალთ, მაშინ მოგცემთ.

— რასაკვირველია, გიყიდით; სერ. გმადლობთ, რომ...

მარინამ გულში გამოთვალა, რომ გაბარდინი, ალბათ, სამოცი პესო მაინც დაუჯდებოდა, ამას წინათ შეფმა ჯინს „ლივიანის“ ჩამოტანა სთხოვა — ასოცი პესო ვადინადა. მათ უკვე გამოუმუშავდათ თავისებური რიტუალი: როცა მარინა საიდანმე ბრუნდებოდა, შეფი მას დაჟინებით სთავაზობდა ფულს ნაყიდი რაღაცებისათვის, ქალი კი არანაკლები დაჟინებით არ ათმევდა. საერთოდ კი შეფი კარგი ვინმე იყო და მარინასადმი საკმაოდ კარგად ვახლდათ განწყობილი. აი, ახლაც, მაგალითად, შუადღეს წასვლის ნება დართო და ანაზღაურებული შეფი უღებდა მისცა. და მას, სხვა თანამშრომელ ქალებს რომ გადაეკიდებოდა ხოლმე, ისე არასოდეს გადაეკიდებია.

დილის პირველი ავტობუსი, რომელიც ექვს საათზე გადიოდა, ჩვეულებრივ, მგზავრებით იყო გაჭედილი, მაგრამ ამ სამუშაო დილას სულ რამდენიმე მგზავრმა მოიყარა თავი, და მარინა მანქანის მარჯვენა მხარის საკლამზე მარჯვედ, განცალკევებით მოესალათა. ფანჯრის იქით, კაშკაშა მზის სინათლეზე, მიცურავდნენ, მიელავდნენ ახალდარგული ბრინჯის მოყვითალო-მწვანე ყანები, წყლით მოპიპინებული თხრილები, მეწამული შროშანები, პატარ-პატარა დასახლებები, რომელთა მოედნებს ამშვენებდა გამაგრილებელი სასმელების რეკლამები, სკოლისკენ ფენაჩქარებით მიმავალი ბავშვების გუნდები. მთელი დაბლობი, მობალახე ფარებით მოფენილი გარემომდებარე გორაკებიც კი მოძრაობდა. ავტობუსის საღებავები მიშრიალებდა მოასფალტებულ გზის ზედაპირზე, გადარბოდა ფოლადის ახალ ხიდზე.



და ეს იყო საგანგებო ვითარების პერიოდში¹ მიღწეული პროგრესი, რომელსაც მარინა სათანადოდ აფასებდა. ახალი გზები და ახალი ხედვები დღეს მანილაში ასეთი სიახლოვეებით მგზავრობის საშუალებას იძლეოდა — თუ უწინ ამას მთელი დღე სჭირდებოდა, ახლა ათი საათი ჰყოფნიდა.

მარინას, რასაკვირველია, გაეგონა, რომ სიერა-მადრეს მთების ძირში განფენილ სოფლებში ვითარება დაძაბული იყო, იცოდა, რომ ქალაქები ლტოლვილებით იყო სავსე. მაგალითად, მათი პროვინციის დედაქალაქში ყველაფერი, უწინდებურად, თავისი დინებით მიედინებოდა. მის ერთფეროვან ცხოვრებასაც კი ახლდა თავისი სინარტული: მან და მისმა ქმარმა ბოლოსდაბოლოს აიშენეს სახლი. მათი უფროსი ვაჟი უკვე დაქორწინებული იყო და საცხოვრებლად შეერთებულ შტატებში გადასვლას აპირებდა, ქალიშვილი კოლეჯს ამთავრებდა, უმცროსი ვაჟი კი — საშუალო სკოლას. რა თქმა უნდა, თავის გატანა იოლი საქმე არ იყო, რადგან მათ ხომ, ხელფასს გარდა, სხვა არავითარი შემოსავალი არ ჰქონდათ, ფასების ხშირი მატება კი მთელ მათ დანაზოგს ნთქავდა. მოუხდათ უარის თქმა ნავთზე და გადასვლა შეეშა, რომელიც ხშირად ნედლი იყო...

მარინა დაწინაურებაზე ხუთი წლის წინათ წარადგინეს და ის უკვე ორჯერ ჩავიდა მანილაში. და ახლა უკვე, როგორც იქნა, მიიღო უწყება, რომ წარდგენას მსვლელობა მიეცა.

შუადღეს ბევრი არ უკლდა, ავტობუსი კაბანატუანში² რომ გაჩერდა. მარინა ქვევით არ ჩასულა, რადგან ავტობუსშივე წახემსება გადაწყვიტა. პაკეტიდან ამოიღო მისი ქალიშვილის მიერ გამზადებული საგზაბი, — შემწვარი ღორის ხორცი, მაგრამ მოხარშული კვერცხი, მოხრაკული ბრინჯი. ყველაფერი ძალიან გემრიელი იყო, კაფეში ან რესტორანში რაიმეს დაუკვეთავად დაჯდომა და გარედან შეტანილი საჭმლის ჭამა მარინას ეუხერხულდებოდა. საუზმეს რომ მორჩა, წყლის დასალევად ჩავიდა.

ავტობუსი მანილის ავტოსადგურში უკვე შებინდებისას ჩავიდა. პიკის საათი იდგა და მარინამ თავისი ორი ჩანთითურთ ძლივს მოახერხა ჯიპში³ შეღწევა. ესპანეთის ქუჩაზე ჩავიდა, კიდევ სამი კვარტალი გაიარა ფეხით სახლამდე, სადაც მისი გარი ბიძაშვილი ცხოვრობდა. თავის დროზე ისინი ერთად სწავლობდნენ კოლეჯში. რასაკვირველია, მას ისევ ვიწრო, მაგრამ როტანგის დივანზე მოუწევს წოლა საერთო ოთახში, მაგრამ ეგ არაფერი. ყოველ შემთხვევაში, ეს სკობია კიპოს რაიონში ბალნეოებით სავსე ოთახის ოცდაათ პესოდ დაქირავებას.

მთელი ოჯახი სუფრას უჯდა და მან ამოალავა წამომძღვარებული მოსაკითხი: დამარილებული ხორცის დიდი ნაჭერი, წყნარ ოკეანის ორი გველთევზა, რომლებიც ჭერ კიდევ სუნთქავდნენ, სამი კილოგრამი შესანიშნავი წებოვანი საღვეხელე ბრინჯი. დისწულთებზე, სულ მოხარდები, მთელის ხმით აღრიალებდნენ მაგნიტოფონს. გარე ბიძაშვილმა და მისმა ქმარმა ისეთი სახე მიიღეს, თითქოს მარინას ჩამოსვლა გახარებოდათ, მაგრამ როცა დედაშვილმა ჰკითხა, როდის აპირებ წასვლასო, კილოზე შეატყო, რომ ის უკმაყოფილო იყო.

— აქ ერთ კვირას დავყოფ, — მიუგო მარინამ, — მაგრამ მთელი დღეები შინ არ ვიქნები, სადილობითაც ქალაქში ვისადილებ, იმიტომ, რომ სულ სამინისტროში უნდა ვიტრიალო, ჩემი ქალაქებიანა უნდა მივდგე-მოვდგე.

დილით ექვს საათზე ადგა ბავშვებთან ერთად, რომლებიც სკოლაში უნდა წასულიყვნენ და სტუმარი თავიანთი მაგნიტოფონით გააღვიძეს. მან მთელ ოჯახთან ერთად ისაუბრა, თალხე ფქვილით მოხელილ ფუნთუშას ჭიქა ყავა დააყოლა — ეს იყო და ეს, თუმცა უფრო მსუყე კერძის ჭამას აპირებდა: მას ხომ წინ ძნელი დღე ედო.

ესპანეთის ქუჩაზე სისხამ დილით ყოველთვის ჰყვებოდა და ჯგლეთაა და მარინამ გადაწყვიტა, ფეხით მისულიყო მორაიტის ქუჩამდე, სადაც უფრო ადვილად ჩაჯდებოდა ავტობუსში. სამინისტროში ცხრის ნახევარზე მივიდა და დაუყოვნებლივ კადრების განყოფილებას მიაშურა. დაწესებულებაში ნაცნობების ყოლა ყოველთვის სახარბიელო საქმეა და უნდოდა, მოექმებნა ვინმე, ვინც უწინაც აქ მუშაობდა, — მაგალითად, სექტორის გამგე მისტერ კობიასი. მაგრამ როცა მოათვალიერა ფართო და რბილი, სადაც მაგილებს მოსამსახურეები უხსდნენ და ლაყობობით კლავდნენ დროს, ნაცნობთაგან ისეთი ვერავინ ნახა, ვისაც მისი დახმარება შეეძლო, მისტერ კობიასი კი, როგორც გაირკვა, უკვე პენსიაში გასულიყო.

ფიქრად მოუვიდა: რა იქნება, რომ პირდაპირ მინისტრთან მივიდე, მან ხომ მითხრა მაშინ, როცა ჩვენთან სტუმრად იყო, აუცილებლად მნახეო. მაგრამ მარინამ ისიც იცოდა, რომ ეს მხოლოდ ერთ-ერთი ისეთი ფრაზა იყო, არც არაფერს ნიშნავს. თანაც, მინისტრი იმ დროს გვარიანად უსმენდა, განსაკუთრებით, უთავბოლოდ ბეუტილობდა რალაკებს და საეჭვოა, დანაპირები ახსოვდეს. და საერთოდ, მარინა ახლა მანილაშია და აქ, გასაგები ამბავია, ისეთი დიდი თანამდებობის კაცთან მოხვედრა, როგორც მინისტრია, არც ისე ადვილი საქმეა.

მარინამ კარის ახლოს მჯდარ ერთ კლერკს ჰკითხა, დაწინაურების ქაღალდები ვისთან მოხვდებოდაო და იმან განყოფილების მეორე ბოლოში გაგზავნა. იქ ერთი ბღენძი, გათქვირებული, კბილედამპალი, ძუა-თმიანი და მკვეთრად იჩივებოდა მალე ქალი დახვდა. ალბათ, საჭიროზე ერთი ზომით ნაკლები ფორმის ზედატანი ეცვა და მისი ძუძუები დაუინებოდა ცდილობდნენ საფარიდან გამოღწევას. იმ ქალმა თავისი ყუთიდან სია ამოიღო და გულისყურით ჩაათვალიერა, შემდეგ დიდხანს არჩევდა მაგიდაზე გაშლილ ქაღალდებს და, ბოლოს, გოჭისნაირ სახეზე დათითხნილი ღიმილით უპასუხა:

— მაპატიეთ, მისის სოლსედო, მაგრამ თქვენი სახელი და გვარი აქ არ წერია. თქვენი ანექტები, ალბათ, სხვაგან მოხვდა.

— მაგრამ ეს შეუძლებელია! — შეჰკვივლა მარინამ, — წინა თვეს მე ხომ თქვენგან ოფიციალური წერილი მომივიდა. — მან ფართოფურთით ამოქექა ჩანთა და წერილი ამოაძრო. — აი, საქმის ნომერიც...

მაგრამ ქალი არ დრეკებოდა. მან თავი გააქან-გამოაქანა და მისი სახიდან რეზინისნაირი ღიმილი გაუჩინარდა.

— მისის სოლსედო, — ამოღერდა მან ნაძალადევი მორიდებით, — ყველა საქმის გადათვალიერება დამჭირდება, აი, საქმეების ეს გორა უნდა გადავბარუნო, მე კი ძალიან გადატვირთული ვარ. მომიწევს, ვთხოვო ერთ-ერთ ჩვენს... — მან გამოაღო თავისი მაგიდისის უჯრა, რომელიც მარინასთან უფრო ახლოს იყო. — გირჩევდით მისთვის ოცი პესო დავეტოვებინათ...

მარინას ამის სისხლი ჩაექცა, ვერაფრით ვერ დაეჯერებინა, რომ მას, ამავე სამინისტროს თანამშრომელს, ასე ექცეოდნენ, მაგრამ იმავემას გაახსენდა მისი განყოფილების თანამშრომელი ანიტა ბოტონგი, რომელიც ამგვარსავე ოინებს უწყობდა მთხოვნელებს, — ეს უკვე იმდენად ფესვადგმული ჩვეულება იყო, რომ მისი ამოძირკვა არც ისე იოლი საქმე გახლდათ. კრინტი არ დაუძრავს, ჩანთა გახსნა, ოცი პესო ამოიღო და უჯრაში ჩაავლო.

— სადილის შემდეგ შემიძლია მოვიდე?
— უიმე, რას ბრძანებთ, მისის სოლსედო, — გაიბადრა დამტკბარი ქალი, — თქვენ ხომ მოგესხენებთ, რა ძნელია იმ ქალაქების მოძებნა, მოზრძანდით, ვთქვათ, ზვალ დილით.


— მაგრამ მე პროვინციიდან ვარ...
— ჰო, ვიცი, ვიცი, გავაკეთებ ყველაფერს, რასაც შევძლებ...

მარინა უნდა დალოდებოდა, სხვა არაფერი დარჩენოდა. თითქმის ათი საათი იყო, როცა ჯიპით კიპოში ჩააღწია, რათა მანუფაქტურის დუქნები შემოერბინა და საუკეთესო ხარისხის ვაბარდინისთვის მიეგნა. დახუთული იდგა, ათასობით ჯიპისა და ავტობუსის გამოხაზოლქვებისგან მარინას ყელში ლიტინი დაეწყო და სუნთქვა უჭირდა. თავი დაადო და გაემართა ერთ-ერთი დიდი უნივერსიტეტისკენ, სადაც გამყიდველებთან შევეჯერება არ მოუხდებოდა და ოცდაათობმეტ პესოდ იყიდა ვაბარდინი. იქიდან შეიარა ბაზარში, რათა აქაურ ფასებს მიმარჯებოდა, — აქ ყველაფერი ბევრად უფრო ძვირი იყო, ვიდრე მის ქალაქში.

შუადღეს მარინამ გადაწყვიტა ბულვარზე, ბინძურ პატარა სასაუნეში⁴ ესადილა. იატაკზე ეყარა ქალაქის ნაფლეთები, მაგიდას კერძების ნარჩენები მიხმობოდა.

ხალხით სავსე ქუჩაში რომ გავიდა, გაახსენდა, როგორ გააფრთხილეს, მანილა სავსეა ქურდებით, რომლებიც გამეღელებს ჩანთებს სტაცებენ ხელიდანო და მაგრად მიიკრა მკერდზე თავისი პატარა ჩანთა, მისი თასმა ხელზე დაიხვია. არ უნდოდა სამპალოკში ნათესავებთან მიბრუნება და გარე ბიძაშვილის შეწყუბება, იმ ვადარეული ბავშვების აურზაურით ნერვების დაწყვიტაც არ უნდოდა. ამიტომ მარინამ გადაწყვიტა, რისალინა და ესკოლტეს ავენიუებზე ჩარიგებული მალაზიები დაეგლო, მით უფრო, რომ მანილაში დიდი ხანია, არ ყოფილა, ჯგლეთა, ჭეჭეჭა, ოფლიანი სახეები, სანტა-კრუსის ვიწრო და მიღრეცილ-მიღრეცილი შესახვევების მყრალი სუნი და ავენიუს უკან ჰიან-ჰველების ბუდესავით მოფართიფურთე შეუკები—ყველაფერი ეს როგორ არ ჰგავს დაბლობის მშვიდ ცხოვრებას. როცა მარინა ესკოლტეზე აპირებდა გადასვლას, იქვე გაჩერდა მაკატაში მიმავალი კონდიციონერიანი ავტობუსი, — ასეთი ავტობუსების

¹ 1981 წლამდე ფილიპინების რესპუბლიკაში არსებობდა საგანგებო ვითარება, რომელიც ჭერ კიდევ 1972 წლის სექტემბერში შემოიღეს.
² ესაა ნუევა ესინის პროვინციის ცენტრი მანილიდან 110 კმ-ზე.
³ თავისებური სამარშრუტო ტაქსი, ჯიპის შასით, საქალაქო ტრანსპორტის ფილიპინების დედაქალაქისთვის ტიპური სახეობა.



არსებობა გაზეთებიდან იცოდა. ცდუნებას ვერ გაუძლო და ჩაჯდა, მაგრამ შიგნითაც ცხელია.

მაკატის რაიონი ნამდვილად სულ შეცვლილა: მალა აზიდუ-ლი მინის შენობები, ფართო, სწორი პროსპექტები... კიდევ ტროტუარები, წყსალსაწრეტი თხრილები, რომლებშიც ტალახი აღარაა. მანიალა საერთოდ უფრო სუფთა გახდა, მაკატი კი მთლად ციალებდა სისუფთავით. „მთლად ამერიკასავითაა“, — ასე თქვა მაკატიზე ურბანიზაციის პრობლემებზე წაკითხულ ლექციებში სამინისტროდან ჩამოსულმა მდივნის მოადგილემ. ირგვლივ ყველაფერი სიმდიდრესა და ძლევამოსილებაზე ღიღინებდა. ამბობენ, აქ ერთ-ერთი სახლი მინისტრ გუსმანს ეკუთვნისო. რა დაჯდება ასეთი სახლის აგება? ლექტორმა აუხსნა მსმენელთ, გუსმანი ძალზე მომჭირნე, ყაირათიანი კაცია: ის არასოდეს არ ჯდება ტაქსში, მხოლოდ ჯიპით მგზავრობსო. თუ ამერიკა ასეთია, მაშინ მარინას უფროსი ვაჟი გულს იჭერებს ამგვარი ცხოვრების სურათების ნახვით, ხოლო როცა შეერთებული შტატების მოქალაქე გახდება, დედ-მამას გამოუგზავნის მოწვევას, რათა მათაც იგემონ იქაური სამოთხის დარი ცხოვრების სიტკბოებანი. დიან, მომავალი აქ, მაკატიშია. მაგრამ, თუ ასეა, მაშინ ამერიკაში გამგზავრება რა საჭიროა?

მომდევნო დღით იმ ქალმა სამინისტროში მარინა კიდევ უფრო გააცბუნა: ქაღალდები კი ვიპოვნე, მაგრამ მათში არ არის არცერთი ახალი ფორმა — „1-12“, რომელიც ადმინისტრაციულ განყოფილებაში უნდა მიიღოთ. ფორმა დაუყოვნებლივ უნდა შეავსოთ და მასზე ვიზა უნდა დაადებინოთ კადრების განყოფილებაში, შემდეგ კი ისევ ადმინისტრაციულ განყოფილებაში უნდა მობრუნდეთო. საჭირო სექტორი მეხუთე სართულზე იყო, მაგრამ ლიფტი არ მუშაობდა. მარინა ბინძურ, ფურთხიანი და ნამწვავებით სავსე კიბეს აუყვა. კედლებზე გაკრული იყო ახალი საზოგადოების მიზნებისა და ამოცანების ამხსნელი პლაკატები, რომლებიც დისციპლინის განმტკიცებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდისკენ მოუწოდებდნენ. თვითონ მარინაც ავრცელებდა პლაკატებს თავის პროვინციაში და მის სამსახურში კიდევ ეწყო ისინი გროვა-გროვა.

მოხელე, რომელთანაც უნდა ყოფილიყო ეს ფორმები, ძალზე მუყაითი და დაუღებარი აღმოჩნდა:

— მის, გეთაყვა, ზვალ, დღის მეორე ნახევარში შემოიარეთ. ახალი პარტიის გასამრავლებლად ვინმეს გაგზავნა მოგვიწევს.

— მაგრამ მე პროვინციიდან ვარ ჩამოსული, — დაიწყო ზეფწნა-მულარა მარინამ, რომელიც უკან დახევას არ აპირებდა. ის მაშინვე მიხვდა, რომ ესეც ის ძველი ფანდი იყო, და ის უფრო და უფრო მეტად ბრაზდებოდა — აქ, იმის მაგივრად, რომ რაც ევალდებოდა, ის გააკეთონ, ხალხს აბრძვიებენ, თავგზას უბნევენ. მან ჩანთაში ჩაიხედა და იქ მხოლოდ ერთი ხუთპენსიანი ნახა, მაგრამ ახსოვდა, რომ სადღაც კიდევ ორი პესო უნდა ჰქონოდა. მონახა და მოხელის მაგიდის წინდახედულად გამოღებულ უჯრაში ჩააგდო.

— გეთაყვათ, ძალიან გთხოვთ, — ხმას აუწია მან, — მონახეთ ჩემთვის ერთი ეგზემპლარი: ძალიან მეჩქარება. შეუძლებელია, არ გქონდეთ...

კაცმა ლიმილით მიხურა ყუთი, მის ზურგს უკან მდგარ ნაცრისფერ გამოღებულ კარადასთან მივიდა და საჭირო ფორმა გამოიღო. ამისთვის მან სულ ერთი წუთი დახარჯა.

მარინამ ახალი ფორმა შეისწავლა. ეს იყო კიდევ ერთი „ახალი ანექტა“, ალბათ, უშიშროების სამსახურიდან ვილაცას დასჭირდა, ერთხელ კიდევ შემემოწმებინა სახელმწიფო მომსახურება წარსული. იმათ უკვე ეცოტავებოდათ, რომ ყოველ კონტორაში თავთავიანთ, მათი ახალი მანქანაზე მბეჭდავი ქალი რომაა, ისეთი აგენტი თუ ინფორმატორი დასვეს.

ანექტის შეესებისას კითხვებზე პასუხის გასაცემად დიდი თავის მტვრევა არ დასჭირვებია. ძალიან გაახალისა პუნქტმა „იყავით თუ არა საზღვარგარეთ (როდის, სად)“. მარინამ ძლივს შეიკავა თავი, რომ არ გაეცინა. გეგონებოთ, სახელმწიფო მომსახურებებიც კი არიან, მას კი, რაც უნდა იყოს, უმადლესი განათლება აქვს, მაგრამ მარინა თავისი თავისი შებრალებას არ იყო დაჩვეული. მანაც და მისმა ქმარმაც იცოდნენ თავიანთი შესაძლებლობები და ესმოდათ, თუ რა ძვირი უჯდებათ თავზე მალა ახტომის ცდები. მათ თვითონ აირჩიეს მყუდრო პროვინ-

ციაში ცხოვრება და იმით კმაყოფილდებოდნენ, რომ ახლა საკუთარი სახლი და საკუთარი მიწა ჰქონდათ და შეეძლოთ, დამე მშვიდად სძინებოდათ. მათ არ აწუხებთ იმის შიში, რომ რაღაცა ღმერთის წინაშე წარდგომა მოუწევთ, განკითხვის ეგზეტა.

მარინამ ფორმა ადმინისტრაციული განყოფილების უფროსთან წაიღო, თუმცა, მაინცდამაინც არ იყო დარწმუნებული, რომ ყველაფერი საჭიროებისამებრ შეავსო, მაგრამ ეს ნაკლებად აშფოთებდა. ისინი შეცდომებს, ვინ იცის, როდის აღმოაჩინენ, რომც აღმოაჩინონ, თავის მართლება ყოველთვის შეიძლება. უკვე მეორე დღეა, სამინისტროში ტრიალებს, მაგრამ ჯერ არცერთი ვიზა არ მიუღია. მისდა ბედად უფროსი ადგილზე იყო ისინი ამ რვა წლის წინათ შეხედნენ ერთმანეთს რომელიღაც სემინარზე და კარგად ახსოვდა მისი შემელოტებული თავი, კეხიანი ცხვირი და ნახი ტუჩები, მაგრამ შეფთა ბერმუდესმა ვერ იცნო.

შეფი პატიოსანი და კომპეტენტური ხელმძღვანელის რეპუტაციით სარგებლობდა და მარინას ახლა უწევდა, შემემოწმებინა, ის მართლა ასეთი კაცი იყო თუ არა. მისი რიგი ღებებოდა. ისიც სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა მინებში ჩასმულ კაბინეტის კარს. ბერმუდესის უკან კედლებზე, ისევე, როგორც ყველა საკრებულოში, ეკიდა პორტრეტი პრეზიდენტისა — ის მთელსთან ერთად იყო გადაღებული.

— გისმენთ, რა გნებავდათ?

— დაწინაურებასთან დაკავშირებით გეახელით, სერ. გადაწყვეტილება უკვე დიდი ხანია, მიღებულია.

მან შეფს თავისი ქაღალდები წინ დაუდო. ბერმუდესმა მათ სწრაფად გადაავლო თვალს.

— მისის სოლსედო, თქვენ თითქოს ყველაფერი წესრიგში გაქვთ. ამის შემდეგ, აი, რას იზამთ. მე რომ ხელს მოგიწეროთ, საფინანსო განყოფილებისკენ გასწევთ: საჭიროა, გაარკვიოთ, აქვთ თუ არა იმათ სახსრები. აქ შეიძლება სიძნელებებს წააწყდეთ. შემდეგ, თუ ფონდები დაშვებულია, მინისტრი მოაწერს ხელს და ამით ყველაფერი მორჩება. და თქვენ დამატებით ას პესოს მიიღებთ მიმდინარე წლის დასაწყისიდან. ბრძანებას წინა თარიღითა აქვს ძალა. ამას აქ აღვნიშნავ.

მან ანექტის მეორე ფურცელზე რალაც დაფხაჭხა. „ვიცი, რომ თქვენ ყველანი უკვე დიდი ხანია, მსახურობთ, და მე არ უნდა მეთქვა ეს თქვენთვის, მაგრამ ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში თქვენ მოთმინების გამოჩენა გამართებთ. ის დუმი-დუმი უნდა შევავიწროვოთ, — გაახსენდა მარინას მისი გამოსვლა სემინარზე. — ჩვენ უნდა მოვუჭიროთ, მოვუჭიროთ და მოვუჭიროთ... ოღონდ, ისე, რომ ჩვენ თვითონ არ ვაღმომგვეყარონ“.

ბერმუდესმა გამამხნევებელი ლიმილით მუხტარა დაიწყო: — საფინანსო განყოფილებაში წარმატებას გისურვებთ.

ოქანში მათ გარდა არავინ იყო.

და სულ ესაა, სერ? — გაოცებით ჰკითხა მარინამ.

— მეტს რას მიბრძანებდით? განა მე რამე გამოძრია?

დაბნეულ მარინას თავისი კეთილისმყოფლისთვის მაღლობის თქმაც კი დაავიწყდა. კაბინეტიდან რომ გამოვიდა, მარინამ საბოლოოდ დაასკვნა, რომ შეფი ბერმუდესი ძალიან კარგი კაცი იყო. გაბარდინი მქნებ მასაც უნდა უყიდოს? მისი დაწინაურების ბრძანებას ძალა წინა რიცხვით რომ ბერმუდესის რეზოლუციის წყალობით ექნება?

სადილობის ნაცვლად მან სამინისტროს სასადილოში ჩხირზე წამოცმული შემწვარი ბანანები შეჭამა და კოკა-კოლა დააყოლა. ზუსტად პირველ საათზე მარინა უკვე საფინანსო განყოფილებაში იყო. მაგდებთან ჯგუფ-ჯგუფად მოქუჩებული ქალიშვილები მხიარულად ეღურტულებდნენ. სხვები გაზეთებს კითხულობდნენ ან უბრალოდ ფანჯარაში იყურებოდნენ. ამ სურათს კარგად იცნობდა მარინა, რომელიც ახლა აქ თავს სულ ისე გრძობდა, როგორც შინ, მშობლიურ პროვინციაში. განყოფილების უფროსის კაბინეტში მას უთხრეს, რომ უფროსი დღეს უკვე ვერ დაბრუნდებოდა სამინისტროში, რადგან ის. მინისტრთან ერთად იყოფებოდა საკანონმდებლო კრებაზე, სადაც ბიუჯეტი იხილებოდა.

აქ დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა და მარინამ გადაწყვიტა, რა ხანია, კინო არ მინახავს და ახლა მაინც შევალო — მართლაც, უკვე ხუთი წელია, რაც კონდიცირებულ კინოთეატრში არ ყოფილა.

ჯერ დილის რვა საათიც არ იყო, მარინა საფინანსო განყოფილებაში რომ მივიდა. მაშინვე თვალში ეცა, რომ აქ ტრიალებდა რამდენიმე სანდომიანი ქალიშვილი, რომლებიც სულ არაფერს არ აკეთებდნენ. ცხრის ნახევარზე მობრძანდა თვითონ ხულის ლობო, სამინისტროში ერთ-ერთი უგავლენიანესი პი-

(გაგრძელება მ-16 გვირგვინი)

საქართველო სოციალური

- ბავშვის მოქმედება მისი პიროვნების ჩამოყალიბების პირობაა.
- სწავლება უნდა იყოს ბედნიერი, ხალისიანი, საფუძვლიანი.
- საჭიროა ცოდნის გააღრმავება.
- საჭიროა მასწავლებლის პოზიციის შეცვლა.
- საჭიროა მოსწავლისადმი რწმენა.
- პედაგოგიური პროცესი უნდა გარდაქმნას ჰუმანურობისა და პიროვნული მიდგომის საფუძველზე.

ამას ქადაგებს და საკუთარი სამსწავლებლო პრაქტიკით გვიდასტურებს ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი შალვა ალექსანდრეს ძე ამონაშვილი, რომელიც ცდილობს, და არც თუ უშედეგოდ, გადაარჩინოს პედაგოგიური მეცნიერების ღირსება.

„გამარჯობათ, ბავშვებო!“
ფსევდო-მეცნიერების „მომთხოვნი პედაგოგიის“ იდეებით გაყალბებული ზღვა შრომებისაგან განსხვავებით, ეს საინტერესო და უკვე საკმაოდ პოპულარული წიგნი ბავშვისადმი სიყვარულზე, მისდამი რწმენაზე, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ჰუმანიზაციაზე მეტყველებს. ახლა კი ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს. მთელ ჩვენს სამსწავლებლო პრაქტიკას საფუძვლად უნდა დაედოს ა. ს. მკაჩარეჯოს პედაგოგიური სისტემის დედაპირი — თანამშრომლობის პედაგოგიის დედაპირი, რომელიც აღსაზრდელობასა და აღმზრდელების ერთიანი შემოქმედებითი კოლექტივის შექმნას გულისხმობს.

კეთილი და პატიოსანი!
მაგრამ, სად და რა არის აქ ახალი, ნოვატორული.
ლათინური სიტყვა „ნოვატორი“ ქართულადაა გაწმინდებული — სიხლის შემომტანი რაიმეში.

შემომტანი!
პედაგოგიური ნოვატორობა ყოველთვის როდი ნიშნავს ან სულაც არ ნიშნავს აქამდე სრულიად უცნობის, გაუგონარისა და მოულოდნელის პირველად თქმას.

პედაგოგიური ნოვატორობა არსებითად აზრის მოძრაობაა შეფარდებით იმ პრობლემებთან, რომლებიც პრაქტიკულად არ არის ათვისებული, და, მამასადავ, გადაჭრილი.

მრავალგზის გაგვიფიქრია, წაგვიკითხავს, გაგვიხსენებია კიდევ პედაგოგიის კლასიკოსთა ბევრი საოცრად მართალი ნათქვამი.

თუნდაც მარჯ ფაბიუს კინტილიანე — რომაული აღზრდის თეორეტიკოსი. პირველი საუკუნე. პირველი!

იგი მოგვიწოდებს: დაე მასწავლებელი იყოს უბრალო სწავლებელში, მომთმენი მუშაობაში, უფრო მონდომებულ, ვიდრე სასტიკი და მომთხოვნილი. ხალისიანად უპასუხოს მას, ვინც შეკითხვებს იძუება და მისცეს შეკითხვები ჩუმ ბავშვებს. შექებაზე ნუ იქნება მეტად ძუნწი, მაგრამ, ადვილადაც ნუ დაარიგებს მათ.

კინტილიანეს თხზულებანი ხელახლა „აღმოაჩინეს“ აღორძინების ხანის ჰუმანისტმა პედაგოგებმა. ასეთი იყო ვიტორინო დე ფელტრე — ცნობილი იტალიელი ჰუმანისტი-პედაგოგი. მეთხუთმეტე საუკუნე. მან დააარსა სკოლა — „სიხარულის სახლი“, საიდანაც განდევნილი იყო ფიზიკური დასჯა და მოქმედებდა მოსწავლეთა თვითმმართველობა.

სკოლა — „სიხარულის სახლი“!

ჰუმანიზმის იდეებმა იტალიიდან საფრანგეთში გადაინაცვლა.

ფრანსუა რაბლე — საფრანგეთის ერთ-ერთი უდიდესი ჰუმანისტი. მე-თექვსმეტე საუკუნე. თავის სახელგანთქმულ რომანში „გარგანტუა და პანტაგრუელი“ იგი წერდა, რომ გარგანტუას აღმზრდელთან მეცადინეობა იმდენად სასიამოვნოა და მიმზიდველი, რომ წააგავს მეფის დროსტარებას, ვიდრე მოწავის აღზრდას.

კიდევ ერთი საუკუნე და იან ამოს კომენსკი — დიდი ჩეხი პედაგოგი. იგი მითითებს, რომ სწავლება მიმზიდველი და ადვილი გახდეს.

— ბავშვმა უნდა აკეთოს ის, რაც მას უნდა, მაგრამ მას მხოლოდ ის უნდა უნდოდეს, რაც თქვენ გინდათ გააკეთებინოთ.

ამ შეგონების ავტორია ჟან ჟაკ რუსო — მეფრანგულ საუკუნის გამოჩენილი ფრანგი განმანათლებელი.

შემდეგ — მეცხრამეტე საუკუნის რუსი რევოლუციონერი დემოკრატები. და კონსტანტინე უშინსკი.

საქართველოში იაკობ გოგებაშვილი. და რა მერე?

განა ამ და პედაგოგიის კლასიკოსთა სხვა შეგონებებმა გაიკაფეს გზა სკოლისა და სამსწავლებლო პრაქტიკისაკენ?

მაგრამ ცოცხლობს მკაჩარეჯოს პრინციპი. ამ პრინციპს უმყრება აღზრდის პროცესის ჰუმანიზაციის ის პრაქტიკული გზები, რომლებსაც აუშუავეს და თავის კოლეგებთან — ნანა ყიფიანთან, მზია ჭყონიასთან, ნანა ც. დაჭკორიასთან, დარეჯან მერკვილაძესთან და სხვებთან ერთად იყენებს შ. ა. ამონაშვილი.

მოვესმინოთ თვითონ მას და ვნახოთ, როგორ იბადება შემოქმედების სიხარული.

— ჩატარეთ გაკვეთილი მკაცრი ტრადიციული წესების მიხედვით: „დას-

ხელით სწორად! ხელები უკან წაიღეთ! არ გაინძრეთ! მოიხშინეთ!“ მრევლი მოსწავლეებს დავალება მიეცა სიმკაცრით და სერიოზულობით, წმინდა დიდაქტიკური სულისკვეთებით და ბავშვებს მალე მოსწყინდებოდა სწავლა. განა არა, ვცადე რამდენიმე გაკვეთილის ჩატარება „გადაცემისა და დატყვევების“ პრინციპის მიხედვით, მაგრამ ამ გაკვეთილებზე მოწყენილები იყვნენ (დაცემისა და დატყვევების) მაშინ გადავწყვიტე, აღარ ჩამეტარებინა ბავშვებთან ერთობლივი მუშაობის სიხარული მოკლებული გაკვეთილი. მე გადავწყვიტე, ხშირად მოვიწვიო გაკვეთილებზე მომუსი — სიხარულისა და სიცილის ღმერთი, რათა გაკვეთილიდან გავეძეო მორფეუსი — ძილისა და სიზარმაცის ღმერთი.

როდის უხარიათ ბავშვებს გაკვეთილებზე ყოფნა?

— გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ სიცილი არა მარტო სტიმულს აძლევს შემეცნებით პროცესს, არამედ თვითონვეა შემეცნების ერთ-ერთი საშუალება და შედეგი. მაგრამ იგი გაკვეთილიდან განდევნილია. ბავშვების ხალისიანი სიცილი ჩემთვის მნიშვნელოვანი პედაგოგიური პრობლემაა. ისინი ჩემს გაკვეთილებზე „სერიოზულად“ იციან. მე მათ ვავალებ, მოიფიქრონ მოთხოვნები „სასაცილო“ შინაარსის სურათების მიხედვით და კლასში სიცილი იფეთქებს. ჩემი ბავშვები მაშინაც იციან, როცა მე წინასწარგანზრახვით შეცდომით წაგიკითხავ ტექსტს და მათ დავალებული ექნებათ აღმოჩინონ ჩემი „შეცდომები“. მე კი ამ დროს სერიოზულ სახეს მივიღებ და ჩემსად დავიჭინებ, ვიდრე ისინი თავიანთ სიმაართეს არ დამიბტიკებენ. ისინი იციან მაშინაც, როდესაც ვთხოვ, თვითონ მიკარნახონ მაგალითები, რომლებსაც საგანგებოდ შეცდომით ამოგხსნი. ჩემ „შეცდომას“ რომ იპოვნინა, სიცილით დამიწყებენ მტკიცებას, რატომ არა ვარ მართალი. ჩემი აზრით, სიცილი პოზიციის დამკვიდრებისა და რწმენის გამოვლენის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო საშუალებაა. მე ისეთ გზას ვეძებ, რომ კი არ „ჩავეწყო“ ცოდნა მოსწავლეების თავებში, არამედ თვითონ ეცადონ, „წამართვან“ იგი, დაუფლონ მას ჩემთან ინტელექტუალურ ბრძოლაში, შეიძინონ იგი მულდმივი ძიებით და გაუჩნდეთ ცოდნის ჩაუქრებელი წყურვილი.

ეს რომ ასე მოხდეს, შ. ა. ამონაშვილმა მოიგონა პედაგოგიური „ეშმაკობანი“, იგი წინაღობებს დგამს მოსწავლეთა შემეცნების გზაზე, თუმცა, ცხადია, მასწავლებლისათვის უფრო იოლია მოსწავლეს ზუსტად ფორმულირებული დავალება მისცეს და ზუსტი პასუხი მოითხოვოს.

დიდი ხნის წინათ ლევ ტოლსტოიმ შენიშნა: — სკოლები ისე კი არ ეწყობა, რომ ბავშვებისათვის მოსახერხებელი იყოს სწავლა, არამედ ისე, რომ მასწავლებლებისათვის იყოს მოსახერხებელი სწავლება.

ეს ინერცია დღესაც გრძელდება. შ. ა. ამონაშვილი ცდილობს, დაძლიოს იგი.

ექვსი წლის ასაკის ბავშვები.

მაგრამ ისინი იზრდებიან, კლასიდან კლასში გადადიან და ვიდრე სკოლას დაამთავრებენ, წინ ბევრი, ძალზე ბევრი გაკვეთილი ელოთ.

როგორი უნდა იყოს იგი — თანამედროვე გაკვეთილი?

პასუხი ამ კითხვაზე უკვე გაიცა რესპუბლიკური პედაგოგიური პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილებში, სადაც ნაჩვენებია, თუ როგორ მივალთ იმას, რომ „გადაცემისა და ათვისების“ უნაყოფო მოწყენილობის ნაცვლად, მასწავლებელთან თანამშრომლობის პირობებში მოსწავლეები საპროგნოზო მასალას ძირითადად გაკვეთილებზე სწავლობდნენ. მასწავლებელი უნდა გახდეს გაკვეთილებზე მოსწავლეთა დამოუკიდებელი სასწავლო მუშაობის ორგანიზატორი, ე. ი. უნდა სრულყოფილ გაკვეთილის სტრუქტურა, ჩატარების მეთოდიცა, შინაარსი და მაშინ ბევრი მტკიცებელი პრობლემა მოიხსნება. მათ შორის ისეთიც, როგორიცაა საშინაო დავალებებით მოსწავლეთა გადატვირთვა, აგრეთვე „ორიანის“ პრობლემა და სხვ.

რა შეეკალა თანამედროვე გაკვეთილის შემოთავაზებულმა სტრუქტურამ? შეიცვალა მთავარი — მასწავლებლის დამოკიდებულება მოსწავლეებისადმი.

თანამედროვე გაკვეთილის შემოთავაზებული სტრუქტურა და მისი ჩატარების მეთოდიკა რეალურად უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ჰუმანიზაციას და ცვლის მასწავლებლის პოზიციას. ამ სტრუქტურის საფუძველიც „თანამშრომლობის პედაგოგიის“ იდეაა — მოსწავლისადმი პიროვნული მიდგომის, მისდამი რწმენისა და ნდობის იდეა. ისევე, როგორც ჰუმანიზმის პედაგოგიური პრინციპი დაელო საფუძვლად საშემოდგომოს ნაცვლად, განმეორებით გამოცდების იგნისის ბოლოს ჩატარებას, რასაც წინ უძღოდა 1-2 საგანში სწავლაში ჩამორჩენილ მოსწავლეთა სკოლაშივე, მასწავლებლის ხელმძღვანელობით თითქმის ერთთვისანი ყოველდღიური მეცადინეობა. თანამშრომლობის პედაგოგიკითაა ნაკარნახვი ასეთი პრაქტიკაც, რამაც საფუძველი გამოაძალა სკოლასა და ოჯახს შორის კონფლიქტური ხასიათის ურთიერთობას. სწავლების სემესტრულ სისტემაზე გადასვლაც ამ მიზანს ემსახურებოდა და ამიტომაც აღიარა იგი 1982 წელს გამართულმა საქართველოს სსრ მასწავლებელთა V ყრილობამ.

ძველი პრობლემებისადმი ახლებური მიდგომა სადღესო მოთხოვნაა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოიხმინა შ. ა. ამონაშვილის ანგარიში თბილისის № 1 საექსპერიმენტო სკოლაში ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ და მოიწონა იგი.

ღრო თავისას აკეთებს.

თანამშრომლობის პედაგოგიკა ვაბედულად მიიკვლევს გზას სკოლისაკენ.



ოთარ ქინელაძე



ივეტიანი

მედიკალური
გიგანტობიზნოსი

სწავლა
ქოცხა
სიკეთე
მკვებია



ეროვნული
გრაფიკული

გულა ამონაშვილის ექსპერიმენტი

თომ მალსა ლუთიანაშვილისა





გუნდის კარი

მესამე და მეოთხე წლისათვის.



ოც და მეორე გამოცემა (110,000).

შესრულებული ახალი განყოფილებით — „გაგონარაობა“.
შეავალი სფრაითი. საქართველოს ახალი გრძელი კატეტი და
ფრანკის პატარა პატარა.

ფასა ყველა 70 კპ.

თბილისი, 1912.

შარვალი-მბეგ, ბ. ლომინაძისთან, მისი, ქ. სპ. სახლი, №5.

რეული ყვავილებიც ვაიშალა. გაზაფხულის სითბომ ხეებიც ზამთრის ძილიდან გამოათხიზლა: ჯერ კოკორი გამოიტანა ხეებმა, მერმე თეთრი ყვავილები გადაიშალა და ბოლოს ხშირი ფოთლებით შეიმოსა. ყველაზე ადრე ნერგმა გამოიფოთა მწვანედ. დიდგულა, ცაცხვი, მურყანი, მუხა, ნეკერჩხალი ერთი მეორის შემდეგ საამურად იშლება და იფოთლება. ჭალა, სადაც ზამთარში კაცის თვალს არაფერი დაემალებოდა, სრულიად იბურება, ასე რომ შიგ ადარაფერი ჩანს. მინდორი შედგებულ ბალახით აივსო; მრავალი ყვავილი ვაიშალა. ზამთარში ბუნება ყოველთვის ერთგვარია; კაცი სულ ერთსა და იმავე თოვლს ან ტიტველა მიწას ხედავს; გაზაფხულზე კი ყოველ დღეს ახალ-ახალი რამე ჩნდება: აქ მტრედისფერმა თავის-ყურამ თავი ამოყო, იქ ვაიშალა ზამბახი და გარშემო საამური სუნი მოჰბინა; აქ მწვანეში ელვარება დაიწყო მარწყვის პატარა თეთრმა ყვავი-

გაზაფხულის მზემ ნადირებიც ვაიშალა: დათვმა, ზოარბმა, ციყმა და სხვებმა ბუნაგებს, ხის ფულუროებს თავი დაანებეს და ტყე-ჭალას მოედგნენ. კაცი ნადირთ იშვიათად ხედავს და ამიტომ ციციის, თუ იმთა რარიგად უხარიათ გაზაფხულის დადგომა. მაგრამ შინაურ საქონელს კი ყველა ამჩნევს სიხარულსა და სიამოვნებას. ეს საცოდავები მთელ ზამთარს ბოსელში ტუსაღებივით იყვნენ დამწყვდეულნი; იქ სთბილოდათ და საქმელიც საქმაოდ ჰქონდათ, მაგრამ მოშორებულნი იყვნენ გამაცოცხლებელ მზის შუქსა, წმინდა ჰაერსა და თავისუფალ მოძრაობას. მწვანე და ნოყიერი ბალახის მაგივრად მთელს ზამთარს ხმელი თივით, ფუჩიქით და ბზით იკვებებოდნენ. მოვიდა გაზაფხული და ამგვარი შემავიწროებელი ცხოვრებიდან შინაური საქონელი გამოიხსნა. ამიტომ დიდ სიხარულში არიან. ბოსლიდან გამოშვების შემდეგ თავის სიამოვნებას კუნტრუშით იჩენენ. ისინიც კი დახტაან, რომელნიც ზამთარმა ისე დამწყვდევა, რომ სიარულის დროს ფეხები ეხლართებათ სისუსტის გამო.

ეს ღრო ადამიანისთვისაც დიდად სიამოვნოა. გაზაფხულის სითბო აფხიზლებს მას, წმინდა და შეზავებული ჰაერი მთელ სხეულს სიცოცხლით უვსებს და დიდ კმაყოფილებას აგრძნობინებს; ფრინველების ჭიკჭიკი და მრავალგვარი ვალობა იმის ყურსა და სმენას ტკბილად შეაქცევს. ერთი სიტყვით, ამ დროს ბუნება სიამოვნებით სავსეა. მაგრამ ვინც ბუნებაზედ უფრო ახლოა, იმას ამგვარი სიამოვნებისთვის არა სცალია. გლეხკაცებს მუშაობის დრო მოუყვიათ. გაზაფხულის მზე გარეთ გასარჩელად იწვევს. იმათაც არ ეხარებათ... სამუშაოდ გაემზადნენ. ზოგი ურემს მართავს, ზოგი გუთანს აკეთებს, ზოგი ფარცხსა სწნავს. ვისაც ვენახი დამარხული ჰქონდა, ვახები ააყენა, გასხლა და სარები შეუდგა. გუთნებიც შეიბა; ხნავენ საგაზაფხულოს, ფარცხავენ და სთესავენ: სიმინდს, ქერს, ფეტვს, შვრიას, ლობიოსა და სხვას. ბოსტნები დაბარეს, კვლები გააკეთეს და დათესეს: კარტოფილი, ხახვი, ცერცვი, კომბოსტო, ჭარხალი, სტაფილო და სხვა. ამ მუშაობაში მაისიც გავიდა. აქამდე თბილოდა, ახლა კი დაცხა; მაშასადამე, გაზაფხული გათავდა და ზაფხული დადგა...

გაზაფხული


ლე დეკემბრიდანვე მატულობს; ცხრა მარტს დღე დამეს სრულიად უსწორდება და გაზაფხული ამ რიცხვიდან იწყება. ამ დროიდან მზე უფრო და უფრო გვიახლოვდება, სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ მალა-მალა მოდის, უფრო ადრე ამოდის და გვიან ჩადის, ამიტომ დღე დიდდება, დამე კი თანდათან პატარავდება. რამდენიც ღრო გადის, იმდენი მზე უფრო გვიპირდაპირდება და თავის სხივებს უფრო დასწვრივ გზავნის. ამიტომ ქვეყანა თანდათან თბება. თოვლი მინდორსა და მთებში დნება, ყინული წყალში თხელდება, ტყდება და წყალს მიაქვს. მდინარეები საშინლად აღიდანენ; რუებში წყალი აღარ ეტევა: ნაპირებზე გადმოდის და გარეშემო მინდვრებსა რწყავს. მდინარეებში გასვლა ძნელი ხდება. რომელს მდინარეშიაც პატარა ბიჭები კვლავ ფეხით გარბი-გამორბოდნენ, ამ დროს ურმითაც ვეღარ გადიან. ზოგიერთს მთის ლელეში, სადაც მზე ვერ უდგება, თოვლი გაზაფხულის სითბოს ჯერ კიდევ უძალიანდება, მაგრამ ტყუილად: ბრწყინვალე მზე ამ თოვლსაც მალე აქცევს წყლად და აღიდებულს მდინარეში გაავზავნის.

გაზაფხული ყველგან ერთ დროს არ იწყება. სამხრეთისკენ მდებარე ქვეყნებში უფრო ადრე დადგება ხოლმე. რომელი ქვეყანაც ჩრდილოეთისკენ არის, ის უფრო გვიან მოესწრება ხოლმე გაზაფხულს. მაგალითად, აპრილში ჩვენში მინდვრები მწვანითა და ყვავილებით არის მოფენილი, რუსეთში კი ამ დროს ჯერ ისევ თოვლი ძევს. თებერვალში ჩვენში ისევ ზამთარია, სპარსეთში კი ამ დროს გაზაფხულია გაჩაღებული.

გაზაფხულის სითბომ მთელი დედამიწა ვააღვიძა. აიღო თუ არა თოვლი ველზე მაშინვე მწვანე ბალახმა თავი ამოყო. ნათესმა მინდორმა იწყო საამური ბიბინი მწვანე ხავერდივით. აქა-იქ აღ-

ლმა, რომელიც გაზაფხულის გასულს გაწითლდება და გემრიელ ხილად გადაიქცევა. ბალი, ვაშლი, მსხალი, ნუში, ატამი იმოსება ზოგი თეთრი და ზოგი თეთრ-წითელი ყვავილითა.

გაზაფხულს თან მრავალი ფრინველი მოსდევს. აგერ, რალაცამ მალა ცაში დილით ზარივით აიძლიერა შემოსძახა; ეტყობა ტოროლა მოსულა. პატარა ხანს უკან მარდი და კეთილი მერცხლებიც გვეწვევიან. შროშანი, მოლალური, დალა, მწყერი, გუგული ერთი მეორის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში სიხარულით მოდიან. მინდორი, ტყე და ჭალა სხვადასხვა ფრინველებით ივსება. ამათი ვალობა და ჭიკჭიკი, ჭყვიელი და სტვენა მთელს ბუნებას აღვიძებს. წეროები, გარეული ბატები და იხვები, მალა ჰაერში დამწყრივებულნი, ჩრდილოეთისკენ მიდიან. ბულბულიც მალე ვააბედნიერებს ჩვენს ქვეყანას თავისი მოსვლით და ჭალას სანატრელს ლექებს დასძახებს. ზოგიერთი მოსული ფრინველები ჩვენში არ ჩერდებიან, ჩრდილოეთისკენ მიდიან: მაგალითად, წეროები და გარეული ბატები. უფრო ბევრი კი მთელ ზაფხულს ჩვენთან რჩება. რომელნიც ჩვენთან რჩებიან, ბუდის კეთებას იწყებენ: დაფრინავენ, ჭყვიან, ირჯებიან. აგროვებენ ხის ხმელ ტოტებს, ჩალას, ხავსსა, ბუმბულსა და თავისს მომავალს შვილებს ბინას უკეთებენ. ბუდ-რუგუნა ჭიანჭველები, ჭრელი პეპლები, უშნო ბუზანკალები მრავალნი ჩნდებიან. კაცის შემაწუხებელი კოლო, ქინქლო და სხვა მფრინავი და მცოცავი მწერები, რომელთა ხსენებაც არსად იყო ზამთარში, გაზაფხულზედ ათასობით მოჰფენენ ხოლმე მიწას და ჰაერს, მხნე ფუტკარი, რომელმაც მთელი ზამთარი თბილ სკაში ძილით ვაატარა, გაზაფხულზე იფხიზლებს, თავის წმინდა სანთლის ოთახს თავს ანებებს, ბზულით მიფრინავს ყვავილებსკენ და იქ ტკბილ წვეს აგროვებს თავლის გასაკეთებლად.



ვაუკითხეთ პატარებს



პოეზია

სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემია მეცნიერებს ენიჭებათ სამწლიანადში ერთხელ ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის შესწავლაში გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისათვის. ამ საპატიო ჯილდოს მფლობელთა სიაში, სახელოვან ქართველ ისტორიკოსთა შორის პირველად ჩაიწერა მეცნიერი ქალის სახელი და გვარი — ნანა ხაზარაძე.

...ნანა ხაზარაძის პირად არქივში ჩემი ყურადღება გაყვითლებულმა ფურცელმა მიიპყრო. იგი მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში ნანას სწავლის პერიოდს განეკუთვნება და დათარიღებულია 1955 წლით. ეს არის ნანას მეცნიერ-ხელმძღვანელის, საყოველთაოდ ცნობილი აღმოსავლეთმცოდნის პროფესორ ვ. ავდიევის რეცენზია მის სადიპლომო ნაშრომზე „ურარტუს სავარო პოლიტიკა ძვ. წ. VIII საუკუნეში“. გამოჩენილი მეცნიერის დასკვნით, დიპლომანტი უკვე საცხებით მზად იყო დამოუკიდებელი მეცნიერული მუშაობისათვის ისტორიაში, რამდენადაც მას საფუძვლიანად ჰქონდა შესწავლილი ურარტული ენა და კარგად იცოდა ძველი ბერძნული. ამ დროისათვის ნანა უკვე ინგლისურსაც დაეუფლა. ალბათ, ძნელი არაა მიხვედრა, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ სამხადისი იყო ქართველი ხალხის ეთნოგენეზის რთულ და მრავალმხრივ საინტერესო პრობლემასთან შესაჭიდებლად.

პირველი ნაშრომი ნანა ხაზარაძემ 1960 წელს გამოსცა სათაურით — „მუშქების ქვეყნის“ სახელწოდების აღდგენისათვის თუქულთი-ნინურთა II-ის „ახალეში“. თემა გამიზნულად იყო შერჩეული. ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ისტორიკოსთა ერთმა ნაწილმა ასურული წყაროების მუშქები — მუშქები ქართველური ტომის მოსხების (ამ ფორმით გვხვდება ეს სახელი ანტიკური ხანის ავტორებთან), მესხების წინაპრებად მიიჩნია, რაც გაიზიარეს ქართველმა ისტორიკოსებმაც. მაგრამ მალე მუშქების წარმომავლობასთან დაკავშირებით წარმოიქმნა სხვა კონცეფციებიც, საჭირო გახდა პრობლემის გადასინჯვა უახლესი მეცნიერული მიღწევების საფუძველზე და ახალი დამაჯერებელი არგუმენტების მოტანა იმ თვალსაზრისის განსამტკიცებლად, რომელსაც მეოცე საუკუნის ევროპის ფრიად ავტორიტეტულ მეცნიერებთან ერთად ქართული ისტორიოგრაფიაც იზიარებდა.

მუშქების განსახლებისა და მათი ვინაობის გარკვევა წინასწარ მოითხოვდა ან-

ტოლიისა და წინა აზიის, სამხრეთ ამიერკავკასიისა და ბალკანეთის ვრცელ ტერიტორიაზე ძვ. წ. II-I ათასწლეულებში მოსახლე მრავალრიცხოვან ტომთა ეთნოგენეზის კვლევას. ამასთან, თუ წყაროთა სიმცირესაც გავითვალისწინებთ, ცხადი გახდება დასმული ამოცანის არაჩვეულებრივი სიძნელე, რასაც შესანიშნავად გაართვა თავი ახალგაზრდა მკვლევარმა. მან ასურულ, ურარტულ, ლუვიურ-იეროგლოფურ, ძველებრაულ, ძველსომხურ და, რა თქმა უნდა, ქართული წყაროებიდან, აგრეთვე, აურაცხელი ახალი არქეოლოგიური მასალიდან მისხალ-მისხალ შეარჩია და ამოკრიბა საჭირო ცნობები და მეცნიერული ანალიზის ქურაში გადადნო ისინი, კრიტიკულად გადახარშა ყოველივე და ისე წარმოადგინა ახალი არგუმენტები თავისი მეცნიერული პოზიციის სისწორის დასაბუთებლად.

ყოველი ახალი დასკვნა, ახალი დებულება პერიოდულად გამოჰქონდა და მათ სისწორეს ამოწმებდა ადგილობრივ, საკავშირო და საერთაშორისო მეცნიერულ ფორუმებზე. თბილისსა და ერევანში, მოსკოვსა და ლენინგრადში, ლეიფციგსა და ლონდონში, ლეიფციგსა და ბუდაპეშტში, კოლევებთან კამათში თანდათან იხვეწებოდა და დასრულებულ სახეს იღებდა მეცნიერის კონცეფცია.

ამასობაში გავიდა ოცი წელი. ნანა ხაზარაძემ გამოსცა არაერთი საინტერესო გამოკვლევა (მათი რაოდენობა დღეისათვის უკვე ორმოცს აჭარბებს). პირველი ეტაპის სამუშაოები შეჰამდა მის მონოგრაფიაში „აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში“. მონოგრაფია 1978 წელს გამოქვეყნდა.

ახლა უკვე შეიძლება შეჯამებულიყო ხანგრძლივი კვლევის შედეგები ქართველთა ერთ-ერთი უძველესი ტომის მოსხ-მესხების ისტორიის შესახებაც. ასეთი შემაჯამებელი ნაშრომი გამოიცა 1984 წელს. ეს იყო ნანა ხაზარაძის მონოგრაფიული გამოკვლევა „საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები. მოსხები“, სწორედ ამ წიგნმა დაიმსახურა გასულ წელს აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის პრემია.

ამ ნაშრომით ნანა ხაზარაძეს, ძველად-მოსავლეთმცოდნე ისტორიკოს ქალთა შორის პირველს, მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

...ნანა ხაზარაძის ცხოვრების ზოგიერთი არსებითი შტრიხის წარმოსახენად,

მას რამდენიმე კითხვით მივმართეთ:

— ქალბატონო ნანა, რამდენადაც ვიცო ალიზარდეთ მედიცინის მუშავეს, ლეონი და შემდგომაც მთელ ცხოვრებას ეძღვნა გარემოცვაში ატარებთ. სიქვენი მამამისი ტონი ვლადიმერი, ცნობილი ექიმი იყო, მამა — შესანიშნავი დასტაჟარია, მეუღლე ჩვენს ქვეყანაში ცნობილი კარდიოქირურგი და მეცნიერია, მამამთილი — ბატონი ეგნატე ფიფია, ჩვენი სასიქადლო მეცნიერი და დიდი მამულიშვილი, სახელოვანი პიროვნება გახლდათ. თქვენი ვაჟიც მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატია. რამდენად ეთვისება თქვენს საქმიანობას ეს გარემოცვა და გიქმნით თუ არა ის რაიმე დაბრკოლებას მუშაობაში?

— ჩვენს შორის სრული თანხმობაა. უფრო მეტიც, ჩემს „სამედიცინო გარემოცვაში“ დიდი პატივითა და ყურადღებით სარგებლობს საქართველოს ისტორია და საერთოდ მსოფლიო ცივილიზაციის პრობლემები აღმოსავლეთს შეეხება ის, თუ დასავლეთს. მამას მიაჩნდა (ასე უწოდებდა და ახლაც ასე მოიხსენიებს ხოლმე ქალბატონი ნანა ბატონ ეგნატეს), რომ სამშობლოს სიყვარულისა და მისი წარსულისადმი პატივისცემის გრძნობის გარეშე რამდენადმე მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება შეუძლებელია. ამ ჭეშმარიტებას ის ყოველდღიურად შთაგვაგონებდა. მისი ყურადღება და სიტბო ძალას მმატება მეცნიერულ მუშაობაში, ჩემი ნაშრომების პირველი შემფასებელიც ის იყო.

— კოლექტივში აქტიურ საზოგადოებრივ მუშაკადაც ვიცნობენ, თქვენ ხუთი წლის მანძილზე მეთაურობდით ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის პარტიულ ორგანიზაციას. ამ ხნის განმავლობაში ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება შეძელით და სწორედ ამ დამსახურებისათვის მოგენიჭათ მთავრობის მაღალი ჯილდო, მედალი: „შრომითი მამაცობისათვის“. საინტერესოა, როგორ ახერხებდით „დამაბულ“ მეცნიერული კვლევისა და აქტიური საზოგადოებრივი მუშაობის შეთავსებას?

— მოგესხებათ, ჩვენი ინსტიტუტი მეცნიერულ-შემოქმედებითი დაწესებულებაა და მისი მრავალრიცხოვანი კოლექტივის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობა საკმაო შრომასა და დროს მოითხოვს. მაგრამ როცა ეს მუშაობა ისევ ქართული მეცნიერების განვითარებასა და სრულყოფას ხმარდება, როცა მხარში ვიდვას კოლექტივის დიდი ნაწილი, პირველ რიგში კი შენი მასწავლებელი, დიდი მეცნიერი, ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი, დახარჯული დრო დიდ აზრს იძენს და შრომაც გიმსუბუქდება.


— კიდევ ერთი ტრადიციული შეკითხვა: როგორია თქვენი მომავლის გეგმები?

— საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ მეცნიერული მუშაობის პროცესში ყოველი უცნობი მასალის ამოხსნა ახალ პრობლემებს ავლენს. მომავლის გეგმებიც ამ ახლად წარმოქმნილ პრობლემებთანაა დაკავშირებული.

მართლაც, ჭეშმარიტების ძიებას მეცნიერებაში დასასრული არა აქვს.

გურამ მაისურაძე,

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.



მუშაკი

ფაბრიკაში უმეტესობა ქალიშვილები არიან, ისინი საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე მოვიდნენ აქ, სწრაფად დაეუფლნენ საქმეს. მარჯვე ხელებით ახვევენ და გრეხენ აბრეშუმის ძაფს, ქსოვენ ნაირ-ნაირ ქსოვილებს...

თავად ფაბრიკაც ახალგაზრდაა. 1986 წელს დაიწყო მან პროდუქციის გამოშვება, მაგრამ ერთ წელიწადში ათჯერ გაიზარდა მისი საწარმოო სიმძლავრე.

მალე დასრულდება ფაბრიკის ადმინისტრაციული კორპუსის მშენებლობა, მუშების სამსახურში ჩადგება საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, გაიხსნება ფართო, კეთილმოწყობილი სასადილო სამასი მუშისათვის. მოეწყობა გასახდელები, შხაპები, სპორტული დარბაზი...

ფაბრიკის მოწინავე კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა საბჭოთა კავშირის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილ შრომით ვახტზე დგას. მათ წლიური გეგმის შესრულება ამ თარიღისათვის ივალდებულეს.



როგნება. მას ყავისფერი გაბარდინის კოსტუმი ეცვა — მარინამ იცნო ქსოვილი, რომელსაც ასე თავდაუზოგავად ეძებდა. რაკი მინის პანელში დაინახა, რომ ხულიო ლობო მაგიდას მიუჯდა, შევიდა. განყოფილების გამგე გულისყურით ეცნობოდა სწრაფრამკერების დასტას და პატარა კალკულატორზე რაღაცას ითვლიდა. მან მარინას თავისი გადმოკარკლული თვალებით შე-
მოხედა, სქელი ტუჩებით რაღაც ღიმილის მაგვარი გამოხატა და პკითხა:

— ხო?

მისის სოლსედომ საჭიროდ არ ჩათვალა ფუჭად ლაპარაკი და დოკუმენტები წინ დაუწყო, თუმცა, იმის თქმა კი არ დავიწყინა, რომ ის პროვინციიდან იყო ჩამოსული.

— თქვენი ქალაქები აქ დატოვებთ, — თადარიგი დაიჭირა უფროსმა და თან ჩაიკინა. — ძალიან მეჩქარება საკანონ-
მდებლო კრებაზე და დავბრუნდები დღის ბოლოს, არა-
უგვიანეს ხუთი საათისა. მაშინ შემოდით და ჩვენ ყველაფერს შევხედავთ... — და თავი დაუქანა, რითაც მიახვედრა, რომ მათი საუბარი დამთავრებული იყო.

მარინას ისევ თავისუფალი დღე რჩებოდა. გუშინდელი კინო დიდი არაფერი გამოდგა, არადა, როგორმე უკეთეს გუნებაზე დადგომა იყო საჭირო — მღელვარებისა და გაძულებული და-
მაბულობისაგან კუჭი ტკიოდა და კეფაშიც რაღაც ტკივილს გრძ-
ნობდა. და მაინც უფრო ბედნიერი იყო, ვიდრე მისი ზოგიერთი კოლეგა, რომლებმაც ადმინისტრაციულ განყოფილებაში მთელი კვირა იჯახირეს, მაგრამ თავიანთი საქმისა ვერაფერი ვარკვეეს. სხვა სამინისტროებში ამაზე უარესი ვითარებაც კი იყო: მარინას ნაცნობი ერთი მასწავლებელი ქალი იძულებული გახდა, მხოლოდ ახალ ადგილზე გადაყვანაში ათასი პესო გაეღო.

ვესტიბიულში ჩამოსულმა მარინამ დაინახა, რომ ყინულავდა და გადაწყვიტა, ქუჩაში კი არ გასულიყო, დაგვემვისა და კად-
რების მომზადების განყოფილებაში თავისი ნაცნობები მოე-
ნახულებინა. სამი საათიდან უკვე დაიკავა თავისი რიგი ლობოს კაბინეტთან. ყურადღება მიაქცია იმას, რომ აქ ახალი საბეჭდი მანქანები იდგა და არა ისეთი ჯართები, როგორც მათთან, პრო-
ვინციის ელვით. ქალიშვილები უნიფორმამაც კი ძალზე კონ-
ტად ჩაეკლდნენ, მაღალქუსლებიანი ფეხსაცმელი ეცვათ და ვაშამ-წვეულებებზე წასასვლელად გამზადებულსავეთ შე-
ლებილი იყვნენ. მარინამ ჩანთიდან ამოიღო წიგნი, რომელიც წინა დღით უყიდა თავის რომანების მალმერთებელ ქალიშვილს და პირველი გვერდების წაითხვა სცადა. მაგრამ ვერც ირვინ შოუს მძაფრმა სტილმა და ვერც მაკარტის დისკოკლუბის მომა-
ვალ მონახულებებზე ქალიშვილების ხმაძალმა ბჭობამ ვერ გა-
ნუქარვა მას შიშნული ფიქრები.

ხუთს ხუთმეტე წუთი აკლდა, როცა მოვიდა ხულიო ლობო, რომელსაც ხელში ქალაქებით გაბერილი საუცხოო პორტფე-
ლი ეჭირა. სამი ქალიშვილი მაშინვე შევიდა მასთან რაღაც დო-
კუმენტებიანა, მეოთხემ კი კოკა-კოლა და ნამცხვარი შეუტანა. ისინი გამოვიდნენ თუ არა, მარინამ კაბინეტში თავი შეპყო. ხუ-
ლიო ლობოს ის მაშინვე გაახსენდა:

— ჰო, მისის სოლსედო, თქვენი ქალაქები ჯერ აქა. მაგ-
რამ მათ ხვალ, შაბათს ჩაუჭდები. თქვენ იცით, რომ მე შაბა-
თობითაც ვმუშაობ?

— არ ვიცი, სერ.

— ეგ რეა, მიწევს. — და მან ნიკოტინისგან გაყვითლებული კბილები დაკრიჭა. — ასე რომ, შესაძლოა, ხვალ დღის მეორე ნა-
ხევარში ყველაფერი გააკეთო. — ჯერ მაგიდის კალენდარს და-
აქქერდა, მერ იხევ მარინას ახედა, — მაშინ, ასე 53-ე თანრიგია, ასი პესო თვეში. ჯამში — ათას ორასი პესო წელიწადში. თქვენ კი, ალბათ, შეგეძლოთ თქვენი თავისთვის იმის უფლება მიგე-
ცათ, რომ ასე ორმოცპესოიანი ვაშამით გამმსაპინძლებოდით, ხომ ასეა?

— დიან, სერ, რასაკვირველია.

— ჰოდა, ძალიანაც კარგი. მე ჩემს საყვარელ რესტორანში დავდივარ ხოლმე — იაპონური რესტორანია, ერმიტში, პადრე ფაურას ქუჩაზე. მისი მონახვა იოლია. იქ ვიქნები კვირა საღა-
მოს, შვიდ საათზე. შევთანხმდით? თან წამოვიღებ ყველაფერს, სიტყვას გაძლევათ, რომ ყველაფერი გაკეთდება. ღმერთმანი, ჩემ-
თვის ამაზე იოლი არაფერია.

— გამადლობთ, სერ, — იჩქარა დათანხმება მარინამ.

ორმოცი პესო! თუ თვითონ არაფერს შეჭამს, ალბათ, შესძ-
ლებს მის გამაპინძლებას. შესაძლოა, ის ვაშამი 80 პესოც კი დაჯდეს. მაშინ ავტობუსის ბილეთის აბეზაც კი გაუჭირდება. და თუ ეს თანხა არ იკმარებს, ალბათ, დასჭირდება თავისი ხელ-
ფასი აქ, მანილაში, აილოს, თუკი, რასაკვირველია, მოახერხებს.

შაბათ და კვირა დილას მარინა საერთოდ არ გამოსულა გა-
რე ბიძაშვილის ბინიდან: ეშინოდა, რომ, ზღურბლს ფეხს თუ გადაადგამდა, კიდევ რამეში დაეხარჯებოდა ფული, ნათესავებს

ბრინჯის ღვეზელი მოუშადა, სამზარეულო გაასუფთავა, ქოთ-
ნების ყვავილებსაც მიხედა. საერთო ოთახი დაალაგა, ხის რიტა-
კი ცვილით მოაპრილა, საპნით მოწმინდა ჭუჭყისგან ჩაშავებულ-
ლი კაფელის კედლები. როცა საღამოსპირს მთელს რაღაცა შეი-
რიბა, ბინა ბრწყინავდა და სამურ სურნელს ატოვებდა. მარინა
ბიძაშვილი კმაყოფილი და რამდენადმე შეცბუნებულიც იყო
იმით, რომ მარინა ასე გაისარჯა. კვირა დილით მარინა კიდევ
დაეხმარა რეცხვასა და დაუთობაში, ორ საათზე კი გაემართა
ერმიტისკენ, რათა წინასწარ ენახა იაპონური რესტორანი.

ამ რესტორნის მოძებნა მართლა იოლი აღმოჩნდა. სამის ნა-
ხევარზე ის უკვე ხალხისგან დაცვას იწყებდა, მაგრამ ჯერ კიდევ
ბევრი უცხოელი, ძირითადად იაპონელები და ევროპელები,
რჩებოდა. იყო მასში რაღაც შინისმომგვარი. მარინა მიხვდა,
რომ ეს ძალზე ძვირი რესტორანი იყო. რამდენი უნდა ანუ-
ქოს მომტანს? არა, ის გულახდილი უნდა იყოს ბატონ ლობოს-
თან და პირდაპირ უნდა უთხრას, რომ ჯერჯერობით არა აქვს სა-
ამისო ფული და, როცა ხელფასი მოემატება, მაშინ იკისრებს
ნამდვილად მაგარ პურ-მარისს.

რესტორნიდან მარინა წავიდა ლიუნეტაში, — რისალის სა-
ხელობის პარკს ამ ძველი სახელით იხსენიებდა, — იქიდან კი
სასტუმრო „მანილაში“ შეიარა. მათ აქ ჰქონდათ გაოსაშვები
მეჯლისი 1955 წელს — მარინას უყვარდა ის დღე. გაახსენდა,
როგორ ეარშიყებოდა მისი მომავალი ქმარი და იმ საღამოს ცეკ-
ვების შემდეგ პირველად როგორ წავიდნენ ოტელში.

მარინა ტკებებოდა უზარმაზარი ვესტიბიულით, რომელიც
გამოქვამულს თუ მღვიმეს აგონებდა, წითელი ხის შესანიშნავი
ჩუქურთმისა და პანელების, მჭრქალად მოციმციმე მარმარილოს
იატაკით. დანაშაულად ეჩვენებოდა სქელ ნოხებზე სიარული ან
ამ ბრბლ დივანებზე ჯდომა. დიდხანია, არ ყოფილა ასეთ მდიდ-
რულ, დიდებულ ადგილას, ის განსაკუთრებით თეთრფორმიანმა
შიკრიკებმა განაცვიფრეს. ოტელი მთელი თავისი დახვეწილი
სახით ახალი საზოგადოების მიერ მიღწეულ პროგ-
რესზე მეტყველებდა. ყავის ბარში, დახლოთან, იდგა ფილიპინური
ეროვნულტანსაცმელიანი ეშხიანი ქალიშვილი, მაგრამ მარინა
თავის თავს ყავის დაუღვეის უფლებასაც კი ვერ აძლევდა. ის
მობრუნდა ვესტიბიულში, იჯდა, იქ კონდიციონერის სიგრილით
და ელევანტურად ჩაცმული ხალხის თვალთვრებით ტკებებოდა.

ხუთ საათზე მარინა პარკში გავიდა მუსიკის მოსასმენად. პი-
რველად უსმენდა, როგორ უკრავდა ნამდვილი, ცოცხალი სიმ-
ფონიური ორკესტრი — ეტყობა, ის აქ, რადიოში რომ ჟღერს
ისე კი არა, სულ სხვანაირად ჟღერდა, შვიდის ნახევარზე მარ-
ინა იაპონურ რესტორანში მიბრუნდა.

განყოფილების უფროსი ლობო უკვე იქ იყო. ცისფერი ჯინ-
სები და ფერადი მაისური ჩაუცვამს, რამაც მისი გამობერილი
მუცელი კიდევ უფრო თვალში საცემი გახდა. მეჩხერი თმები
მოპამადებული და გადასლუქილი ჰქონდა. ძვირფასი ოდეკოლო-
ნის სურნელს აფრქვევდა, მაგრამ, როცა ხელს მაღლა სწევდა,
ყველაფერს ოფლისა და უკვე დიდი ხნის დაუბანელი სხეულის
სუნი ჯანბნდა. დარბაზის გასწვრივ გაჭიმული იყო თევზით, ბად-
რიხებით, კრევეტებით სავსე გრძელი დახლი, მის უკან კი ია-
პონელების ტანსაცმელიანი ფილიპინელები კლიენტების თვალ-
წინ წვავდნენ მწვანილეულს, ხორცის ნაჭრებსა და წიწილების
პაწაწა ფრთებს. ირგვლივ სოიის საწებლისა და ცხელი ზეთის
ცხარე სუნი იდგა. წითელი ქალაქის პატარა ფარნები, რომლე-
ბიც ხორავიან თაროებს ანათებდა, ლობოს სახეს რაღაცნაირი
ავის მომასწავებელი გამომეტყველებით აღბეჭდავდა.

მარინამ ენის ბორძიკით ამოიღულულა დიდი ხნით აღრე
მომზადებული სიტყვები.

— სერ, თქვენ მოგხსენებთ, რომ მე მხოლოდ პროვინციის
მომუშავე ერთი უბრალო საქმის მწარმოებელი ვარ. ჯიბეზე
მხოლოდ ასი პესო მაქვს...

ლობომ თავისი მძიმე ხელი დაადო მუხლზე და მოუჭირა:

— ჩემო კარგო, ჩვენ მთელ ჩვენს ფულს არ დავხარჯავთ. მე
მხოლოდ ჩაის დავლევ და ჩემთვის შევუკვთავ სასმისს—ეს უმი
თევზია. ბევრის ჭამა მავნებს. აი, სიყვარულს რაც შეეხება...
ვანშმის შემდეგ მე და თქვენ ოტელში წავალთ, ეს ორმოც პე-
სოზე იაფი დაგვიჯდება...

მარინა ყურს ვერ უჭერებდა. მაშასადამე, სწორს ამბობდნენ,
ეს საფინანსო განყოფილების უფროსი მექალთანეა და ქალებზე
გადაკიდება ჩვევიაო. შეუძლებელია! შეუძლებელია! რაც განუ-
რებაა, უნდა გადავუთქმევინო, გადაწყვიტა ქალმა. მღელვა-
რებად და შფოთვამ გული აუბაგაბუგა. მენიუში ყველაზე იაფი
კერძი მონახა და ის დაუკვთა თავისთვის. აქ არც ჩანგლები
იყო, არც კოვზები და ლობო ცდილობდა, მისთვის ჩხირებით
ჭამა ესწავლებინა.

— სამი შვილი მყავს, სერ, — ხვეწნა დაუწყო მარინამ. —
ჩემი უფროსი ვაჟი უკვე ცოლ-შვილიანია და მე უკვე ბებია ვარ.

— ალტაცებული ვარ! ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ თქვენს ბებია ხართ. ჯერ არცერთ ბებიასთან არ მქონია რომანი. და თქვენი ხელები ბებიის ხელები სულაც არაა.

ლობო მწყურვალე თვალებით მიელურსმნა მის მკერდს და მარინამ იგრძნო, როგორ მოაწვა სისხლი სახეში.

— და ძუძუებიც ასეთი სახე გაქვთ. მოდი, ვნახოთ როგორი ძუძუები აქვს სამი შვილის დედას.

— სერ, თქვენ ისეთი კარგი ქალიშვილები გყავთ განყოფილებაში...

— ოჰო, უკვე შეგინიშნავთ! — გაიცინა ლობომ. — მაგრამ ისინი ჯერ მთლად ნორჩები არიან და არავითარი გამოცდილება არა აქვთ. მათ უნდა ასწავლო და ასწავლო, მე კი სულ მუდამ მასწავლებლობა მომბეზრდა, ყოველთვის ვამბობდი და ვამბობ, რომ ლამაზ, მოწიფულ ქალს არაფერი შეედრება. აი, თქვენ რომ ხართ, ისეთს...

და კაცმა ისევ მოუჭირა ქალს ხელი ფეხზე, ოღონდ, ახლა უფრო ზევით მოუჭირა.

— მე უკვე ორმოცდახუთი წლისა ვარ.

— რას ამბობთ, ოცდათხუთმეტ წელზე მეტს არავინ მოგცემთ.

მარინას ისლა დარჩენოდა, რომ მორჩილად წაჩანჩალებულიყო მის კვალდაკვალ მანქანამდე, რომელიც იქვე ახლოს დაეყენებინა. როცა კონდიციონერიანი ავტომობილის კარები დაიკეტა, კაცმა ქალს უთხრა:

— ეს თქვენ სულ ერთ საათს წაგართმევთ, მაგრამ თუ ძალიან მოგეწონებათ, შეგვიძლია, ორი საათიც დავყოთ იქ, — და ბულვარისკენ შეუხვია.

მარინას ყელი გაუშრა, მაგრამ თავაზიანობა მართებდა: მისი ბედი ამ კაცის ხელში იყო.

— სერ, დღეს არაფერი შემიძლია. არ შემიძლია... — კიდევ ერთხელ სცადა უსასოომ გაბრძოლება, — რომც მინდოდეს, არ შემიძლია...

კაცმა მისკენ შეაბრუნა გაბადრული სახე: მთელი თავისი გამომეტყველებით აგრძობინებდა, რომ ამაოდ ირჯებოდნენ და განზრახვის ასრულებას ვერ გადააქმევიანებდნენ.

— მარინა, მე წუნია არა ვარ.

როცა მარინა ოტელის ნომერში აღმოჩნდა, ერთხელ კიდევ სცადა, თავი შეეცოდებინა კაცისთვის:

— სერ, გვედრებით, როცა მივიღებ, ფულის ნახევარს თქვენ მოგცემთ. პირობას ვაძლევთ!

— კაი სულელი ხარ, ხომ იცი, — წაიბურტყუნა გულმოსულმა ლობომ და გაოცებული თვალებით მიაჩერდა, — მე განა ფული მინდა, როგორ არ გესმის? — და მან გადაწყვეტილი შემოიხსნა ქამარი.

მაგრამ ქალს მინც არ ჰყოფნიდა ძალა ადგილიდან დასაძვრელად. მაშინ კაცმა მას დაუყვირა:

— მიდი, გაიხადე, თორემ მე თვითონ ვაგაძრობ...

— „ო, საწყალი ჩემი ქმარი, ო, საწყალი ჩემი შვილები“, —

დაიკვნესა მარინამ, რომელიც გრძობდა, თუ როგორ ფაქტობდნენ მის სხეულზე ოფლიანი თათები.

დედაშვილის სახლში დაახლოებით ცხრა საათზე მიბრუნდა. ლობომ ის ესპანეთის ქუჩის კუთხეში ჩამოსვა და მხედველად და დამცირებულად გრძობდა და თავისი თავისაღმირ უსაშველო ზიზღით იყო გათანგული, ის თავის სხეულზე ისევ გრძობდა ლობოს ხელების ფაქტურს, გრძობდა მის ყიამყრალურ სუნთქვას, ისე ცხადივც ხედავდა მის გაქონილ სახეს, რომ გული ერეოდა. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ხვალ ის ვაჟბატონი კიდევ უნდა ენახა — ლობომ თავი არ შეიწეუნა მისი ქალადების წასაღებად, თუმცა, ამას შეჰპირდა.

მარინას მთელი ღამე თითქმის არ მოუხუტავს თვალი და დილით ისე გრძობდა თავს, თითქოს ლებინებით მოშლილიყოს. მაგრამ საქმე ბოლომდე უნდა მიეყვანა, იმის შემდეგ, რაც გუშინ მოხდა, ყველაფერზე ყაბულს იყო.

განყოფილების გამგე ლობომ, ვითომ არც არაფერი მომხდარიყოს, მზიარულად ჩაუკრა თვალი მასთან შესულ მარინას. მარინამ ვერ აიძულა თავი, რომ შეეხედა ამ ქონიანი, ავხორცეულად მომღიმარე სახისთვის.

— ჩვენ ახლა მეორე სართულზე, მინისტრთან ავალთ, — უთხრა ლობომ, წამოდგა და ხელში აიღო საქალაღდე, რომლითაც ქალმა თავისი საქმე იცნო.

მინისტრის უშველებელ კაბინეტში იატაკი ხალიჩებით იყო დაფარული, ცისფერშალერეიან კედლებზე ეკიდა პრეზიდენტისა და მისი მეუღლის ერთად გადაღებული სურათები. კაბინეტის მეორე ბოლოში ჩამწყვრივებინათ რბილი სკამები, რომლებზეც ლამაზი ქსოვილი იყო გადაკრული. უამრავი დეკორატიული მცენარე ახარებდა თვალს, უურნალების მაგიდაზე შემოდგმულ ბროლის ლარნაკში ზიზღები ეწყო. მინისტრი არკადიო ვუსმანი ხელს აწერდა ქალაღდებს, რომლებსაც მას ორი მდივანი აწვდიდა. მასაც გაბარდინის კოსტიუმი ეცვა, მარინა მიხვდა, რომ ეს უფრო ძვირი ნაჭერი იყო.

ლობო ქალაღდებიანად მივიდა მინისტრთან. მინისტრმა თავი ასწია და ლოთის ამღვრეული თვალები წამითა შეავლო მარინას, მაგრამ მაშინვე იცნო ის. საქმეში მისი გვარ-სახელი ნახა და უთხრა:

— ჰო, თქვენ მისის სოლსედო ხართ. მახსოვხართ, როგორ არა, თქვენ კონცერტზე ჰიმნს იწყებდით. რასაკვირველია, სიამოვნებით მოგიწერთ ხელს ქალაღდებზე, — და იმავწუთს ჰკითხა ლობოს: სახსრების საქმე როგორაა, გაქვთ?

— გვაქვს, სერ, — დაუმოწმა ლობომ.

მინისტრმა ხელი მოაწერა და ისევ მიუბრუნდა მარინას:

— მისის სოლსედო, როგორაა საქმეები იქ, თქვენთან? რა სიძნელეებს აწყდებით? მოგესხენებათ, რომ ყოველდღე როდი ვხვდებით თქვენი რევიონის მუშაკებს, რევიონი კი ახალი საზოგადოების მშენებლობის პროგრამაში ერთ-ერთ წამყვან როლს თამაშობს. იქ ყველაფერი რიგზეა?



მარინას სახეზე შეფიქრანება აღებუქდა — ცდილობდა, გაეგო, სერიოზულად ეკითხებოდნენ თუ ეხუმრებოდნენ. და მას კიდევ ის აოცებდა, ამ დილაღრიან როგორ უნდა დამთვრალიყო კაცი. ყოველ შემთხვევაში, პასუხი არ დაუყოვნებია:

— ჩვენს რეგიონში ყველაფერი ჩინებულიადაა, სერ.
— მომისმინეთ, — მიმდობლურად უთხრა მინისტრმა, — თქვენ შეგიძლიათ, ჩემთან სრულიად გულწრფელი იყოთ. მხოლოდ სიმართლე მოგვცემს კარგი შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. ჩვენ საპნის ბუშტების კომპეტების აგებას არ ვაპირებთ. მე ფაქტები მჭირდება.

მარინა სოლსედომ ისევ დაუკრა კვერი:
— ჩვენთან ყველაფერი კარგადაა, სერ, — გაიმეორა.
— ამას რა სჯობია, — ალერსიანად წამოიძახა მინისტრმა. — მაგრამ თქვენ თავდაუზოგავად და დაუცხრომლად უნდა იმუშაოთ. ჰო, თქვენ ყველამ ასე უნდა იმუშაოთ. უნდა გახსოვდეთ, რომ ჩვენ ხალხს ვემსახურებით და ახალ საზოგადოებას ვაშენებთ. და მოხელეებს პროგრესული ნაციის შექმნაში თავიანთი წვლილის შეტანის იშვიათი საშუალება აქვთ.

ყველაფერი ეს იგულისხმება, მხოლოდ მარინას კი არა, კაბინეტში მყოფი მთელი ჯამათის გასაგონად ითქვა, კაბინეტში, რომელიც მოხელეებით, უფრო დაახლოებული ქვეშევრდომებითა და მუქთახორებითაა სავსე.

— რასაკვირველია, სერ, — კვერი დაუკრა მარინამ.
— ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვიმუშაოთ. ამას „თანამშრომლობის სულისკვეთება“ ჰქვია. თანამშრომლობისა, და კიდევ, განახლებისა. დაწინაურება შესანიშნავი საქმეა, მაგრამ დამსახურებული კადრები უნდა დავაწინაუროთ. და ჩვენ დაწინაურებას მაშინლა დავიმსახურებთ, როცა ხალხს ერთგულად ვემსახურებით...

ავტობუსის ბილეთის ყიდვის შემდეგ მარინას ორი პერსონაჟი დარჩა. მან დამარტყლილი ხორცის სამი ბუტერბროდი დაიმარაგა, რათა შინ დაბრუნებისას გზაზე დანაყრებულიყო. ივლისის ნათელი ღღე იდგა, წვიმების სეზონი უკან დარჩა და დაბლობი დაისამდე მზით იყო გასხივოსნებული.

ქალაქში ის ჩავიდა ექვს საათზე, როცა უკვე ბინდებოდა, მოტორიქმისთვის საჭირო ფული რომ გამოეზოგა, გადაწყვიტა; სახლამდე ფეხით მისულიყო. მიძიმე ხელბარგი არ ჰქონდა — პატარა ჩანთა და საკვითაი, რომელშიც მისი რალაც-რალაცები, გაბარდინი, ირვინ შოუს რომანი და ორი ვაშლი ელაგა.

ავტობუსის სადგური უკან დარჩა, სახლები სულ უფრო და უფრო იშვიათდებოდა. ისინი ცხოვრობდნენ პატარა ქალაქის გარეუბანში, სადაც ბოსტნეულის მოყვანაც შეიძლებოდა და წიწილების ყოლაც. ასფალტი მოუკარწყლავი გზით შეიცვალა. მაგრამ აქ ფარნებიც არ ანათებდა. მარინამ სწორედ გზის განტოტებასთან გაუხვია, როცა სიბნელიდან მამაკაცი გამოვარდა და მის ხელჩანთას წაეჭანა, მოულოდნელობისა და შეპრწუნების მიუხედავად, სასიკვდილოდ თავგამეტებული მარინა ჩანთას ჩაეჭიდა, მაგრამ თავდამსხმელი ძლიერი იყო, მან მარინას ხელი ჰკრა და წააქცია. მამაკაცი ჩანთა გამოსტაცა და გაიქცა. მარინა გაეკიდა და თან ხმამაღლა მისძახოდა: „ჩანთაში ფული არ დევს, იქ მხოლოდ ჩემი ქალაღდება!“ მაგრამ საეჭვოა, რომ მძარცველს ეს გაეგონოს — იგი სწრაფად გაუჩინარდა.

თავზარდაცემული და დაბეჭილი ქალი ნელა წამოიდა. სახლამდე ჯერ კარგა დიდი გზა იდო, ის კი უკვე ქანცვაცილი იყო. აილო საკვითაი, რომელშიც თავისიანებისთვის ნაყიდი რალაცები ეწყო. წვიმამ დაუშვა, მაგრამ მისი ქოლგა გატაცებულ ჩანთაში იდო. თუმცა, მარინას ვალუმპვა არ აშინებდა — ის მხოლოდ დაკარგულ ქალაღდებაზე ფიქრობდა. არადა, ისლა იყო დარჩენილი, რომ ის ქალაღდება მოლარისთვის წარედგინა და ხელფასი გაუდიდებოდა. წინა წლების გამოცდილებით იცოდა, რომ მანილაში დებეშების გაგზავნით მოპარული ქალაღდებას ღებლიკატებს ვერ მიიღებდა. საჭირო იქნებოდა ყველაფრის თავიდან დაწყება და ისევ ამ გოლგოთაზე ასვლის პერსპექტივა აძრწუნებდა.

დაისის მქრქალ შუქზე გამოჩნდა მისი თუნუქის სახურავიანი სახლი, რომლის თავზეც ხეხილის ვარჯები ჩანდა. შინ შევიდა და ნახა, რომ მისიანები, უკლებლივ, ვ. ხმობდნენ. ისინი წამოხტნენ და ამ დროს დაინახეს მისი შემოხეული კოფთა და ტალახი მის სიკვდილისფრად მკრთალ სახეზე, მისი სველი, გაწეწილი თმები, სოლსედომ არ ძალუძდა, მათს უამრავ კითხვაზე პასუხის გაცემა და უკვე ცოცხალ-მკვდარი იყო. იგი ჩაიკეცა და მისმა წყენამ და მრისხანებამ იფეთქა და გულისდამთუთქველად აქვითინდა. და არავითარ დამამშვიდებელ სიტყვებს, არავითარ აღერსს, გულში ჩახუტებას არ ძალუძდა მისი ცრემლის ღვარის დაშრობა.

თარგმან ჯუზუპარ თითთაჩიან

მოსახლეობის ღირსების ზრდა და პერსპექტივები

მსოფლიო მოსახლეობის რიცხოვნობა მარჯვენ 5 მილიარდში შეადგინა და თანაც ადამიანთა დემოგრაფიული ისტორიის მანძილზე ბოლო მილიარდი აცოგრიობას ყველაზე მოკლე დროში — 11. წელიწადში შეემატა.

ამამდროვე მსოფლიოს მოსახლეობის რიცხოვნობის ესოდენ სწრაფი ზრდა, მისი პერსპექტივები და ამგვარად მატერიალურ და სულიერ ფასეულობათა მთავარი მწაროდებლური ძალისა და მომხმარებლის მომავალი მატების ტემპები და მასშტაბები, სულ უფრო მეტ დაინტერესებას იწვევს მეცნიერების, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეებისა და საზოგადოების ფართო ფენებში. ამიტომაც შემთხვევითი არ იყო, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გეო) მიერ 1974 წელი გამოცხადდა ხალხთმოსახლეობის წელიწადად და ბოლო ხანებში სისტემატურად მუშავდება და ქვეყნდება გეოს დემოგრაფიული განყოფილების მიერ მსოფლიო მოსახლეობის რიცხოვნობის სხვადასხვა ვარიანტის გრძელვადიანი პროგნოზები. ჩვენც სწორედ უახლოესი ერთ-ერთი ვარიანტის ყველაზე რეალურად მიჩნეული დემოგრაფიული პროგნოზის მონაცემებს მოვიყვანთ მსოფლიო მოსახლეობის რიცხოვნობის მომავალი ზრდისა და რაოდენობის შესახებ. როგორი იქნება მსოფლიო მოსახლეობის რიცხოვნობის მომავალი ზრდა? ამისათვის თვალი უნდა გადავავლოთ მოსახლეობის ზრდის ტენდენციებს დღემდე.

საბოლოოდ დადგენილი და მიჩნეულია, რომ მსოფლიო მოსახლეობის რიცხოვნობა ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში უდრიდა 250 მილიონ კაცს, 1500 წელს — 500 მილიონს, 1820 წელს — 1 მილიარდს. ასე რომ, ჩვენს ხანაში მსოფლიო მოსახლეობის რიცხოვნობის პირველ გორაკეებს დასჭირდა 15 საუკუნე, მეორე გორაკეებს — 300 წელიწადი, მესამეჯერ მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობა გორაკედლა დაახლოებით 100 წლის შემდეგ და 1927 წელს მიღწია 2 მილიარდს, მეოთხე გორაკეებამ მოითხოვა მხოლოდ 50 წელიწადი და 1975 წელს მსოფლიო მოსახლეობის რიცხოვნობამ შეადგინა 4 მილიარდი, ხოლო 1986 წელს — 5 მილიარდი.

წარსულში, დედამიწაზე ადამიანის წარმოშობიდან მრავალი ათასეული წლის მანძილზე, მსოფლიო მოსახლეობის რიცხოვნობის ესოდენ ნელი ტემპით ზრდა ძირითადად გამოწვეული იყო კაცობრიობის ადრინდელ ეტაპზე და შემდგომ პერიოდში მწაროდებლური ძალების განვითარების დაბალი დონით, ადამიანებზე ბუნების მთლიანი უკონტროლო ბატონობით, სხვადასხვა სტიქიური და სოციალური კატაკლიზმით, ქრონიკული ეპიდემი-

ებითა და შიმშილობით, გამუდმებული ომებითა და შიდა-ტომობრივი ბრძოლებით, რაც მასობრივად ავლებდა მუსრს მოსახლეობას. ამ ვითარებაში შობადობის მაღალ ფიზიოლოგიურ შესაძლებლობათა დონესთან ერთად ასევე მაღალი იყო სიკვდილიანობის დონე, განსაკუთრებით ბავშვებში, ხოლო სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა არ აღემატებოდა 20 წელს. თანაც ზოგჯერ სიკვდილიანობა უტოლდებოდა და სჭარბობდა კიდევ შობადობის დონეს, რის გამოც ცალკეულ პერიოდებში მოსახლეობის რიცხოვნობა არც იზრდებოდა.

ამ მხრივ მდგომარეობა არსებითად არც ნეოლითის შემდგომ და ჩვენი დროის შუა საუკუნეებში შეცვლილა. მაღალი შობადობის გვერდით კვლავ ძველებურად მძვინვარებდა მაღალი სიკვდილიანობა, რომელიც ნთქავდა მოსახლეობის ბუნებრივი მატების ძირითად ნაწილს.

ჩვენი წელთაღრიცხვის მე-18 საუკუნიდან შეიმჩნევა და იწყება დედამიწაზე მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის ტემპის ერთგვარი მატება, რაც უკავშირდება და ქრონოლოგიურად ემთხვევა კაპიტალიზმის აღმოცენება-განვითარებას, რასაც მოჰყვა მრეწველობის ზრდა და სოფლის მეურნეობის ამოღება, საკვები პროდუქტების წარმოების გადიდება, ამასთან ერთად მედიცინის რიგი სიახლენი და მიღწევები, რომელთაც გავლენა მოახდინეს დემოგრაფიულ მოვლენებზე, სახელდობრ, უფრო მეტად შემცირდა სიკვდილიანობის დონე, რამაც საგრძნობლად გაზარდა ბუნებრივი მატების ტემპი.

მიუხედავად ამისა, მე-18 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ საგრძნობლად მაღალი იყო სიკვდილიანობის დონე, ამასთან, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა თვით განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში არ აღემატებოდა 45-50 წელს, მეფის რუსეთის ევროპულ ნაწილშიც კი 32 წელს შეადგენდა.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში შობადობასთან ერთად მკვეთრად შემცირდა სიკვდილიანობის დონე, განსაკუთრებით ბავშვთა სიკვდილიანობა, და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობამ მთელ რიგ განვითარებულ ქვეყნებში მაღლა 72-74 წელიწადს, ანუ იმდენით იმატა, რასაც მანამდე მთელი საუკუნე დასჭირდა. ყოველივე ამან საბოლოოდ გამოიწვია მსოფლიოში მოსახლეობის რიცხოვნ-

ნობის მანამდე არნახული ზრდა.

ამ პროცესზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სოციალიზმის გამარჯვებამ მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში, აგრეთვე კოლონიური და ნახევრადკოლონიური ასზე მეტი ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამ, რასაც მოჰყვა პროგრესული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები. უმრავლეს განვითარებად ქვეყნებში ომის შემდგომ პერიოდში სიკვდილიანობის დონე თითქმის ორჯერ შემცირდა სანიტარული და ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებისა და იმ სამედიცინო დონისძიებათა შედეგად, რასაც საერთაშორისო ორგანიზაციები ატარებდნენ სხვადასხვა ქვეყანაში.

სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის უსწრაფესი ტემპები და მსოფლიოს გლობალური ე. წ. „დემოგრაფიული აფეთქება“, რომელმაც აშკარად თავის ზენიტს მიაღწია და რომლის შედეგებზე მსოფლიო მასშტაბით შედარებით კონკრეტულ წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი ფაქტი: დედამიწაზე ადამიანთა არსებობის მთელი დროის მანძილზე მსოფლიო მოსახლეობის რიცხოვნობამ პირველ მილიარდს მიაღწია 1820 წელს, მეორის შემატებას დასჭირდა მხოლოდ 110 წელიწადი (1927), მესამის — 33 წელიწადი (1960), მეოთხის — 15 წელიწადი (1975), ხოლო მეხუთე მილიარდის შემატებისათვის საკმარისი აღმოჩნდა 11 წელიწადი (1986).

ომის შემდგომ პერიოდში მსოფლიო მოსახლეობის რიცხოვნობის ესოდენ სწრაფმა ზრდამ და „გამოლიარდება“ ბევრს შეუქმნა ილუზია შემდგომში თითქმის ყოველწლიურად მილიარდით მატების შესახებ, რამაც წარმოშვა მრავალი ისეთი ნეომალთუსიანული თეორია და პროგნოზი, რომლებშიც „დასაბუთებულია“ დემოგრაფიული მიზეზით დედამიწის კატასტროფის გარდაუვალობა. ერთ-ერთი ასეთი პროგნოზით, რომელიც ემყარება ბოლო 2 ათასწლიური წლის მანძილზე მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის ტემპებს, „გაანგარიშებულია“, რომ მომავალში კაცობრიობას ემუქრება დაღუპვა არა შიმშილით, არამედ „სულის შეხუთვით“, რასაც ვითომ ადგილი ექნება „2026 წლის 13 ნოემბერს, ხუთშაბათს“.

ამავე დროს, თანამედროვე მსოფლიოს საერთო დემოგრა-



სტენოგრაფიული ანგარიში
საპარტიულს თეატრალური საზოგადოების
მეათე ყრილობისა
1987 წლის 26 იანვარი
ა. თვილისი

ყრილობას ხსნის სსრ პარტიის სახალხო არტისტი, სოციალისტური შრომის გმირი ვერიკო ანჯაფარიძე

ამხ. ვ. ანჯაფარიძე:

რა შესანიშნავად გამოიყურება ჩვენი დარბაზი! ალბათ, ყველა, ვინც აქ არის, ყველა ხელოვნებასთან არის დაკავშირებული. ხელოვნება არის ჩვენი, თქვენი, ალბათ, ყველასი, უდიდესი საშუალება, ვუმღეროთ ბედნიერ ცხოვრებას, ჩვენს დღევანდელობას, ჩვენს შვილს, ჩვენს სამშობლოს, ვუსურვოთ მას ბედნიერება, წინსვლა, მაღალი სულიერი განცდები. ბედნიერება ჩვენს ხალხს, რომელსაც ხელოვნებასთან აქვს მჭიდრო კავშირი. ხოლო ხელოვნება არის ადამიანის უმაღლესი, მე ვიტყვოდი, ადამიანის სულიერი გრძნობა.

სალამი თქვენ, ჩემო ძვირფასო მეგობრებო! (ტაში).

ჩვენ დღეს უკვე მეათე ყრილობას ვხსნით. ასევე მინდა ამ მეათე ყრილობის წინ, რომელიც ალბათ, კიდევ შემატებს ჩვენს პროფესიას, მაღალ პროფესიას, რაღაც სიახლეს, კიდევ ერთხელ მოგესალმებით და ვუსურვოთ დიდი ბედნიერება ჩვენს მამულს, ჩვენს შესანიშნავ ხალხს, ჩვენს ულამაზეს მზარეს და ჩვენს დღევანდელ დღეს, გისურვოთ ყველას ბედნიერება. (მქუხარე ტაში).





გულში

ირინე ტალიაშვილი

მ

ამა, ჯმუხი, სახეკუშტი ქართული გლეხკაცი მაგიდასთან იჯდა და აბოლებდა. ქალიშვილი კედელთან მიდგმულ საკარძელში ჩამჯდარიყო. ფეხი ფეხზე გადაედო. დაძაბული სახით მისჩერებოდა მამას და უხერხულობის გრძნობა აწვალებდა.

მამა ის-ის იყო ჩამოვიდა სოფლიდან. კარგა ხანია, ერთმანეთი არ ენახათ და თითქოს გაუცხოებულნიყვნენ. სტუდენტობისას ქალიშვილი, კიდევ არა უშავს, სოფელში ჩადიოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც სწავლა დაამთავრა, თავისიანებისთვის იშვიათადაა იცლიდა. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ხომ ფეხი არ ჩაუდგამს... მშობლების და სოფლის გახსენებაზე პირველად დამნაშავესავით გრძნობდა თავს, მაგრამ მერე და მერე ამ გრძნობასაც შეეჩვია, ბოლოს კი ისე გაიტაცა საყვარელმა საქმემ, რომ წერილის წერაც ეზარებოდა.

მშობლებს მის გარდა კიდევ ჰყავდათ სამი შვილი დასაბინავებელი და ისინიც ხშირად ვეღარ იცლიდნენ მისთვის. წელიწადში რამდენჯერმე დედა ჩამოაკითხავდა ხოლმე ქალიშვილს... ჩამოუტანდა ცოტაოდენ სანთვავებს, საყვებულებით აავსებდა, ჩვენთვის ვეღარ იცლი, გადაგვიდექი, გადაგვირჯული, გადაგვიჩვიო, იცოდა, რომ არ ანტერესებდა, მაგრამ მაინც მოხსნიდა ხოლმე გუდას პირს და დაწვრილებით გადმოულაგებდა სოფლის ჭორებს, მოჰყვებოდა ამ მთისას, იმ მთისას, ცოტა წაიწუწუნებდა კიდევ, გულის ფრიალი დამეწყო, ფეხები დამისივდა, სიარული მიჭირს, მგონი, წნევამაც ამიწიაო და თან საათისკენ იყურებოდა, ავტობუ-

სმა არ გამასწროსო. ქალიშვილი ამ დროს გაუგებარი ღიმილით, თავდახრილი უსმენდა და თან უნებურად, ჩვეული მანერით აჭრებდა ქალღმერთს. ხელგაჩერებული ჯდომა არ შეეძლო. სამხატვრო სასწავლებელი დაამთავრა, ახლა ოცნებობდა, აკადემიაში გაეგრძელებინა სწავლა და ბევრს მუშაობდა... ხატავდა ყველაფერს, შესაძლებლობას ხელიდან არ უშვებდა, პროფესია ერთგვარ შემოქმედებით შემოსავლადაც აქცია, ადამიანებთან ლაპარაკს გადაეჩვია, თითოეულ მათგანში მხოლოდ ახალ სახეს, ახალ დეტალს, ახალ წერტილს ხედავდა და ცდილობდა, თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. შეუპოვრად იცავდა ყოველ ახალ მიგნებულ ჩანაფიქრს, ჯიუტად მიისწრაფოდა დასახული მიზნისკენ და ვეღარ ამჩნევდა, რომ ამ მიზანმა დააშორა სოფელსაც, მშობლებსაც და მეგობრებსაც.

დედა კი ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა და ზოგჯერ ისეთ მწარე სიმართლესაც გამოურევდა ხოლმე, რომ ქალიშვილს ქალღმერთზე უშეშებოდა ხელი და გული ეშხამებოდა.

დედის ლაპარაკზე ქალიშვილი თანდათან ბოლომდე იცხებოდა, გული უშეშებოდა, ბოროტდებოდა, მაგრამ ენის წვერზე მოწოლილ საკაპასო სიტყვებს დიდი მოთმინების ფასად აბრუნებდა უკან და კვლავ ხატავდა... ხატავდა ათასგვარ იეროგლიფებს, ჩონჩხებს, კაცუნებს, დედაკაცუნებს...

ბოლოს და ბოლოს ქალიშვილის უტყვობისაგან გაბზერებული დედაც ღებოდა, უნებურად იფერხებდა კაბის კალთას, თვალცრემლიანი აგროვებდა კალათებს, ჩანთებს, ტომსიკებს, ორივე ლოყას უკოცნიდა ქალიშვილს და კარისკენ არეული ნაბიჯით მიდიოდა. ამ დროს ქალიშვილსაც ავიწყლებოდა სამღურავისგან გამოწვეული წყება, თვითონაც გულაჩუყებული ესუტებოდა მკერდზე და გაუგებრად ბურტყუნებდა. მერე თავიდან იწყებოდა ყველაფერი, გაიცილებდა თუ არა, ისევ საკუთარ სამყაროს უბრუნდებოდა, ყველაფერი ავიწყლებოდა, დედაც, სოფელიც და თავიც.

...მამა ისევ ისე იჯდა, მოკრძალებით, უცხო სტუმარივით და ნაფაზს ნაფაზზე არტყამდა. აქამდე ასე ახლოს არასოდეს ენახა შვილის სამყარო. მუზეუმში მოხვედრილი შემთხვევითი დამთვლიერებელივით აციკებდა თვალებს და თანდათან უშეშებოდა გული. მთელი სახლი დახშულ ოთხკუთხედს აგონებდა, მწვანე ფარდებისაგან ოთახს ბლანტი ჭაობისფერი დაჰკრავდა. აბსტრაქტულმა, ნახევრად გახლეჩილმა, გაორებული სხეულებმა ხომ სულ გააოგნეს!.. რაღაცნაირი, მძიმე, შემზარავი განდევილობით აეგსო სული. არავითარი განათლება არ გააჩნდა იმისთვის, რომ ამ გამოფენის ნაკლი და ღი-

რსება შეეფასებინა, მაგრამ ერთი რამ აშკარად იგრძნო, თვითოეული სურათიდან მარტოობის მძიმე სეკანდას (კრეფი) იგრძნო, თვითოეული სურათიდან მარტოობის მძიმე სეკანდა და სიცივე იღვრებოდა.

მამამ ერთხელ კიდევ დაარტყა ნაფაზი და მუხლებზე ხელშემოჭდობილ თავდაღუნულ ქალიშვილს გადახედა, ეს ყბამოქცეული, ორსახიანი კაცი ვინ არისო, შორიდან ანიშნა ერთ-ერთ ნახატზე.

აბუჩად ამგდები სიტყვების გავონებაზე ქალიშვილს ისევ სიანხვლემ მოუარა. არადა, ამ „ყბამოქცეულმა კაცმა“ სადილობო ნამუშევრების გამოფენაზე ყველაზე დიდი მოწონება დაიმსახურა, მაგრამ არაფერი უთქვამს მამისთვის, თავი უფრო ღრმად ჩაღუნა და ნიკაბი მუხლს დააჭირა. დიდხანს დარჩები ქალაქში? — წამოსცა უნებურად.

მამა შეკრთა. სიგარეტის ნამწვი საფერვლეში ჩაწყლიტა და ხელები მაგიდაზე მუშტებდა დალაგა.

— რაღაც გულმა მიმტყუნა ბოლო დროს, დედაშენი შემომიჩნდა, წადი ქალაქში, კარგ პროფესორს ვაგსინჯე, გოგოს ეყობება ვინმე ნაცნობიო, თორემ, ამ მოსავლის აღების დროს, რა წამომიყვანდა?

„ვინმე ნაცნობის“ გავონებაზე ქალიშვილმა უსიამოდ შეჰქმუნა შუბლი.

— მე ვინ უნდა მყავდეს?! რომელი დიდი კაცი მნახეთ, რომ პროფესორებს ვიცნობდე!

მამა თავისდა უნებურად მოიბუზა და მაგიდიდან მუშტები აიღო.

— კარგი ერთი, შვილო, არა გყავს და ნუ გყავს, ექიმის მეტი რა არის ქალაქში?.. — თქვა ენის ბორძიკით, დაბნევილი და თუშური ქული შესიწორა თავზე. ქალიშვილმა მალულად გააპარა თვალები მამისკენ, იგრძნო, უხეშად რომ გამოუვიდა ნათქვამი და შეეცოდა. თითქოს ახლა შენიშნა მისი შეჭდარავებული საფეთქლები, სპილენძადქცეული, მზით დაშაშრული სახე, ჭროლა თვალების გარშემო შემოკეცილი ნაოჭები, სითეთრო რომ ჩარჩენილი სიღრმეში, ყურის ბიბილოს ქვეშ მომჩვარული, მოღუნებული კანი... უცებ, თითქოს ვიღაცამ უბიძგაო, ქალიშვილი წამოხტა და სუფთა ქალღმერთად დაუწყო ძებნა. მამამ უნებურად ამოიხრა, ისიც თანდათან ამჩნევდა, რამხელა ბზარი გაჩენილიყო მასა და ქალიშვილს შორის... ერთი გული ეუბნებოდა, როგორც ბავშვობაში, ახლაც ისე წამოერტყა ხელი და კარგად დაეტუქსა, მაგრამ ქალიშვილის მოძრაობაში, სხეულის ნაკეთებში, ლაპარაკში, ისეთი სიცივე, სოუცხოვე და სიშორე გამოსჭვიოდა, რომ კაცს აღარც ეთავისებოდა, ის კი არა, პატივისცემას, მოწიწებას და ერთგვარ შიშსაც განიცდიდა ამ სიფრიფანა, მინახებულ, ჰაეროვანი ქალიშვილის სიახლოვეს.

მამამ თავი გააქნია, სკამიანად უკან დაიწია და ამოიხრა. კარგა ხანს ღუმილით უყურა ქალიშვილს, მერე ისევ საუბრის აწყობა სცადა.

— მაგ ხატვას რომ გადაჰყავი, შენს თავს როდისღა უნდა მიხედო, ე, რო ფაფხაჭელას დამსგავსებინარ?

— ჩემი ჯავრი ნუ გაქვს, — კუშტად ისროლა ქალიშვილმა და თვალები დაენისლა. თავისთავს ისედაც შეუხედავად თვლიდა და მომაკვდინებლად მოხვდა ნათქვამი... ატირდა კიდევ გულის სიღრმეში, ფანქარი გვერდზე მიაგდო და ფეხზე წამოხტა.

— ჰო, მართლა, მოშებული იქნები, რამ გამომაშტერა?!

კაცი შეშფოთდა.

— ვჭამე, გოგო, დედაშენი უჭმელს როგორ გამომიშვებდა!

მაგრამ ქალიშვილი უკვე თევზებს აჩხარუნებდა... პური, ყველი და გრძლად დაჭრილი კიტრი შემოუტანა. ცოტაოდენი ძეხვიც მოაყოლა. მერე ერთი თევში, ჭიქა, ბოთლით რომელიღაც უცხოური მარკის სასმელი დაუდგა და თვითონაც დაჯდა.

მამამ ხელი არაფერს ახლო.

— მათხოვარი კი არა ვარ, ეგრე ბაიყუ-შვივით რომ ვჭამო!..

ქალიშვილს შერცხვა, ადგა და თავისთვისაც მოიტანა, თევში კი არა, მარტო ჭიქა. სასმელი დაისხა და ყრულ თქვა, შენს ჩამოსვლას გაუმარჯოსო.

უცებ, ერთი აწვივით გადაჰკრა, თვალები დახუჭა და გაახილა. მამას ხელში შეაცივდა ჭიქა, უცნაური ჯავრი მოერია, მაგრამ თავისდა გასაკვირად კვლავ კრინტი ვერ დაძრა შვილის საქციელზე. თავი-ღა გადააქნია უკმაყოფილოდ და ჭიქა მაგიდაზე დადგა.

— უნგრული ვისკია, გასინჯე.

— არ მინდა, — ჩაიღუღუნა მამამ, — გული ისედაც ვერა მაქვს კარგად...

ქალიშვილმა მხრები აიჩიჩა.

— ახლა გულის ტკივილი მოდაშია, გულს გაფრთხილება უნდა!

— მერე რა მოდის მიმდევარი კაცი მხანგე?! — იწყინა კაცმა, შეტრიალდა და ოთახი ახლადმოსულივით შეათვალიერა. ერთი მაგიდის, სავარძლისა და სკამის მეტი ოთახში არაფერი იდგა. მამამ გაკვირვება ვერ დამალა.

— სად იძინებ ხოლმე?

ქალიშვილს გაეღიმა.

— სავარძელი იშლება... რა იყო? შენ-ზე ფიქრობ, სად დავწვიო?

კაცს ისევ მოეშალა გუნება.

— მე ცულის ყუანზეც დავტყვი, დარჩენას კი არ ვაპირებ... ე, გავალ ეხლა, ვეჩვენებ ექიმს და საღამოზე გავყვები რასმე.

ქალიშვილმა პირი მოკუშა. მამა არც ელოდა, მაგრამ მაინც ლოდან დააწვა დუმილი. სულ უფრო და უფრო ეშორებოდა შვილი, დედამიწაზე აღარ არსებობდა, ხაღვალც მეცხრე ცაში დაფრინავდა.

— ბავშვებს ერთი უცნაური ზნე სჭირთ, — თქვა მამამ მოულოდნელად, — ადამიანი რომ მოეწონებათ ხოლმე, უნდათ რომ გააბრაზონ, ყვირიან, დახტიან, ყველაფერს კადრულობენ კაცის მოთმინებიდან გამოსაყვანად, შეგიძინებია?

ქალიშვილმა გაკვირვებით გამოხედა.

— მე როდის მყვანდა ბავშვები, რა ვიცი? მაგას რაზე ამბობ?

მამამ თავის ქნევით გაიცინა.

— აი, ეს შენი სურათები იმას მაგონებენ. ეგრე ჭრელად და გაუგებრად რად ხატავ?

ქალიშვილმა გაგულსებით გადაიყარა თმა შუბლიდან.

— თქვენისთანა ხალხი ვერ გაიგებს, კუბიზმი ჰქვია მაგ სტილს...

კაცმა ხელებით გადაატრიალ-გადმოატრიალა.

— თუ ჩემისთანა ვერ გაიგებს, მამ ვისთვისა ხატავ?!.

ქალიშვილს ღვარძლმა წამოუარა, ყვირილი მოუწია, ძარღვები დაებერა და ზაფრანისფერმა გაჰკრა ღაწვივზე, მაგრამ მოთმინებას მაინც არ უღალატა.

— მაგ კუბის მეტი სხვა რამე არ არსებობს? — დაარღვია ისევ დუმილი მამამ, წამოდგა, ერთ-ერთ ნახატს მიუახლოვდა და კარგად დააკვირდა.

— არსებობს, — ჩაიღუღუნა გოგომ ჯავრიანად.

— მა, შენც რალა ეგეთი აირჩიე?

— თქვენთვის სულ ერთი არ არის? — კინაღამ წამოიყვირა ქალიშვილმა, მამა მისკენ შემობრუნდა. იგრძნო დაფარული ღვარძლი და, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა.

— რას იკბინები დღესა, ცუდად ხომ არა ხარ? — მზრუნველობით ჰკითხა.

გოგომ დამცინავად გაიღიმა.

— ჰო, თირკმლის ანთება მეწყება, — ისეთი ტონით თქვა, რომ ჯობდა, დაეყოლებინა, შენ რა გადარდებსო.

მამა ვერ მიხვდა. ძალზე შეწუხდა. უნუგეზოდ გაასავსავა ხელები.

— წამალი არა გაქვს?

— როგორ არა, საირმე და ბორჯომი.

კაცმა ისევ ვერ გაიგო, ხუმრობდა თუ მართლაც ამბობდა.

— მერე? დალიე...

გოგომ აღმაცერად გადახედა.

— გამითავდა. მავწყდება ხოლმე ყიღვა, ვერ ვიცლი...

— შენც ერთი, — ჩაიღუღუნა მამამ, მეტი ველარაფერი აკადრა. ხელი ჩაიქნია და წამოდგა.

ქალიშვილიც ამით მორჩა ლაპარაკს. შებრუნდა და იატაკზე დადგმულ ფირსაკრავთან დაიჩოქა. ძალიან ნაღვლიანი მელოდია გაისმა, ისეთი ნაღვლიანი, რომ კაცს გული შეეკუმშა. აქ ყოფნა აღარ უნდოდა, სუნთქვაც გაუჭირდა. ცოტა ხანს ფანჯარაში იყურა, ცა მოღრუბლულიყო და გაწვიმებას აპირებდა. საიდუმლო შრი-ალით და ჩუჩუნით ტოკავდნენ ხის ტოტები ავდრის მოლოდინში. კაცმა თავი ანება ფანჯარაში ყურებას.

— ეეჰ, ცოდო ხარ, შვილო, ცოდო! — მოჭრა უცებ და მაგიდიდან სივარეტის კოლოფი აიღო — წავედი!

ქალიშვილმა მუსიკა გამოთიშა. კედელთან მიიტუხა და გულხელი დაიკრიფა.

— დაბრუნდები?

კაცმა უცაბედად ტუჩების ტკივილი იგრძნო. თვლის ქუთუთოებიც დაუმიძინდა, უცნაური მოუსვენრობა დაეუფლა, ზედმეტობისა, არაფრობისა, არარობისა. მან ხალათის წინაჯიბზე ღილი შეიხსნა, ფული ამოიღო და მაგიდაზე დადო, — ეგე, რაც წამოვიღე, ეს არის... ცოტას დაგიტოვებ, დაგჭირდება, ცოტას კიდეც ექიმისთვის გადავცემ.

— არ დამჭირდება, — თქვა მტკიცედ, მშვიდად ქალიშვილმა და ფული მიუცუხრა, — აიღე, თორემ მეწყინება!

კაცმა უნებურად წაატანა ხელი.

— კარგი, — ჩაილაპარაკა სევდიანად, — უცხოები ხომ არა ვართ, — წამოსცდა, მაგრამ ფული მაინც ჩააბრუნა ჯიბეში. სრულიად დაცლილი და გამოფიტული, არეული ნაბიჯით წავიდა კარისაკენ, — სოფელში არ ჩამოხვალ?

— რა ვიცი, აბა? შეიძლება სხვა სოფელში წავიდე, ამხანაგთან... — გულგრილად უპასუხა გოგომ და მაინც ვერ შეიკავა თავი, გულისტკივილი რომ არ გაეთქვა, — ახლა ეგლა გაკლიათ იქ ვვალბნო?

— ჰო, რა ვიცი, აბა, — მამა უკვე კარის სახელურს ექაჩებოდა, — მაინც ჯობია რამე გამოსადეგ საქმეს მოჰკიდო ხელი, კარგად იყავი!

ქალიშვილი დაიძაბა. უგერგილოდ გაი-

ლიმა და მამის გაუპარსავ ლოყას ტუჩი-ბით შეეხო. წამით გააბრუნა მშობლიურმა სურნელმა, სული გაუთბო და დააღრნა კიდეც, — კარგად! — დაიჩუქუნდა მამა კარი გაუღო.

— ანო! — უკვე კარგაღმა დაიძაბა მამამ.

ქუჩაში რომ გამოვიდა, კაცმა ღრმად ამოისუნთქა. წვიმაც იწყებოდა. კაცი ფეხით გაუყვა გზას. არსად ეჩქარებოდა, არსად ელოდნენ. აღარც ექიმი უნდოდა და აღარც წამალი. გული უკვე ერთ მთლიან, გაყინულ ზოდად გადაექცა და მკერდის მიღმა უმოძრაოდ გაქცავდა. დრო-დადრო სუნთქვა ეკვროდა და ბეჭის არეში ცხელი შანთი უვლიდა, მაგრამ ამგვარ ტკივილებს შეჩვეული იყო და აღარ აქცევდა ყურადღებას. ოღონდ ახლა ძალზე უძლურად გრძნობდა თავს. ნაბიჯი დაუმიძინდა, მხრებშიც მოიხარა. ავტობუსში არ ჩამჯდარა. ცოტა კიდევ გაიარა და მეორე მხარეს გაიხედა. მოულოდნელად მალაზიის ვიტრინაში გამოფენილ ბორჯომის ბოთლებს შეასწრო თვალი. მამა გაშტერდა, ჩაფიქრდა, გამოცოცხლდა და მალაზიის მიაშურა, გადასასვლელი ცუხ-ცუხით გადაარბინა.

მამამ დახლზე თუმნიანი დაადგო და გამყიდველს შეხედა.

— რა მოვართვია, ძია კაცო?! ლუდი? ბორჯომი?

კაცმა დღუმალი გამომეტყველება მიიღო.

— საირმე, — თქვა ჩუმად, თითქოს თავისთვის.

გამყიდველი უთქმელად შეტრიალდა ცოტა ხნის შემდეგ სამი ბოთლი საირმე დააწყო დახლზე. კაცს თვალები გაუსხივოსნდა.

— მეტი არა მაქვს, ძია კაცო, ესეც აღარ მეგელებოდა. — თქვა გამყიდველმა და ბოთლები გაასუფთავა.

მალაზიიდან რომ გამოვიდა, უკვე წვიმდა... თუმცა ეშორა, მაგრამ უკან წამოსასვლელ გზასაც ფეხით დაადგა. სიარულისაგან მუხლები დაუძაბუნდა და არაქათი გამოეცალა.

„არა ჰქონდა და მიეუტან... გავახარებ... თუ გაეხარა? რალაცამ ხომ უნდა გაახაროს, კაცო? ეგრე ხო არ შეიძლება, გამოკეტვა იმ კუბოში ჰა? ხო არ შეიძლება?.. იმ...“ — სიტყვებს ვეღარ პოულობდა კაცი, ჩქარობდა. მესამე სართულამდე შეუსვენებლად ავიდა და უცებ ყრუ ჰახანი იგრძნო მკერდში. ყინული ზოდი, აქამდე გული რომ ერქვა, დაიმსხვრა და სხეულში ათას ნამცეცად ჩაიხსნა.

— ვაიმე! — დაჰკრა კაცს თავში და კიბის მოაჯირს მოეჭიდა. ერთი სართული კიდეც ჰქონდა ასასვლელი. ბოთლები მკერდზე მიიხუტა და ძალა მოიკრიფა. როგორც იქნა, მეოთხე სართულიც აათავა და ისევ დაარტყა გულზე ტკივილის მძლავრმა ტალღამ...

— ანო! — უნდოდა დაეყვირა, მაგრამ ენა გაუხევედა, მკერვივი მასით ამოეგლისა ხახა, რატომღაც კვერცხის გემო იგრძნო პირში... მოიხარა და გადმოაფურთხა. უკვე კარს უახლოვდებოდა, მიუახლოვდა კიდეც, ასწია ხელი, მაგრამ, ვერც ასწია. თვალი აუჭრელდა. მამა ზურგით მიეყრდნო კარს და ნელ-ნელა ჩაცურდა დაბლა, რომ ბოთლები არ დამსხვრეოდა.

— ანო! — დაიჩურჩულა ერთხელ კიდეც უმწეოდ, ჩახუტებულ ბოთლებს უფრო მაგრად შემოხვია ხელი, კიდეც გაიბრძოლა, გაიწია და დადუმდა კიდეც.

სკორტული კულტურის ასამაღლებლად

მ

ანადური პროვინცია ალბერტის ქალაქი კალგარი უმასპინძლებს 1988 წლის ზამთრის ოლიმპურ თამაშებს. ამასთან დაკავშირებით, პროვინციის სასწავლო დაწესებულებებში შემოიღეს სპეციალური მეცადინეობანი მოსწავლეთა სპორტული კულტურის ასამაღლებლად. ოთხი ათასი ვიდუოკანეტა საშუალებას მისცემს მათ, გაეცნონ ოლიმპური მოძრაობის ისტორიას, თამაშობათა გმირებს და ზამთრის ოლიმპიადის პროგრამაში ჩართული ცალკეული სპორტული სახეობების თავისებურებებს.

მოდარა გოჭი... ბინაჟი

ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღად იქცა პატარა გოჭების ყოლა ბინაზე. რეკლამა ამტკიცებს, რომ ინტელიგენტურობით გოჭები ჯობნიან ადამიანის დღემდე ცნობილ ყველა ოთხფეხა მფეობარს. თურმე შეგიძლიათ, სამ დღეში ისე გავრთნათ, რომ ოთახებს აღარ დახვრიან, ძაღლებზე სწრაფად ეჩვევიან ყელსახამითა და ბაწრით სიარულს და დიდი სიამოვნებით ემორჩილებიან პატრონთა განკარგულებებს. ოჯახში გაზრდილი გოჭები საოცრად ეჩვევიან ადამიანებს და თხუთმეტ წლამდეც კი ცოცხლობენ. მაგრამ რეკლამა აღარ განმარტავს, თუ როგორ უნდა მოეუაროთ ამ დრუტუნებს, როდესაც... დაღორდებიან.

ყველაზე ხანდაზმული იპაონელი ქალი

ინე ცუგავამ, ყველაზე ხანდაზმულმა იპაონელმა ქალმა ამას წინათ თავისი დაბადების 111-ე წელი იწეოდა. მისმა თანასოფლელებმა წვეულები მოაწყეს, რომელსაც დაესწრო იუბილარის შვილებისა და შვილიშვილების ოთხი თაობა. ინე ცუგავამ განაცხადა, რომ თავის დღეგრძეობას უმადლის მტკიცე რეჟიმის დაცვას: ყოველდღე დილის შვიდ საათზე დგებოდა და დასაძინებლად კი ზუსტად რვა საათზე წვებოდა.

კოლიციაც ხელს ითხოვს

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კრიმინალური პოლიციის პრაქტიკამ — დანერგოს თავისი აგენტები დამნაშავეთა სამყაროში იმ მიზნით, რომ შემდეგ მიაკვლიოს ნარკოტიკების გამსაღებლებს, აღარ გაამართლა. ერთ-ერთი ბოლო აქციის დროს აღმოაჩინეს ჰეროინის ძაღვზე დიდი რაოდენობა, მაგრამ ფრანკფურტის სასამართლომ ოთხ დაპატიმრებულ პაქისტანელთან ერთად განაჩენი გამოუტანა სამ პოლიციელსაც, რომელნიც აშკარად ცდილობდნენ, ხელი მოეთხოთ ამ საქმეზე, რამდენადაც პოლიციის დამნაშავეთა შესახებ მხოლოდ მას მერე შეატყობინეს, რაც კონტრაბან-

დისტემა ნარკოტიკების მნიშვნელოვანი რაოდენობა უკვე ბელგიაში გადაიტანეს.

ფელინის ოცდამეხუთე ფილმი

ფედერაციო ფელინის რიცხვით ოცდამეხუთე ფილმი „ჩინჭერი და ფრედი“ იტალიის კინოკრიტიკაში არ მიიღო ჩვეული აპლოდისმენტებით. არც იტალიური კინოს ფესტივალზე უჩვენებიათ, რომელიც საფრანგეთში ჩატარდა. „ჩინჭერი და ფრედი“ მწარე სატირაა იტალიის ტელევიზიაზე, „ხელოვნება გაუფასურებულა მცირე ეკრანზე, — ამტკიცებს ავტორი. — მაყურებელს სულ უფრო ნაკლებად მიაქვს გულთან ტელეეკრანზე ნაჩვენები ამბები, რომლებიც გასართობ ხასიათს უფრო ატარებენ“. ფილმის გმირები, რომელთა როლებსაც ასრულებენ ჯულიეტა მანინა და მარჩელო მასტროიანი, ძველ საესტრადო შემსრულებლებად წარმოგვიდგებიან — ჩინჭერი როჯერისა და ფრედი ასტერის, სახელგანთქმული მსახიობები ხელოვნების იმიტაციას ახდენენ.

ვიტორიო გასმანის კაპაოფილვა

ვიტორიო გასმანმა თანხმობა განაცხადა, ითამაშოს ეტორე სკოლას ფილმში „ოჯახი“. „როგორც იქნა, ელისა იტალიური კინოს კარგი სცენარის“ — განაცხადა ამ ცნობილმა იტალიელმა მსახიობმა, რომელსაც ხუთი წლის მანძილზე არც ერთ ფილმში არ უთამაშია, რადგან არ მოსწონდა არც ერთი შემოთავაზებული როლი.

ცხენის კეთილშობილური აგკლუა... ჰადრაკში

ჰადრაკი საოცარი პოპულარობით სარგებლობს მონღოლეთში, მაგრამ მოჰადრაკეთა უმრავლესობა დღემდე ზოგიერთი მოძველებული წესის ერთგული რჩება. მაგალითად, ერთი ასეთი წესი აქვთ: არ შეიძლება ცხენით შამათის გამოცხადება, რადგან ცხენი — ადამიანის მეგობრია და, ამდენად, ზიანის მიყენების უნარიც არ უნდა შესწევდეს.

მესპერიმენტი ცურვის შემსწავლელთათვის

ცურვის ფრანგმა სპეციალისტებმა საინტერესო ექსპერიმენტი ჩაატარეს: 50-მეტრიანი აუზი აავსეს არა წყლით, არამედ ჩოგბურთის სათამაშო ბურთის ხელა პლასტმასის სფერობით. აღმოჩნდა, რომ ეს „ხელოვნური წყალი“ ძალზე ხელსაყრელი ყოფილა მცირეწლოვან ბავშვთათვის ცურვის შესასწავლად, რადგან არ იძირებიან და არც ეშინიათ „წყლისა“.

უცხოეთის პრესის მასალების მიხედვით მოაგზადა ლავით კანდელმა.



ე

როტ გლესს მშვენიერი ბალი ჰქონდა. ზაფხულში ყოველ დილით გამოდიოდა და ჩიტების საამური გალობით ტკებოდა. იქვე შადრევანი ჩუხჩუხებდა, არემარეს გულუხვად რწყავდა. სწორად ჩიტუნებიც ფრთებს ისველებდნენ მისი ცივი შხეფებით.

ერთ დღეს, ჩვეულებისამებრ, გლესკაცი თავის ბაღში სეირნობდა და ჩიტის გალობას უსმენდა. ჩიტი ისე ტკბილად გალობდა, რომ გლესი მისი დაჭერის სურვილმა აიტანა. დაიჭირა კიდეც და პატარა გალიაში ჩასვა. დატყვევებულმა ჩიტმა უთხრა:

— რისთვის დამიჭირე, გეთყუვა. გგონია რაიმე სარგებელს მოგიტანს ეს?

— მე მინდა მარტო ჩემთვის გალობდე, — მიუგო გლესმა.

— მომეცი თავისუფლება და შენც ისევე გიგალობებ, როგორც ყველას. და თუ ასე არ მოიქცევი, მაშინ სულ დადუმდები და ვნახოთ, რა სიმღერასაც მოისმენ.

— დადუმდები, არა? მაშინ შეგწავა და გემრიელად შეგახრამუნებ...

— შემახრამუნებ ხომ! მე რომ ისედაც ასე ვაჩინეული ვარ, შემწვარი რალა ვიქნები, სულ რაღაც ერთი ლუკმა. ლუკმაც არ გეყოფი. უმჯობესია ჩემთვის გამიშვა. სამაგიეროდ სამ ისეთ რჩევას მოგცემ, მთელი სიცოცხლის მანძილზე რომ გამოგადგება.

გლესი დათანხმდა, ჩიტი გაათავისუფლა და დაელოდა, როდის გამოიმეტებდა ჩიტი მისთვის დანაპირებ სამ რჩევას. ჩიტი ცოტა გვერდზე

გახტა. მერე ფრთები ჩამოკეცა და დაიწყო:

— ჩემი პირველი რჩევაა, რასაც ვეტყვიან, ბრმად არ დაიჯერო. მეორე ვახლავს, კარგად გაუფრთხილდი მას, რაც ხელთა გაქვს, რომ არ დაკარგო. მესამე რჩევა კი ასეთია: თუ მაინც დაკარგო ის, რაც ხელთა გქონდა, აღარ გამოიტყო.

თქვა ჩიტმა თავისი სათქმელი და იქვე, ხის ტოტზე ჩამოსკუბდა. ისევ განაგრძო საამური გალობა. გალობა ჩაათავა და გლესკაცს ზემოდან გადმოსძახა:

— მართლა ბრმა ყოფილხარ, რომ ვაგემეტბინე, ყელში ძვირფას ქვას მიპოვნინდი. ამოიღებდი და სამულამოდ გამდიდრდებოდი.

გაიგონა ეს გლესმა. თავში ხელი წაიშინა და მორთო ღრიალი:

— ეს რა მომივიდა, ასეთი ჩიტი ხელიდან როგორ გაუშვივო.

— შე საბრალო, — მიუბრუნდა ისევ ჩიტი. — ახლა არ ვითხარი, რასაც ვეტყვიან, ყველაფერი ბრმად არ დაიჯერო-მეთქი? ისიც ხომ მოგახსენია, რაც ხელთა გაქვს, რომ არ დაკარგო. და თუ მაინც დაგეკარგოს, აღარ გამოიტირო. შე კაი კაცო, თუ ყელში ქვა მქონოდა, როგორღა ვიგალობდები.

თქვა ეს ჩიტმა, აფრინდა ტოტიდან და თავი მისცა ტყეს. ინტიბარგატეხილი გლესი დიდხანს იდგა მოჩუხჩუხე შადრევანთან და ამაოდ ელოდა მოგალობე ჩიტს.

ფრანგულიდან თარგმნა იონა გალაგვიძე.

ფიულ ფონზე სულ უფრო მეტად იკვეთება უახლოესი დემოგრაფიული ტენდენცია: მთელ რიგ განვითარებულ ქვეყნებში ერთდროულად შობადობის დონის დაცემა, სიკვდილიანობის კოეფიციენტის ზრდა და ამის შედეგად მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპის შენელება. თანაც ამას ყველაზე მეტად და ინტენსიურად ადგილი აქვს განვითარებულ ქვეყნებში, სადაც უფრო დაბალია შობადობის და სიკვდილიანობის დონე, მაღალია სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. სწორედ ამიტომაც ასევე მაღალია მოსახლეობის დაბერება და, ერთი მხრივ, დიდი ხანდაზმულთა წილი, რომელთა შორის ჩვეულებრივ მაღალია ფიზიოლოგიური სიკვდილიანობა, მეორე მხრივ, შედარებით დაბალია მშობიარეთა წილი (15-49 წლის ქალები), და შესაბამისად შობადობის დონე და სხვ. ამ პროცესის შედეგად ამჟამად წარმოიქმნენ ქვეყნები, სადაც უკვე 1976 წლის მონაცემებით სიკვდილიანობის კოეფიციენტი უტოლდება, ზოგან კი ჭარბობს შობადობის კოეფიციენტს. ამგვარად, შეწყდა მოსახლეობის ბუნებრივი ზრდა, მათ შორის მალთუხის სამშობლოში — ინგლისში, სადაც მატების კოეფიციენტი გაუტოლდა ნულს, ზოგან კი უფრო დაბლაც დაიწია.

ზოგიერთი დემოგრაფიული პროგნოზით მსოფლიო მოსახლეობის რიცხოვნობის სტაბილიზაცია მოხდება 22-ე საუკუნის პირველ ნახევარში 15 მილიარდის დონეზე, ცნობილი საბჭოთა დემოგრაფის ბ. ც. ურლანისის პროგნოზის მიხედვით კი 21-ე საუკუნის მეორე ნახევარში — 12 მილიარდის

დონეზე. ერთ-ერთი პროგნოზით მსოფლიო მოსახლეობის რიცხოვნობა 22-ე საუკუნის ბოლოს კლებასაც კი იწყებს. რასაკვირველია, ყველა ქვეყანაში მოსახლეობის რიცხოვნობის სტაბილიზაცია ერთდროულად არ მოხდება და ზოგან შემდგომშიც გაძლიერდება მისი ზრდა, თუნდაც ასაკობრივი შემადგენლობის გამო — ახალდაბადებული ბავშვების სიჭარბის შედეგად. მთავარი ამ პროგნოზებში არის ის, რომ დემოგრაფებს შორის უკვე არავითარ დავას არ იწყებს მსოფლიო მოსახლეობის რიცხოვნობის სტაბილიზაციის გარდაუვალობა.

კაცობრიობის მომავლის ეს თვისებრივად სრულიად ახალი ფენომენი თავისებურად მეტყველებს მსოფლიო მასშტაბით მოსახლეობის ზრდისა და დემოგრაფიული პროგნოზების რეგულირების შესაძლებლობაზე. ეს ჯერ კიდევ ამ ასობდე წლის წინ განჭვრიტა ფ. ენგელსმა, რომელიც 1881 წელს ერთ-ერთ თავის წერილში აღნიშნავდა, რომ თუკი როდისმე კომუნისტური საზოგადოება იძულებული გახდება, მოახდინოს ადამიანების წარმოების რეგულირება, ისევე როგორც იგი ამ დროისათვის უკვე მოახდენს ნივთების წარმოების რეგულირებას, იგი და მხოლოდ იგი შეასრულებს ამას დაუბრკოლებლად.



გურამ ფირცხალავა,
საქართველოს სსრ საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეთოდების ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის დემოგრაფიისა და დროებითი რეკონსტრუქციის განყოფილების გამგე.

გარეკანის პირველ გვერდზე: ნინო ნაცვლიშვილი შეიღებთან. ფოტო ზონდო დვალისფილისა;

გადაცა წარმოებას 4. 02. 87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 28. 02. 87. უე 04358. ქალაქის ზომა 70x1081/8. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 8, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,69. ტირაჟი 50 000. შეკვეთა 216. ფასი 35 კაპ.

880096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კვ ც-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Адрес редакции: 380008, Тбилиси 8, по. Руставели, 42.



ქ რ ო ს ზ ო რ დ ი

თარგმულები: 3. კენკროვანი მცენარე; 6. ქალაქი, სადაც 1984 წელს ჩატარდა ზამთრის ოლიმპიადი; 7. ქართველ ტანმოვარჯიშეთა სპორტული საზოგადოება 1917-18 წლებში; 9. ცოცხალი ორგანიზმის ფორმისა და აგებულების შემსწავლელი მეცნიერება; 12. ქალაქი კვიპროსის რესპუბლიკის სამხრეთ ნაწილში; 14. ქიმიური ელემენტი; 16. რუსეთისა და უცხოეთის არმიის კავალერიისტი ოფიცრის ჩინი; 17. საბერძნეთის უძველესი ქალაქი; 19. ალექსანდრე მაკედონელის ცხენის სახელი; 23. ციხე-სიმაგრე ქვემო ქართლში; 27. სახელმწიფოთა სამხედრო კავშირი პირველი მსოფლიო ომის დროს; 28. ტექსტის ასაწყო სტრიქონოზამოსხმელი მანქანა; 29. XVIII საუკუნის შუა წლების იტალიელი არქიტექტორი, რუსული ბაროკოს მოთავე; 30. მდინარე თრიალეთის ქედის სამხრეთ კალთაზე; 31. ჩრდილოეთ ამერიკის ერთ-ერთი ქვეყნის დედაქალაქი; 32. ნელი ქარი; 33. კედელზე მიმაგრებული სახანაო; 34. გამოჩენილი ქართველი აკადემიკოსი; 35. საბჭოთა რადიოფირმა; 36. ინტენსიური მიწათმოქმედების რაიონები უდაბნოსა და ნახევარუდაბნოს სარწყავ მიწებზე.

შპეულები: 1; ამერიკელი პოლიციელის მეტსახელი; 2. ერთი ან სხვადასხვა ფერის გარკვეული ზომის ქსოვილი, რომლის ერთი მხარე ხის ტარზეა დამაგრებული; 4. ბოროტი სული ზორბატარულ რელიგიასში; 5. რელსებიანი ტრანსპორტის მძღოლი; 8. მოკლევადანი კრედიტი კაპიტალისტურ ქვეყნებში; 10. მდინარე ალასკაზე; 11. ძვირფასმეტყნიანი ხე; 12. გამოჩენილი ფრანგი ბუნებისმეტყველი; 13. ეთიკის დადებითი კატეგორია; 15. დიდი სამამულო ომის დროს იატაკქვეშა კომკავშირული ორგანიზაციის „ახალგაზრდა გვარდიის“ ერთ-ერთი ორგანიზატორი; 18. გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში ვეზირის მოადგილე; 20. ცხოველი, რომელიც ცხოვრობს წყალშიც და ხმელეთზეც; 21. უძველესი ადამიანი; 22. ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსი; 24. ფლამანდიელი ფერმწერი, რომლის ერთ-ერთი ნამუშევართაგანია „განკითხვის დღე“; 25. ცივი საწებელი; 26. შეიბირი სირბილის ერთ-ერთ სახეობაში.

შეადგინა კობა ლაზარაშვილმა.

„დროშის“ მე-2 ნომერში გამომქვეყნებული კროსმორდის პასუხები:

თარგმულები: 1. პაუზა; 4. პულსი; 6. ნატურა; 8. პოლუსი; 10. რელიგი; 12. არიფი; 13. ალაპი; 14. დრო; 15. ონი; 17. ბალადა; 18. ენისეი; 19. ციკლო; 22. ბოკერი; 27. ალიბი; 28. ანბანი; 29. ბათუმი; 30. ანი; 32. სია; 33. ბადრო; 36. გერბი; 38. რინგი; 39. ქაბული; 40. ალვანი; 41. ორსკი; 42. იმირი;

შპეულები: 1. პანტა; 2. ატამი; 3. გნოლი; 4. პასტა; 5. ირისი; 7. არბო; 8. პინო; 9. ფინალი; 11. ფაკელი; 14. დატა; 16. იენი; 19. ცნობა; 20. კეგრი; 21. იორკი; 23. კანადა; 24. სვია; 25. ელბა; 26. ციმორი; 31. იორი; 32. სოია; 33. ბანჯო; 34. ოპალი; 35. წნორი; 36. განძი; 37. იფანი.

რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგეების 93-28-42, 99-01-39, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უარუნდება.



ათი უკიცი

ქუთაისი. ავტოქარხნის დასახლება. მესხის ქუჩა № 8. ნინო და ჯემალ ნაცვლიშვილების ათწილიანი ოჯახი.

სახლში შევიდა და გული გამეხსნა. ბავშვების ხალისიან ურიაშულში დედის ხმა გამოიჩინა:

— მობრძანდით, ბატონო!

ძალიან ახალგაზრდა მეჩვენა. ათი შვილი კი ჰყავს. მისმა წლოვანებამ და მაინტერესა და როცა გავიგე ოცდაათი წლისა ყოფილა, კიდევ უფრო გავიხარე:

— მოსწრებული ქალიაო, რომ იტყვიან, სწორედ თქვენზე ითქმის.

სკამი შემომთავაზა და დაჯდომა მთხოვა.

ბავშვები გაისუსნენ. დედა კი თვითონ განაგრძობს:

— ბავშვობიდანვე მივეჩვიე ოჯახის მრავალწევრიანობას და დაძმობის სიტყვას. ჩემი ნატვრა იყო, ბევრი და კარგი შვილი გამეზარდა.

შევეყურებ სიცოცხლით სავსე დიასახლისს და კმაყოფილი ვარ იმით, რომ ასეთი ქალები გვყავს.

— ჩემი უფროსი შვილი — ნატო, მეოთხე კლასელია, — მიაშობს იგი. — გიგა მესამე კლასელი, ხოლო იგორი მეორე კლასშია. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მემხარებიან ისინი უმცროსების აღზრდაში. ყველანი დიდი ადრე ადგომას მივაჩვიე. საშუალონი საბავშვო ბაღში მიიჩქარიან, ხოლო უფრო ჩვილები, ბავშვი მიმყავს. ერთმანეთს ეხმარებიან ჩაცმასა და საუზმის მომზადებაში. ლაშა, ლელა, მეგლუდი, ჯემალი, ეთერი საბავშვო ბაღში დადიან. ბაღში რომ მივდივარ და მათ ვხედავ, გული სინარულით მეგვსება. სხვა ბავშვებთან ერთად, ჩემი პატარებიც გულდაგულ რწყავენ ყვავილებს, ხელებდაკაშიწებულნი და წინსაფარაფარებულნი, სუფრას შლიან, კითხულობენ ლექსებს ქართულ და რუსულ ენებზე. დავითი და ალექსანდრე — სულ პატარები, ძუძუს ასაკისა არიან და დედის რძეც ჰყოფნიან.

— ვინ იცის, იქნებ ინსტიქტით გრძობენ, რომ ჭირვეულობის უფლება არა აქვთ მრავალრიცხოვან ოჯახში, — ხუმრობით ვამბობ და დედისაკენ ვიხედები.

— იქნებ ასეცაა, — მეთანხმება ნინო.

...უზუსტად თორმეტი წლის წინათ დაქორწინებულან ნინო და ჯემალი.

— ზოგიერთი ჩვენს ამბავს თავისებურად ხვდებოდა, — საუბარში ჩაერია ჯემალი, — ჭკუასაც კი გვარიგებდნენ. მე კი სხვანაირად ვფიქრობ და სახელოვანი წინაპრების კვლასაც მივეყვები. აი, თუნდაც მესხების ოჯახი. ჩვენ ხომ მის ქუჩაზე ვცხოვრობთ. ცამეტი მამულიშვილი აღზარდა ამ ოჯახში. მათ შორის ხუთი — სერგი, კოტე, დავითი, ივანე და ეფემია, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწენი.

— სწორი ბრძანებაა, ჩემო ჯემალ. ამას მაშინ ახერხებდა ხალხი, როცა მხარში არავინ ედგა, — ვამბობ და ფეხზე ვდგები.

— აქვთ მობრძანდით, ბატონო. თქვენი სიტყვის დასტურად მინდა მოგახსენოთ, — ჯემალი ამბობს ისევ. — აი, ეს ოთახები, ასე რომაა გაკრიალებული, სულ საავტომობილო ქარხნის ბიჭების ნახელავია. მე ხომ იქ ვმუშაობ, მღებავად. ავეჯის კომბინატმა ძალიან შეგვიწყო ხელი. აგერ ეს სკამები, მაგიდები, საწოლები, მათი ხელითაა ნაკეთები.

სითბოა ნაცვლიშვილების დიდ ოჯახში. ამ სითბოში ოჯახის ყველა წევრს თავისი წვლილი შეაქვს. განსაკუთრებულია მაინც გმირი დედის, ნინოს შრომა და ამაგი. საერთოდ, დედაზე, რამდენი კეთილი სიტყვა თქმულა და დაწერილა. მაქსიმ გორკომ კი, მაინც სხვანაირად და გამორჩეულად თქვა.

მაშ, ჩვენც ვადიდოთ ქალი — დედა, ვისმა სიყვარულმა შვილისადმი, არ იცის ზღუდე, არ იცის წინააღმდეგობა, ვისი ძუძუთიც გამოზრდილა ყველა.

ყოველივე მშვენიერი, ადამიანში რაც კია, მშობელი დედისგანაა.

სიმრავლე, სიკეთე და სინარული ჩვენს ძირსა და მონაგარს...



ეროვნული ბიბლიოთეკა

3

ინც ერთხელ ყოფილა „თბილპურვაჭრობის“ სამოცლამეოთხე საშაქარლამოში დარწმუნებული ვარ, მისი მისამართით თქმული არც ერთი საქებარი სიტყვა ვადაჭარბებულად არ მოეჩვენება.

თუმცა „ფრანცია“ (ასე შეარქვეს ზედმეტსახელად ახალგაზრდებმა), განა მარტო თბილისელებისთვისაა ცნობილი, დასვენების დღეებში აქ რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეებიდანაც საგანგებოდ ჩამოდიან, რომ გემო გაუსინჯონ აქაურ ნახელავს.

ისე, კაცმა რომ თქვას, ყველას ბუნებრივად დაებადება კითხვა: მაინც რამ გამოიწვია მისი ასეთი პოპულარობა?

ამ კითხვაზე, პასუხი თვითონ თამარ ქაჯაიამ გასცეს — კაფემილასის დირექტორმა, ვაჭრობის დამსახურებულმა მუშაკმა, მისმა უცვლელმა დიასახლისმა.

— რამ და მინდობილი საქმისადმი ერთგულებამ, კეთილსინდისიერმა დამოკიდებულებამ დახლის მუშაკებსა და მომხმარებლებს შორის, ურთიერთპატივისცემამ, სიყვარულმა... და, რა თქმა უნდა, ნამკვრის კარგმა ხარისხმა, რაც თბილპურკომბინატის პირველი საცხობის მთელი კოლექტივის (დირექტორი ნელი ვარშანიძე) უთუოდ დიდი დამსახურებაა.

სწორი ბრძანებაა. მართლაც მადლობის სიტყვები ამ ორ კოლექტივს თანაბრად ეკუთვნის თუნდაც იმიტომ, რომ პროდუქციის ხარისხი და მისი რეალიზაცია თანაბარი მნიშვნელობისაა.

სისუფთავე, სიფაქიზე, ლამაზად და გემოვნებით გაფორმებული ვიტრინები, ქათქათახალათიანი გამყიდველების დიმილიანი სახეები... აი, რა იზიდავს მომხმარებელს.

ერთ ოჯახად შეკრული კოლექტივი დილის რვა საათიდან საღამოს ათ საათამდე ფეხზე დგას და ყოველდღიურად ასობით მომხმარებელს უმასპინძლებდა მრავალფეროვანი ასორტიმენტით.

არჩევანშიც არ დაგზარდებ-

ბიან უფროსი გამყიდველები სვეტლანა შერმაზანაშვილი და ადელინა კაჭარავა. მათ მუშაობის ისეთი გამოცდილება აქვთ, უკეთეს რჩევას ვერავინ მოგცემთ.

არც სხვა გამყიდველები: პაოლინა რული თუ ემა დანელიანი, ყუყუნა ერადე და საშა ცხალიშვილი, სვეტლანა ხაჩატუროვა და ქეთინო დავითულიანი, თამარ ომიადე, ელზა ჯანყარაშვილი და მარგო აფციაური მოგაკლებთ სანდომიან ღიმოლსა და ყურადღებას.

ასეა ყუყუნა სიღამონიძესა და დუსია ციბულკინას არ იკითხავთ? არანაკლებ დასაფასებელია მათი საქმიანობა. ეს მათი დაუზარელი შრომის ნაყოფია, აქ რომ მუდამ სისუფთავა და წესრიგია.

ისე არ გამიგოს ვინმემთითქოს ესენი ერთადერთნი არიან, ან კიდევ განსაკუთრებულ გმირობას ჩაიღიან. არა, უბრალოდ მინდა ვთქვა, რომ ეს ადამიანები მათზე დაკისრებულ მოვალეობას ასრულებენ კეთილსინდისიერად, დაუმაღლებლად, დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისად.

და მაინც ბევრი რამით განსხვავდებიან სხვებისაგან, განსაკუთრებით კი, მათივე პროფესიის სხვა მუშაკისაგან.


არაერთხელ აღუნიშნავთ მათი წარმატებები საქონეობრუნვის გეგმის გადაჭარბებით შესრულებასა და მომხმარებელთა კულტურულ მომსახურებაში.

ამაზე მეტყველებს ის ჯილდოები და მადლობები, რომელსაც უხვად იხილავთ დირექტორის პატარა, მყუდრო კაბინეტში, ხოლო შრომის წითელი დროშის ორდენი, მედალი „შრომითი მამაცობისათვის“, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი, ვაჭრობის დამსახურებული მუშაკისა და „ვაჭრობის ფრიალოსნის“ წოდება, აგრეთვე უამრავი ქების სიგელი და მადლობები მხოლოდ მისი საკუთრებაა.

ყოფილხართ სამოცდამეოთხე საშაქარლამოში? არა? გვეწვიეთ!

ნუნე კუპრეიშვილი

საბავშვო



ფოტო გონდო დვანიშვილისა



ბროლის
თასის მფლობელი



ბროლის თასი მოხარულია ქალებს

დასამალი არაა, რომ მსოფლიო პირველობის გათამაშებაში ქართველ მოჭადრაკე ქალთა გამარჯვებებმა მრავალი შემოქმედი ალაფროვანა. მათ შორის შოთა ციციშვილიც — თბილისის სამხატვრო აკადემიის დოცენტი, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი. ჩვენი სახელოვანი მსოფლიო ჩემპიონების დასაჯილდოებლად განკუთვნილი, ვერცხლით გაწყობილ-მოჩუქურთმებული ბროლის თასი, რომელიც მან შექმნა, სწორედ ამის მაგალითია.

— ამ თასზე ადრეც ვფიქრობდი, მაგრამ ეს ფიქრი ხორცშეუსხმელი დამარჩა და კიდევ უფრო გამიმძაფრდა, როცა ქადრაკის დედოფლის ტახტზე ნონა მაიამ შეცვალა. თანაც სარბიელზე ახალგაზრდა ნიჭიერი ქართველი დიდოსტატები გამოჩნდნენ, — გვიამბობს ბატონი შოთა. — მუშაობა 1981 წელს დავამთავრე და თასი მაშინვე გადავეცი მაია ჩიბურდანიძეს. თასს ამკობს ვერცხლის სარტყელი წარწერით: „ქართველ ქალებს — მსოფლიო ჩემპიონებს ქადრაკში“. ბროლზე ხუთჯერ არის ამოკვეთილი ნონას და სამჯერ მაიას სახელი. საგანგებოდ დატოვებულია ექვსი ცარიელი ჩარჩო იმ ვარაუდით, რომ 2000 წლამდე ჩემპიონები ისევ ჩვენი მოჭადრაკეები იქნებიან.

ოსტატმა ახლახან თასზე მეოთხედ ამოჭრა მაია ჩიბურდანიძის გვარი.

თასი ამჟამად თბილისის სახელმწიფო სამხატვრო გალერეაში ინახება.

თენგიზ გიორგაძე